

წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3
და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა
ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ანალიტიკური განყოფილების
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი
2019

**Prohibition of Torture:
Application of International Standards Guaranteed by Articles 3 and 6 of the
European Convention of Human Rights in National Legal Practice**

**The Supreme Court of Georgia
Analytical Department
The Human Rights Centre**

**Tbilisi
2019**



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა საქართველოს უზენაესი
სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა
ცენტრის მიერ

ავტორი და მთავარი რედაქტორი:

მარინე კვაჭაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ავტორები:

ეკა მამალაძე
ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარი კონსულტანტი

ნიკო დათეშიძე
ადამიანის უფლებათა ცენტრის რეფერენტი



**The research was conducted by Human Rights Centre
Analytical Department**

The Supreme Court of Georgia

AUTHOR AND CHIEF EDITOR:

**The Head of Analytical Department
Prof. Dr. Marina Kvachadze**

AUTHORS:

**Eka Mamaladze
Chief Consultant of Human Rights Centre**

**Niko Dateshidze
Legal Assistant of Human Rights Centre**

Prohibition of Torture: Application of International Standards Guaranteed by Articles 3 and 6 of the European Convention of Human Rights in National Legal Practice

(Brief review)

The prohibition of torture and inhuman or degrading treatment or punishment is a fundamental principle of international law (*jus cogens*) universally acknowledged by the international community of states as an absolute right from which no derogation is permitted. The absolute and comprehensive prohibition of torture is enshrined in many human rights instruments, including the European Convention of Human Rights, namely Article 3.

In recent years effective prosecution for the crime of torture and ill-treatment, capable of leading to the identification and punishment of those responsible, represents a vital legal problem in Georgia that needs to be addressed urgently. Despite the fact that positive trend is observed in terms of decrease of systematic violations in the penitentiary system in this regard, nevertheless, torture and other cruel, inhuman or degrading treatment committed by private actors remains problematic. Furthermore, another issue that needs to be dealt with is proper classification of the cases of torture, which is also highlighted in the reports of public defender¹. The existence of the abovementioned problem is corroborated by the low number of cases examined under the relevant provisions of the Criminal Code of Georgia.

This research is divided into two key parts. First part concerns prohibition of torture under the international law and aims to discuss relevant standards in this regard established by the Council of Europe and the United Nations. This includes precise definition of torture and other types of inhuman or degrading treatment and their proper distinction. Moreover, the first part of the research overviews the scope of Article 3 and the meaning of required “minimum level of severity” in this context, as well as the positive and negative obligations imposed on the Member States under this article. One of the main purposes of this research is to discuss, more or less exhaustively, all acts that are closely related to the torture. Accordingly, there is provided a relevant analysis of the European Court of Human Rights case-law regarding detention conditions, lack of adequate medical care in detention facilities, threat of torture, extradition and other lesser-known grounds for the breach of Article 3. In

¹ For example, see public defender’s report on Human Rights and Freedom State in Georgia for 2017, pg. 28.

the research, special emphasis is placed on the case-law of the European Court of Human Rights and the cases regarding ill-treatment rendered against Georgia.

The second part of the research focuses on the national courts' practice in the cases of torture in view of the international standards. It aims to analyse judgments delivered by the national courts in the cases of torture and other forms of ill-treatment, as well as the application of the international standards in this field. The particular significance is given to the level of the substantiation of judgments. On the other hand, national courts' practice analysis reveals challenges in terms of providing sufficiently reasoned judgments and also indicates several aspects which are of paramount importance when addressing the cases of torture. Most importantly, this research, based on the international standards, aims to provide guidelines through recommendations that would help the judges resolve the cases of torture.

From the outset it should be noted that the guarantees provided by the Article 3 cover a wide range of issues, including healthcare within penitentiary system, protection of women and children from violence, effective investigation and documentation of torture etc. Therefore, it is noteworthy that this research focuses on the criminal regulation of the torture. The main direction of the case study was to examine situation in respect of the substantiation of the judgments by the court in the cases of ill-treatment, this included the manner they applied international standards.

In order to fulfill the purpose of the research, the Analytical Department studied all the judgments concerning the ill-treatment delivered by the first instance courts in 2017-2018 years. For the purpose of in-depth review, the Analytical Department gathered research materials through sending official letter to the first instance courts, requesting to provide them with judgments based on article 144¹(torture), 144² (threat of torture) and 144³ (inhuman or degrading treatment) reviewed in 2017-2018 years. It is important to state that the present research was conducted on the basis of the examination of judgments rendered by the first instance courts in the last two years. More specifically, within the framework of this research was analysed: 7 cases of ill-treatment delivered by Tbilisi City Court, 1 by Bolnisi Regional Court, 2 by Rustavi City Court and 1 by Foti City Court. The total number of the examined cases comprises of 11.

As for methodology, the cases of torture and other forms of ill-treatment reviewed by the courts were analysed through the application of the following methods: comparative analysis, descriptive and case study research.

With the purpose of a rather sufficient illustration of the national judicial practice's compliance with the European Standards, the research includes analysis of the following topics: Level of substantiation of judgments in the cases of ill-treatment; the examination of evidence by the courts beyond a reasonable doubt; the assessment of "minimum level of severity", application of plea bargain in the cases of ill-treatment, the role of the judges in the effective enforcement of the absolute prohibition of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment.

In the research, particular attention is drawn to the application of the relevant international documents and the case-law of the European Court of Human Rights at the national level. In the different chapters of the research special importance is attached to the application of the judgments of the Strasbourg Court in domestic courts' judgments. Furthermore, the document illustrates great examples of appropriate application of abovementioned standards through quoting relevant excerpts from the judgments.

The report includes key findings identified on the basis of trends indicated as a result of the national courts' practice analysis regarding the cases of ill-treatment in the light of international standards. Furthermore, based on internationally acknowledged human rights standards, the research provides appropriate recommendations with the purpose of supporting judges to deliver reasoned judgments, including in the cases of torture.

Key Findings:

- The study revealed that in the majority of cases torture mostly was connected to the ill-treatment inflicted by an official or person holding equivalent position, knowingly against a person detained or otherwise deprived of freedom. In such cases ill-treatment was committed by more than one person and through abusing their official position. Other cases of torture were related to the severe physical pain caused by the husband to the wife and/or her alleged lover for suspected adultery;
- In the majority of cases intensity of the acts or inflicted suffering was causing physical pain. The study revealed that the cases concerning psychological or moral anguish were in minority;
- Analysis of the court judgments have shown that the victims of the torture mostly were detainees, who are extremely vulnerable to abuse given that they are entirely in the power of authorities;
- The study findings indicate that key challenge associated with torture cases is lack of specification of the alternative element of the norm disposition, which is particularly

related to the act in question (for example, whether an act constitutes inhuman or degrading treatment);

- Considering that the present research is the first attempt to analyze the substantiation of the national courts' judgments' in the cases of torture, it is hard to prepare comparative case studies. Nevertheless, it is obvious the judges show strong commitment to apply case-law of the European Court of Human Rights in their rulings; Moreover, georgian judges reason their legal argumentation by referring to the International and European Standards;
- In general, courts seek to analyze factual circumstances and legal aspects of given cases in the light of the Case-Law of the European Court of Human Rights. The judgments reveal constructive interaction between the domestic law and the practice of the European Court. In most cases, national courts cite from the international covenants or the international practice and state that their rulings are based on the national and international acts;
- In view of the research results, as a rule, national courts relevantly use the case-law of the ECtHR but providing appropriate analysis regarding the interaction of the cited standards and the factual background of the case still remains challenging. It is of particular importance to base the judgments on the systematic methods of analysis.

Recommendations:

- It is recommended to indicate in the judgment the alternative element of the norm disposition, which is particularly related to the act in question (for example, in terms of ill-treatment, whether an act constitutes inhuman or degrading treatment);
- The judgment not only should indicate the abovementioned element, but also should refer to the particular evidence, which confirms the existence of that element;
- The judgment should demonstrate that judge ensured the fairness of proceeding, applied a standard of proof and properly distributed the burden of proof between the parties;
- The judgments should not be associated with court transcripts or other document templates. Referring to the blanket list of the facts presented as evidence before the court and then making a conclusion is not sufficient; Systematic analysis is required;
- The reasoning of the judgment should include comparison and contrast of the evidence in favour of defence and evidence presented by the prosecution; the assessment of their credibility and reliability should be carried out. The courts should

specify the reason for taking into account the evidence of the one party and rejecting the other; Moreover, it should be done with regard to each piece of evidence;

- While examining evidence and reaching legal conclusions, particular attention should be paid to the fact that the findings summarized in the judgment are comprehensive, thorough and convincing to the objective observer. As a result, it should be taken into consideration whether conclusions meet the relevant requirements for the “beyond reasonable doubts” standards;
- It is recommended for the courts to take into account the specific nature of the crime (especially in the cases of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment), given that often such a case can be related to the personal characteristics of the victim and the defendant, as well as the features of the committed acts. These factors play an important role not only on classification of the case, but subsequently also on the determination of the degree of guilt and gravity of the sentence;
- In assessing the matter, courts should be guided by relevant international instruments. It is recommended that courts adequately apply the latest practice of the European Court of Human Rights to the factual circumstances of the case and provide relevant systematic review.

სარჩევი

შესავალი და მეთოდოლოგია.....	11
ძირითადი მიზნები:.....	15
ნაწილი I.....	17
1. წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.....	17
1.1. წამების განსაზღვრება.....	18
1.2. იმპერატიული ნორმა.....	19
1.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები და და მტკიცების სტანდარტი.....	21
1.3.1. მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები და სისასტიკის მინიმალური ზღვარი.....	21
1.3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის მტკიცების სტანდარტი.....	23
2. განსხვავებები მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს შორის.....	24
2.1. წამება.....	24
2.2. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.....	27
2.2.1. დისკრიმინაცია, როგორც დამამცირებელი მოპყრობა.....	29
2.3. დასკვნა.....	31
3. კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები.....	32
3.1. ნეგატიური ვალდებულება.....	33
3.2. პოზიტიური ვალდებულებები.....	33
3.2.1. პირთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან.....	34
3.2.2. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიება.....	35
3.2.2.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებას.....	36
4. პატიმრობის პირობები.....	41
4.1. პატიმრობის პირობების თაობაზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრები.....	44
4.2. პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესები და გაეროსა და ევროსაბჭოს ორგანოების დასკვნები საქართველოსთან მიმართებით.....	47
5. თავისუფლებაადკვეთილი პირებისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევა.....	49
5.1. საპატიმრო დაწესებულებებში ეფექტური სამედიცინო მომსახურების გაუწევლობა საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში.....	52
6. ექსტრადიცია და გაბეგება.....	56
6.1. მძიმე ავადმყოფობის მქონე უცხოელის გაბეგება, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.....	61

6.2. უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვების პატიმრობა, როგორც წამება ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა.....	66
7. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის სხვა საფუძველები.....	68
7.1 წამების მუქარა.....	68
7.2. უვადო პატიმრობა.....	70
7.3. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა საკუთრების დაზიანების საფუძველზე.....	73
ნაწილი II.....	75
8. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებზე.....	75
8.1. გადაწყვეტილებათა დასაბუთება ევროპული კონვენციის მიხედვით.....	76
8.2 ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	77
8.2.1 ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზები.....	79
8.2.2. არასათანადო მოპყრობის სახეთა განსხვავება.....	81
8.2.3. მტკიცებულებათა შეფასება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით.....	83
8.2.4. სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება, კონვენციის მე-3 მუხლის აბსოლუტური ხასიათი.....	88
8.2.5 კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებაზე მითითება.....	91
8.2.6. დანაშაულის სპეციფიკისა და მისი ელემენტების გათვალისწინება.....	93
8.2.7. საპროცესო შეთანხმების გამოყენება წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე.....	97
8.2.8. სასჯელის დასაბუთება.....	100
8.2.9. საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა.....	102
9. მოსამართლის როლი წამების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.....	105
9.1. მოსამართლის უფლებამოსილების ეფექტური განხორციელების საერთაშორისო სტანდარტები.....	106
9.2. მოსამართლის როლი ეროვნული კანონმდებლობაში.....	108
დასკვნა.....	110
რეკომენდაციები.....	112

შესავალი და მეთოდოლოგია

შესავალი

დემოკრატიულ სახელმწიფოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წამების აკრძალვას, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების დაცვის მყარ გარანტს. წამების აკრძალვა უზრუნველყოფილია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით.

ბოლო წლებში საქართველოში აქტუალურ სამართლებრივ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესწავლა და აღნიშნულ ქმედებებზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. მართალია, გასული წლების განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართული სისტემური დარღვევები მნიშვნელოვანწილად აღმოიფხვრა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა კვლავაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საზოგადოებრივ რეალობაში. ასევე, პრობლემურ საკითხად მიიჩნევა წამების საქმეთა სათანადო კვალიფიკაცია, რაც ასევე ხაზგასმულია სახალხო დამცველის ანგარიშებში². ამასთან, მოცემულ პრობლემატიკაზე მიუთითებს ეროვნული სასამართლოების წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლებით განხილული საქმეების სიმწირე³.

წინამდებარე კვლევა ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში მოცემულია წამების აკრძალვის მიმოხილვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ის მიზნად ისახავს განიხილოს წამების აკრძალვასთან დაკავშირებული გაეროსა და ევროსაბჭოს სტანდარტები, რაც მოიცავს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეების ზუსტ განსაზღვრასა და მათ დიფერენცირებას. გარდა ამისა, კვლევის პირველ ნაწილში წარმოჩენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროს ფარგლები და ამ კონტექსტში სისასტიკის მინიმალური ზღვრის მნიშვნელობა, ასევე დეტალურადაა განხილული კონვენციის მოცემული დებულების საფუძველზე სახელმწიფოთათვის დაკისრებული პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები. ამასთან, კვლევის მნიშვნელოვანი ამოცანაა, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, მაქსიმალურად ამომწურავად წარმოაჩინოს ყველა ის ქმედება, რომელიც წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეებთან მჭიდროდაა დაკავშირებული, შესაბამისად, გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთი

² მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 28.

³ 2017-2018 წლის (8 თვის მონაცემებით), ამ კუთხით განხილული იქნა მხოლოდ 13 საქმე.

საქმეები, რომლებიც ეხება პატიმრობის პირობებს, საპატიმრო დაწესებულებებში სამედიცინო დახმარების გაუწევლობას, წამების მუქარას, ექსტრადიციასა და მე-3 მუხლის დარღვევის სხვა ნაკლებად ცნობილ სახეებს. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და წამებასთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ განხილულ საქმეებს.

კვლევის მეორე ნაწილი ეხება წამებასთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლას საერთაშორისო სამართლის ჭრილში. კვლევის მეორე ნაწილის მიზანია შეისწავლოს ეროვნული სასამართლოების მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, გაანალიზოს საქართველოს სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების ასახვა და ყურადღება გაამახვილოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხზე. თავის მხრივ, ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად წარმოჩნდება აღნიშნული საქმეების დასაბუთების თვალსაზრისით არსებული პრობლემები, აგრეთვე გამოიკვეთება წამებასთან დაკავშირებულ საქმეთა გადასაწყვეტად არსებითად მნიშვნელოვანი ასპექტები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კვლევის მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რეკომენდაციების სახით ჩამოაყალიბოს ერთგვარი სახელმძღვანელო წინადადებები, რაც მოსამართლეებს დაეხმარებათ წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვაში.

მეთოდოლოგია

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციაზე. მოგესხენებათ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დაცული სფერო ბევრად უფრო ფართოა და მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორებიცაა ჯანდაცვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ბავშვებისა და ქალების დაცვა ძალადობისგან, გამოძიების ვალდებულებები და ა.შ. შესაბამისად, ხაზი უნდა გაესვას, რომ წინამდებარე კვლევის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ამკრძალავ ნორმებთან მიმართებით ეროვნული სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების შესწავლა. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების საკითხზე.

ამ მიზნით კვლევის განხორციელებისას შესწავლილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2017-2018 წლებში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეები.

კვლევის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა რეგიონის პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სასამართლოებს ეთხოვათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოეწოდებინათ სისხლის სამართლის ყველა ის საქმე, რომელიც 2017-2018 წლებში განხილულ იქნა სსკ-ს 144¹ (წამება); 144² (წამების მუქარა); 144³ (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა) მუხლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევა განხორციელდა აღნიშნულ საქმეებზე ეროვნული სასამართლოების მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე. კერძოდ, მოპოვებულ და შესწავლილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ განხილული 7 საქმე; ბოლნისის რაიონული სასამართლოს ერთი საქმე; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2 საქმე; ფოთის საქალაქო სასამართლოს ერთი საქმე.

ეროვნული სასამართლოების მიერ განხილული წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული საქმეები გაანალიზდა შედარებით-სამართლებრივი ანალიზის, აღწერილობითი და სინთეზური მეთოდების გამოყენებით. კვლევის მსვლელობისას პირად მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილ იქნა სასამართლოების მხრიდან სახელებისა და გვარების დაშტრიხვით.

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას კვლევის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი თემები: ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებზე; სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით; სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება; საპროცესო შეთანხმების გამოყენება წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე; სასჯელის დასაბუთება; მოსამართლის როლი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებზე.

კვლევაში ყურადღება დაეთმო რელევანტური საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკას. კვლევის სხვადასხვა თავში, განსაზღვრულ თემატიკასთან მიმართებით, მიმოხილულია ეროვნულ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ასახვა, ამასთანავე, თვალსაჩინოებისთვის ციტირებულია ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან შესაბამისი ამონარიდები და განხილულია, საქართველოს სასამართლოთა მიერ სამართლებრივი არგუმენტაციისას ევროპული სტანდარტების გამოყენება.

დამატებით, კვლევაში წარმოდგენილია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები. ამასთანავე, მოსამართლეთა მხარდასაჭერად წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის პროცესში, ნაშრომში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

ძირითადი მიგნებები:

- კვლევის შედეგების მიხედვით, წამებასთან დაკავშირებული საქმეები ძირითადად ეხებოდა არასათანადო მოპყრობის განხორციელებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. ამასთანავე, წამების სხვა შემთხვევები დაკავშირებული იყო ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლის ან სავარაუდო საყვარლის მიმართ განხორციელებულ სასტიკ ძალადობასთან;
- განაჩენთა უმრავლეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისეთ მოპყრობას, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ნაკლებად იყო წარმოდგენილი საქმეები, რომლებიც ეხებოდა ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას;
- სასამართლო საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ წამების მსხვერპლის როლში უმეტესად თავისუფლებააღკვეთილი პირები გვევლინებიან, რომელთა განსაკუთრებით მოწყვლადი მდგომარეობა აადვილებს მათზე არასათანადო მოპყრობის განხორციელებას;
- საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ წამების საქმეებში გამოწვევას წარმოადგენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში გამოყენებული მუხლის შემადგენლობის იმ ალტერნატიული ელემენტის სათანადოდ გამოკვეთა, რომელთან უშუალო შემხებლობაშიცაა ჩადენილი ქმედება (მაგ.: ქმედება წარმოადგენს დამამცირებელ თუ არაადამიანურ მოპყრობას);
- გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილი ნაშრომი სასამართლოს მიერ წამების საქმეების დასაბუთების შესწავლის პირველი შემთხვევაა, რთულია შედარებითი ანალიზისა და დასკვნის გაკეთება. თუმცა, ცალსახაა, რომ მოსამართლეები გამოთქვამენ მზადყოფნას, გადაწყვეტილებათა მიღებისას გამოიყენონ ევროპული სასამართლოს

სტანდარტები. სამართლებრივი არგუმენტაციის დასაბუთებას ისინი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე მითითებით ცდილობენ;

- როგორც წესი, განაჩენებში ასახულია შიდასამართლებრივი სისტემისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კონსტრუქციული ურთიერთქმედება. სასამართლოები ციტირებას ახდენენ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკიდან და/ან საერთაშორისო აქტებიდან, რითიც ამყარებენ გაკეთებულ დასკვნებს და აცხადებენ, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება როგორც ეროვნულ, აგრეთვე საერთაშორისო აქტებს.
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ძირითად შემთხვევაში, სასამართლოები რელევანტურად უთითებენ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა მითითებულ სტანდარტებს არ უსადაგებენ განსახილველ საქმეს. მნიშვნელოვანია, ეროვნულმა სასამართლოებმა ევროპული სასამართლოს განმარტებები მოარგონ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სისტემური ანალიზის შედეგად მივიდნენ სათანადო გადაწყვეტილებამდე.

ნაწილი I

1. წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით

წამების აკრძალვა უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო და ჰუმანიტარულ ხელშეკრულებაში, ის ასევე განიხილება როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი. საერთაშორისო სამართლის თანახმად, წამების აკრძალვას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი - jus cogens-ი, რომელიც საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმაა. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები იურიდიულად სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს რატიფიცირებული მოცემული ხელშეკრულება.⁴

წამების აკრძალვა მოცემულია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლსა და 1950 წლის 4 ნოემბერს, ქ. რომში, მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლში; აგრეთვე, ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო თუ რეგიონალურ ხელშეკრულებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“.

8 სიტყვით ფორმულირებული მე-3 მუხლი წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე მოკლე დებულებას. თუმცადა, მუხლის მოცულობა არ მოქმედებს მის სიღრმესა და მნიშვნელობაზე. ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღნიშნა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „მე-3 მუხლი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას“. აღნიშნულზე მეტყველებს ასევე 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუტიც, რომლის თანახმადაც „წამება, რომელიც არის მოქალაქეთა წინააღმდეგ ჩადენილი და გავრცელებული ან სისტემატურ ქმედებათა ნაწილი, წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.“⁵

სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობას რატიფიცირებული აქვს ის ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავს წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებებს. არაერთი საერთაშორისო აქტი შემუშავდა სწორედ წამების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ესენია:

⁴ ფოული კ., წამების დასამარცხებლად, დიდი ბრიტანეთი, 2003, გვ. 32.

⁵ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „f“ ქვეპუნქტი.

- გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (1984 წ., წამების საწინააღმდეგო კონვენცია);
- ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ (1987წ.);
- ინტერამერიკული კონვენცია წამების აღკვეთისა და დასჯის შესახებ (1985წ.).

აქედან გამომდინარე, ადამიანის წამებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად დადგენილია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ქვეყნის კონსტიტუციის ან კანონების გამოყენება საერთაშორისო სამართლის დარღვევის გასამართლებლად.

1.1. წამების განსაზღვრება

წამებას, როგორც იურიდიულ ტერმინს, აქვს განცალკევებული სამართლებრივი მნიშვნელობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წამების სამართლებრივი განმარტება განსხვავდება მოცემული ტერმინის იმ გაგებისგან, რომლითაც ის ძირითადად გამოყენებულია მედიასა თუ საზოგადო საუბრებში, სადაც უმეტესწილად ხაზი ესმება ტკივილის ინტენსივობასა და მიყენებულ ტკივილს. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 1994 წლის 22 სექტემბერს) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის პირველ მუხლში მოცემულია წამების საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიცია:

„ ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური და სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევი.“⁶

⁶ Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 26 June 1987, Art. 1.

შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს წამების დეფინიციის სამი კუმულაციური ელემენტი:

- ძლიერი ფიზიკური თუ ზნეობრივი ტანჯვის განზრახ მიყენება;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა;
- კონკრეტული მიზანი.

ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ წამების პრევენციის მრავალი საერთაშორისო მექანიზმი ხაზს უსვამს წამების გენდერულად სენსიტიური ინტერპრეტაციის მნიშვნელობას და მიუთითებს საჭიროებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ კითხვებს, როგორცაა პატიმარი ქალის გაუპატიურება, ორსული ქალების წინააღმდეგ ძალადობა და რეპროდუქციულ უფლებათა უგულებელყოფა⁷. ფრაზაში – „სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით“ მოიაზრება ასევე კერძო პირის მიერ ქალებისთვის, ბავშვებისა და ადამიანთა კონკრეტული ჯგუფებისთვის მიყენებული ზიანი იმ შემთხვევაში, თუ ქმედებამ გამოიწვია ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა და სახელმწიფომ დაზარალებულ პირთა დასაცავად არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება.⁸

1.2. იმპერატიული ნორმა

ადამიანის ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით), თუ შეზღუდვა განსაზღვრულია კანონით, ემსახურება საჯარო ინტერესს, საჭიროა სხვა პირთა ან ზოგადად, საზოგადოების უფლებათა დასაცავად და პროპორციულია. ხსენებული გარემოებები კონკრეტულად და ამომწურავადაა განსაზღვრული ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ მრავალ პაქტსა თუ კონვენციაში. თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში ევროპული სასამართლო; სტრასბურგის სასამართლო) განმარტა გადაწყვეტილებაში საქმეზე *ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁹

⁷ Preventing Torture: An Operational Guide for National Human Rights Institutions, May 2010; p. 12.

⁸ Preventing Torture: An Operational Guide for National Human Rights Institutions, May 2010; p. 13.

⁹ Tyrer v. the United Kingdom, 25 აპრილი 1978, სერია ა №26.

„კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი აკრძალვა არის აბსოლუტური: გამონაკლისის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის და კონვენციიდან გადახვევა არც კონვენციის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით არის დაშვებული.”

შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ წამება აბსოლუტურად აკრძალულია და ვერცერთ შემთხვევაში ვერ გამართლდება. გადაწყვეტილებაში საქმეზე *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁰, სასამართლომ განმარტა:

„თვით ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი, როგორცაა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. განსხვავებით კონვენციისა და №1 და №4 დამატებითი ოქმების არსებითი დებულებებისგან, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ან გადახვევის უფლებას, რაც დაშვებულია მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, თუნდაც საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც ემუქრება ერის სიცოცხლეს”¹¹

რელევანტური საერთაშორისო შეთანხმებები ერთხმად გამორიცხავენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემზღუდველი ნორმებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი, რომელიც ყველა სახელმწიფოს ეხება, მათ შორის იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვთ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა შესახებ შესაბამისი შეთანხმებები, როგორც ზემოთ აღინიშნა, წამების აკრძალვას იმპერატიულ ნორმად – *jus cogens*-ად მიიჩნევს. ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია რაიმე გამონაკლისის არსებობა მოცემული აკრძალვიდან ნებისმიერი გარემოების შემთხვევაში, მათ შორის საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, ომის საშიშროების თუ შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის დროსაც.¹² თავდაცვის აუცილებლობა ან სხვა გარემოებები ვერ იქნება გათვალისწინებული წამების შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, თუ რაოდენ მძიმე შედეგები შეიძლება დადგეს პოტენციურად მომავალში.¹³

ამრიგად, წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმაა. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ

¹⁰ *Selmouni v. France* [GC], 28 ივლისი 1999, №25803/94, ECHR 1999-V.

¹¹ ოქვე, § 95.

¹² ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 18 იანვარი 1978, § 163, სერია ა №25.

¹³ *Preventing Torture: An Operational Guide for National Human Rights Institutions*, May 2010, p. 16.

პირის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, არის აბსოლუტური.¹⁴

1.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები და და მტკიცების სტანდარტი

წინამდებარე თავში განხილული იქნება მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები, კერძოდ, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს ევროპული სასამართლო, როდესაც განიხილავს, გასაჩივრებული მოპყრობა ექცევა თუ არა მე-3 მუხლის ფარგლებში. ამასთანავე, მეორე ქვეთავში მოკლედ იქნება მიმოხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის მტკიცების სტანდარტი.

1.3.1. მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები და სისასტიკის მინიმალური ზღვარი

შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროპული კონვენცია) მე-3 მუხლის განხორციელება დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ წამების აღმოფხვრის საჭიროებაზე. წამების შემთხვევები, რაღა თქმა უნდა, წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევის ყველაზე უფრო სასტიკ და საშინელ ფორმებს, მაგრამ მე-3 მუხლით გარანტირებული დაცვა მიმართულია ადამიანის ღირსებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე განხორციელებული მრავალი სახის თავდასხმის საწინააღმდეგოდ. აღსანიშნავია, რომ ყველა სახის უხეში მოპყრობა არ ხვდება კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. სტრასბურგის სასამართლომ მე-3 მუხლთან დაკავშირებულ ცნობილ საქმეში *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹⁵ განმარტა, რომ არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. თუმცადა, ასევე აღიარებულ იქნა, რომ, ერთი მხრივ, უხეშ მოპყრობასა და, მეორე მხრივ, მე-3 მუხლის დარღვევას შორის გამავალი გამყოფი ზღვრის დადგენა შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ძნელი

¹⁴ გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი №2, § 5.

¹⁵ იხ. სქოლიო №9.

აღმოჩნდეს¹⁶. საქმეში *სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ*¹⁷ მოცემული განმარტებით, სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შეფარდებითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, უფრო კონკრეტულად, მიყენებული ტანჯვის სისასტიკე ან ინტენსიურობა შესაძლოა შეფასდეს შემდეგ ფაქტორებზე მითითებით:

- მოპყრობის ხანგრძლივობა;
- ფიზიკური და სულიერი შედეგები;
- მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

ხსენებული კრიტერიუმების ინდივიდთან დაკავშირებული ელემენტები, განსაკუთრებით კი მსხვერპლის სქესი, გამოიყენება ცალკეული ქმედების ინტენსიურობის შეფასებისათვის და არა ზოგადად, ვინაიდან ქმედებები, რომლებიც ობიექტური ნიშნის თანახმად აყენებს პირს ტკივილს საკმარისი სისასტიკით, ჩაითვლება წამებად, მიუხედავად იმისა, ეს პირი მდებრობითი თუ მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ძლიერი აგებულებისაა თუ არა. სასამართლომ აღნიშნული განმარტება გააკეთა საქმეში *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, რომელშიც აღნიშნა, რომ განხორციელებული მოპყრობა არა მარტო ძალადობრივი ხასიათის იყო, არამედ „ისინი ნებისმიერი პირისათვის, მისი მდგომარეობის მიუხედავად, იქნებოდა შემზარავი და დამამცირებელი.“¹⁸

სტრასბურგის სისტემის მიერ ასევე აღიარებულ იქნა, რომ ის, რაც მიჩნეულია დაუშვებელ არასათანადო მოპყრობად, შესაძლოა, ასევე ცვალებადი იყოს სხვადასხვა ადგილებში. ერთ-ერთ საქმეში აღნიშნულია შემდეგი:

„ცალკეულ მოწმეთა ჩვენებებიდან ნათლად ჩანს, რომ პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ როგორც პოლიციის, ასევე სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული მოპყრობის გარკვეული უხეშობა შეწყნარებულია (დაშვებულია) უმეტესი პატიმრების მიერ და ზოგჯერ ჩვეულებრივ მოვლენადაც კი აღიქმება. ხსენებული ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ზღვარი, რომლის ქვემოთაც პატიმრებსა და საზოგადოებას შეუძლიათ შეიწყნარონ ფიზიკური ძალადობა, როგორც

¹⁶ მაქკალემი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*McCallum v. the United Kingdom*), 30 აგვისტო 1990, §§ 27, 33; სერია A - №183.

¹⁷ *Selcuk and Asker v. Turkey*, 24 აპრილი 1998, § 76, ანგარიში 1998-II.

¹⁸ *Selmouni v. France [GC]*, 28 ივლისი 1999, №25803/94, §103, ECHR 1999-V.

არა სასტიკი და ზღვარგადალახული, განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოებებს და თვით საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორისაც კი”.¹⁹

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საზოგადოებებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებს შესაძლოა გააჩნდეთ განსხვავებული წარმოდგენა არასათანადო მოპყრობის ცნებასთან დაკავშირებით. კონკრეტული მოპყრობა, რომელიც მიმართულია, მაგალითად, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ რელიგიურ და კულტურულ დოგმათა გათვალისწინებით, შესაძლოა გარკვეული ჯგუფის მიერ განხილულ იქნეს როგორც უფრო სასტიკი, სხვა ჯგუფთან შედარებით. ფსიქოლოგიური შედეგების ხარისხი, რომელიც ინდივიდს მიადგა კონკრეტული მოპყრობის შედეგად, ყოველთვის დამოკიდებულია პირის კულტურაზე.

1.3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის მტკიცების სტანდარტი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებაში ადგენს „გონივრული ეჭვის მიღმა” სტანდარტს. ასეთი მტკიცებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს „დასკვნებიდან ან ფაქტის გაუქარწყლებელი პრეზუმფციიდან. როდესაც შესაბამისი მოვლენები, მთლიანად ან უმეტესწილად, ექსკლუზიურად არის ცნობილი ხელისუფლების ორგანოებისთვის, ისევე, როგორც მათი ზედამხედველობის ქვეშ პატიმრობაში მყოფი პირების შემთხვევაში, ფაქტების ძლიერი პრეზუმფცია მოქმედებს იმ დაზიანებებთან ... დაკავშირებით, რომლებიც მიღებული იქნება პატიმრობისას.” ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი აწევს ხელისუფლების ორგანოებს და გულისხმობს მათი მხრიდან დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებების წარმოდგენას²⁰. ხელისუფლების მხრიდან ასეთი ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომელიც შესაძლოა, არ იყო სახარბიელო მოპასუხე მთავრობისთვის.²¹

არსებობს მტკიცების ტვირთის ასპექტები, რომლებიც ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ გამოძიების წარმართვის დროს, რათა მათი ქმედებები შესაბამისობაში იყოს მე-3 მუხლის მოთხოვნებთან. ასე

¹⁹ დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (The Greek Case), №3321/67, №3322/67, №3323/67, №3344/67, გვ. 501, 1969.

²⁰ სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Salman v. Turkey [GC], №21986/93, § 100, ECHR-2000-VII).

²¹ ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey), №25656/94, § 274, 18 ივნისი 2002.

მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ

„როდესაც პირი აყვანილია პოლიციის მიერ პატიმრობაში სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ მას აღენიშნება დაზიანებები გათავისუფლებისას, მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლების ორგანოებს, რათა მათ წარმოადგინონ ჯეროვანი ახსნა-განმარტება დაზიანებების წარმოშობასთან დაკავშირებით. ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.“²²

როდესაც კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილია საჩივარი, ევროპულმა სასამართლომ ის განსაკუთრებით ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს.²³ თუმცა, როდესაც ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოება, სასამართლომ ფაქტების დამდგენი ეროვნული სასამართლოების შეფასება არ უნდა ჩაანაცვლოს თავისი შეფასებით და, ზოგადად მიღებული წესის თანახმად, ამ სასამართლოებმა უნდა შეაფასონ მათ წინაშე წარდგენილი მტკიცებულება.

2. განსხვავებები მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს შორის

მე-3 მუხლის განხილვისას აუცილებელია, თავდაპირველად, შევაფასოთ წამებისა და ამ მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობის სხვა სახეთა ურთიერთმიმართება და ნათლად განვსაზღვროთ თუ სად გადის რეალურად მათ შორის ზღვარი.

2.1. წამება

მე-3 მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობის სახეებს შორის განსხვავების საილუსტრაციოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს ორი საქმე: *The Greek Case* და *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. პირველი წარმოადგენს პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებას, რომელიც ეხებოდა საბერძნეთის თავდაცვის ძალების მიერ ჩადენილ ქმედებებს, 1967 წელს განვითარებული სამხედრო გადატრიალების დროს. მოცემულ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ

„...ყველა წამება უნდა იყოს არადაამიანური და დამამცირებელი, ხოლო არადაამიანური მოპყრობა – დამამცირებელი. წამებას აქვს მიზანი, როგორცაა ინფორმაციის ან აღიარების

²² ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tomasi v. France*), 27 აგვისტო 1992, § 108-111, სერია ა №241-A.

²³ მატკო სლოვენის წინააღმდეგ (*Matko v. Slovenia*), № 43393/98, § 100, 2 ნოემბერი 2006.

მოპოვება, დასჯა და, ზოგადად, ის წარმოადგენს არაადამიანური მოპყრობის გამძაფრებულ ფორმას”.²⁴

აღნიშნული დეფინიცია გამეორდა ევროპული სასამართლოს მომდევნო რამდენიმე საქმეში და „მიზნობრივი ფაქტორი” წამების განსაკუთრებით სახასიათო ელემენტად იქცა. თუმცა, ზემოთ ხსნებულ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოთაშორის საქმეში - *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ქმედების წამებად შეფასება უნდა მომხდარიყო „მიყენებული ტანჯვის ინტენსივობისა და სხვადასხვაობის საფუძველზე”.²⁵ მოცემული საქმე ეხებოდა დიდი ბრიტანეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ ორგანიზაცია „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის” წევრობაში ეჭვმიტანილ პირთა დაკითხვას, მგრძობელობის წართმევისკენ - ე.წ. “დეზორიენტაციისკენ” მიმართული 5 მეთოდის ერთობლივად გამოყენებით. „5 ტექნიკის” სახელით ცნობილ ამ მეთოდებს წარმოადგენდა:

- კედელთან დგომა: კერძოდ, დაზარალებული პატიმრების აღწერის თანახმად, „კედელთან გამართული, ცერებზე დგომა რამდენიმე საათის განმავლობაში, თავს ზემოთ აწეული ხელებით...“;
- თავსაფარი: პატიმრების თავზე მუქი ფერის ტომრის ჩამოცმევა და ასეთ მდგომარეობაში დატოვება დაკითხვის მთელი პერიოდის განმავლობაში;
- ხმაურისადმი დაქვემდებარება: დაკითხვის განმავლობაში პატიმართა ისეთ ოთახში მოთავსება, რომელშიც ადგილი ჰქონდა განგრძობად, ხმამაღალ, სისინისმაგვარ ხმაურს;
- ძილის აღკვეთა;
- საკვებისა და სასმელის წყლის შეზღუდვა: პატიმრებს მათი ცენტრში ყოფნისა და დაკითხვების განმავლობაში მიეწოდათ შეზღუდული რაოდენობის საკვები და სასმელი წყალი.

სასამართლომ დაადგინა, ვინაიდან ხუთი მეთოდი გამოყენებული იყო ერთობლიობაში და ზედიზედ ოთხი საათის განმავლობაში, ქმედებამ სულ მცირე გამოიწვია მათდამი დაქვემდებარებული პირების ინტენსიური ფიზიკური და სულიერი ტანჯვა და მწვავე ფსიქიკური აშლილობა. ამდენად, მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ის ექცევა არაადამიანური მოპყრობის კატეგორიაში. გამოყენებული მეთოდები ასევე იყო დამამცირებელი, რადგანაც ისინი მსხვერპლში წარმოშობდნენ შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც შეეძლო მათი დამცირება და დაკნინება. მართალია,

²⁴ დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (*The Greek Case*), №3321/67, №3322/67, №3323/67, №3344/67, გვ.186, 1969.

²⁵ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 18 იანვარი 1978, №5310/71, §167; სერია ა №25.

ზემოაღნიშნული ხუთი მეთოდი, რომლებიც კომბინირებულად იქნა გამოყენებული, უეჭველად უთანაბრდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენების მიზანი იყო აღიარების მოპოვება თუ ინფორმაციის მიწოდება, სასამართლოს მოსახზრებით, მათ არ გამოუწვევია ისეთი ინტენსივობისა და სისასტიკის ტანჯვა, რომელსაც გულისხმობს სიტყვა „წამება“.

აღნიშნული საქმით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, გაეგლო ერთგვარი ზღვარი წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეებს შორის, ვინაიდან სიტყვა წამება „ასოცირდება განსაკუთრებულ სტიგმასთან.“²⁶ შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ ცნებათა შორის განსხვავებისთვის არა მიზნობრიობის, არამედ სისასტიკისა და ინტენსიურობის დონეებზე დაყრდნობით იხელმძღვანელა და დაადგინა, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირებულიყო, როგორც წამება, საჭირო იყო მოპყრობას გამოეწვია „ძლიერი და სასტიკი ტანჯვა.“²⁷ ხსენებული დონეების განსასაზღვრად კი სასამართლო დაეყრდნო სისასტიკის მინიმალური ზღვრის შესაფასებლად საჭირო წინა თავში აღნიშნულ ფაქტორებს, როგორცაა ხანგრძლივობა; ფიზიკური და სულიერი შედეგები; მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა; აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან კონვენცია ერთმანეთისგან განასხვავებს „წამებას“ და „არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას“, როგორც ჩანს, ის მიზნად ისახავდა, რომ ამ ტერმინებიდან პირველი მიეჩნია სპეციალურ კატეგორიად, რომელშიც იგულისხმება მხოლოდ ისეთი განზრახი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს ძალიან ძლიერ და სასტიკ ტანჯვას. ამასთანავე, ეს ლოგიკა უდევს საფუძვლად გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1975 წლის 9 დეკემბერს მიღებული 3452 (XXX) რეზოლუციის პირველ მუხლს, რომლის თანახმად:

„წამება არის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მიმე და განზრახი ფორმა.“²⁸

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ გახმაურებულ სახელმწიფოთაშორის საქმეზე - *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, გადაწყვეტილების მიღებიდან 21 წლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, მკვეთრად განსხვავებული განმარტება გააკეთა პრეცედენტული მნიშვნელობის კიდევ ერთ საქმეში *სელმუნი*

²⁶ იქვე.

²⁷ Long D, Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment, Geneva, 2002, p. 14.

²⁸ UN Resolution 3452(XXX): Declaration on the Protection of All Persons from Being Subjected to Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 9 December 1975; Art. 1.2.

საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], რომელიც ეხებოდა საპოლიციო ძალების მიერ დაკავებულის არაადამიანურ მოპყრობას, როგორც ფიზიკური, ასევე სექსუალური თვალსაზრისით. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ:

„კონკრეტული ქმედებები, რომლებიც წარსულში დაკვალიფიცირდა არა როგორც „წამება“, არამედ „არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა“, მომავალში შესაძლოა განსხვავებულად შეფასდეს. ის იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კუთხით საჭიროა უფრო მაღალი სტანდარტის არსებობა და შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევები უტყუარად შეფასდეს.“²⁹

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეებს შორის განსხვავების დასადგენად ყურადღება ექცევა „მიყენებული ტანჯვის ინტენსივობას“. მიყენებული ტანჯვის ინტენსივობა ან სისასტიკე კი განისაზღვრება იმავე ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებსაც სასამართლო იყენებს სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასების დროს. კიდევ ერთხელ წარმოგიდგინო აღნიშნულ ფაქტორებს: მოპყრობის ხანგრძლივობა; ფიზიკური და სულიერი შედეგები; მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა; აღსრულების ხასიათი და მეთოდი.³⁰

2.2. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, მოცემულ თავში ერთად იქნება განხილული განსხვავება წამებასა და არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას შორის. უფრო კონკრეტულად, რაც შეეხება განსხვავებას არასათანადო მოპყრობის იმ სახეებს შორის, რომლებიც კონვენციის მე-3 მუხლით არის აკრძალული, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე *ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* განმარტავს, რომ

“მოპყრობა მიიჩნევა არაადამიანურად, როდესაც ის არის წინასწარი განზრახვით ჩადენილი, სისასტიკის მინიმალურ ზღვარს ცდება და იწვევს სხეულის რეალურ დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას, ხოლო როდესაც მოპყრობა შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, გამოხატავს რა პატივისცემის ნაკლებობას ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების ისეთი ხარისხის განცდას, რომელსაც შეუძლია მისი

²⁹ *Selmouni v. France* [GC], 28 ივლისი 1999, №25803/94, § 101, ECHR 1999-V.

³⁰ *The prohibition of torture – A guide to the implementation of Article 3 of the European Convention on Human Rights*, Aisling Reidy, Human rights handbooks, No.6, pg.12, © Council of Europe, 2002.

მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხვა, აღნიშნული უნდა შეფასდეს როგორც დამამცირებელი მოპყრობა.”³¹

ამ ორ ცნებას შორის განსხვავების კუთხით უნდა ითქვას, რომ არაადამიანური მოპყრობა დეფინიციის მიხედვით „წამების” ცნებასთან ახლოს დგას და შემსუბუქებული ფორმით მისი მრავალი ასპექტითაც ხასიათდება, ხოლო დამამცირებელი მოპყრობა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გადაწყვეტილებებში ყოველთვის იყო და დღემდე რჩება დაკავშირებული „სერიოზულ შეურაცხყოფასთან.” მისი დეფინიცია ყველაზე ნათლად იკვეთება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *აღმოსავლეთ აფრიკელი აზიელები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*³², რომლის თანახმადაც:

„მე-3 მუხლით აკრძალული მოცემული ცნების ზოგად მიზანს ადამიანის ღირსების განსაკუთრებით სერიოზული შელახვის პრევენცია წარმოადგენს. ქმედება, რომელიც ამდაბლებს პიროვნებას რანგით, პოზიციით, რეპუტაციის ან პიროვნული თვალსაზრისით, დამამცირებლად მიიჩნევა, მხოლოდ სისასტიკის კონკრეტული დონის მიღწევის შემდეგ.”³³

ასევე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით თვალსაჩინო განმარტებას იძლევა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*³⁴, რომლის მიხედვით:

„მართალია, მოპყრობას... უნდა შეეძლოს პირის დამცირება და დაკნინება, თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს, რომ განცდილი ტანჯვა და დამცირება აუცილებლად უნდა სცდებოდეს ტანჯვის და დამცირების გარდაუვალ კომპონენტს, რომელიც თან ახლავს შესაბამის კანონზომიერ მოპყრობას ან სასჯელს”.³⁵

რაც შეეხება განზრახვას, არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში მრავალ დეფინიციაში ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორცაა „წინასწარი განზრახვით,” „მიზანმიმართული” და სხვ., რაც ლოგიკურიცაა, ვინაიდან რთულად წარმოსადგენია მე-3 მუხლით აკრძალული აღნიშნული ქმედების განხორციელება მკვეთრად გამოხატული ინტერესის გარეშე. თუმცა, დამამცირებელი მოპყრობის განმარტებებში მიზნობრიობის ფაქტორი გამორჩეულად არ ფიგურირებს, რაც ცალსახა პასუხის გარეშე ტოვებს შემდეგ კითხვას – არის თუ არა საჭირო პირის შეურაცხყოფის ან დამცირების გამოკვეთილი განზრახვა იმისათვის, რომ სახეზე გვექონდეს მე-3 მუხლის დარღვევა?³⁶

³¹ Pretty v. the United Kingdom, №2346/02, § 52, ECHR 2002-III.

³² East African Asians v. the United Kingdom, №4403/70, 14 დეკემბერი 1973.

³³ იქვე, §189.

³⁴ Kudla v. Poland [GC], №30210/96, 26 ოქტომბერი 2000, ECHR 2000-XI.

³⁵ იქვე, §92.

³⁶ Long D, Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment, Geneva, 2002, p. 18.

ხსენებულ საკითხთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება გადაწყვეტილებაში საქმეზე – *პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ*³⁷, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაში ბრალდებული პირის საჩივარს ქვეყნის პენიტენციალური დაწესებულების წინააღმდეგ. მომჩივანი თავდაპირველად ციხეში არსებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოათავსეს და შემდგომ, გამოყოფილ შენაერთში გადაიყვანეს, რომელიც მისი განცხადებით, ფსიქიატრიული ზრუნვის საჭიროების მქონე პაციენტისთვის შეუსაბამოდ დაბალი ხარისხის პირობებით ხასიათდებოდა. წინამდებარე საქმეში სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა მომჩივნის დამცირების ან დაკნინების განზრახვას, თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ „მართალია, მხედველობაშია მისაღები, ისახავდა თუ არა მოპყრობა დაზარალებულის დამცირების ან დაკნინების მიზანს, თუმცა ამ მიზნის არარსებობა საბოლოოდ არ გამორიცხავს მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის შესაძლებლობას“³⁸ და საქმეში მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.

შედეგად, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტის შეფასებისას პირდაპირი განზრახვის არარსებობა საგულისხმო გარემოებაა, თუმცა ის არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების განმსაზღვრელ ფაქტორს.

2.2.1. დისკრიმინაცია, როგორც დამამცირებელი მოპყრობა

დისკრიმინაციული მოპყრობა, როგორც ასეთი, შესაძლოა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს, თუ ასეთი მოპყრობა სიმძიმის ისეთ ზღვარს აღწევს, რომ ადამიანის ღირსების შელახვას წარმოადგენს. პირველად აღნიშნული საკითხი ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმეზე *აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*³⁹, სადაც კომისიამ დაადგინა, რომ ინსტიტუციონალური რასიზმი წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას. საქმეში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე სასამართლო არ დაეთანხმა კომისიას; თუმცადა, სტრასბურგის სასამართლომ დაუშვა ის პრინციპი, რომლის შესაბამისად, ასეთი დისკრიმინაცია შესაძლოა წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას. ეს მიდგომა დადასტურდა ამჟამინდელი მუდმივმოქმედი სასამართლოს მიერ.

³⁷ Peers v. Greece, №28524/95, ECHR 2001-II.

³⁸ იქვე, §74.

³⁹ Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom, 28 მაისი 1985, სერია ა №94.

აღნიშნული საკითხი სტრასბურგის სასამართლომ ასევე განიხილა საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ საქმეში *იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*⁴⁰, სადაც მომჩივნები დავობდნენ, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული მშვიდობიანი მსვლელობის დროს, ისინი ვერ დაიცვეს კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი თავდასხმებისგან. წინამდებარე საქმეში მომჩივნები ასევე ითხოვდნენ მომხდარის სათანადო გამოძიებას, კერძოდ, თავდამსხმელების დისკრიმინაციული მოტივის დადგენას.

მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა, როგორც ასეთი, შესაძლოა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს, თუ ასეთი მოპყრობა სიმძიმის ისეთ ზღვარს აღწევს, რომ ადამიანის ღირსების შელახვას წარმოადგენს. დისკრიმინაციული გამონათქვამები და შეურაცხყოფა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ დამამძიმებელ გარემოებად, როდესაც მე-3 მუხლის ჭრილში ფიზიკური ძალადობის მოცემულ შემთხვევას ვიხილავთ.⁴¹ ისეთი ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებისას როგორც არის ფიზიკური ძალადობა, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, მიმართონ ყველა გონივრულ ზომას, რათა გამოავლინონ შესაძლო დისკრიმინაციული განზრახვა, რაც, სასამართლო აღიარებს, რთული ამოცანაა. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება - გამოიძიოს ძალადობრივი აქტის შესაძლო დისკრიმინაციული საფუძველი, წარმოადგენს გამოსაძიებლად ყველა ზომის გამოყენების ვალდებულებას და არ არის აბსოლუტური ვალდებულება. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მოცემულ გარემოებაში ყველა გონივრული საშუალება, რომ შეაგროვოს და დაიცვას მტკიცებულებები, სიმართლის დასადგენად ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს და საქმეზე დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები გამოიტანოს, ისეთი საეჭვო ფაქტების დაფარვის გარეშე, რომლებიც მიუთითებს ძალადობის რასობრივი თუ რეგილიური შეუწყნარებლობის ან გენდერული დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენას.⁴² სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ

„დისკრიმინაციული განზრახვით ჩადენილი ძალადობისა და სისასტიკის ფაქტების მიმართ ისეთივე დამოკიდებულება როგორც იმ საქმეებთან, რომლებიც დისკრიმინაციულ ქვეტექსტს არ შეიცავს, იქნებოდა თვალის დახუჭვა იმ ქმედებების სპეციფიკური ხასიათის მიმართ, რომლებიც

⁴⁰ *Identoba and Others v. Georgia*, №73235/12, 12 მაისი 2015.

⁴¹ მოლდოველები და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (*Moldovan and Others v. Romania* (no. 2), nos. 41138/98 და 64320/01, §111, 5 ივლისი 2005.

⁴² ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Nachova and Others v. Bulgaria* [GC]), nos.43577/98 და 43579/98, §160, ECHR 2005-VII.


განსაკუთრებით არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. არსებითად განსხვავებულ შემთხვევებში ამ განსხვავების არხაზგასმა წარმოადგენს გაუმართლებელ და კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ მიდგომას.”⁴³

საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. მომჩივნები ადამიანების განრისხებული ბრბოთი იყვნენ გარშემორტყმულნი, რომელიც მათ რაოდენობით აღემატებოდა და სიკვდილით ემუქრებოდა, ხოლო შიგადაშიგ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადიოდა. ეს მიუთითებდა განხორციელებული მუქარის რეალურ ხასიათზე, და აშკარა ჰომოფობიური დისკრიმინაციული ფაქტორის დამამძიმებელ გარემოებაზე. არსებული სიტუაცია უკვე საკმარისი იყო, რომ ძლიერი შიში და მღელვარება აღედრა. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მიზანს აშკარად წარმოადგენდა მომჩივნების დაშინება, რათა მათ შეეწყვიტათ ლგბტ საზოგადოების მიმართ თავიანთი მხარდაჭერის საჯარო გამოხატვა.

2.3. დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება გამოიყოს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის დეფინიციები. სახელდობრ,

⁴³ იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Identoba and Others v. Georgia), №73235/12, §67, 12 მაისი, 2015.



3. კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები

კონვენციის მე-3 მუხლი წევრ სახელმწიფოებს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ვალდებულებებს. ქვემოთ განხილული იქნება თითოეული მათგანი.

3.1. ნეგატიური ვალდებულება

ნეგატიური ვალდებულება

ნეგატიური ვალდებულება სახელმწიფოს აიძულებს, თავი შეიკავოს ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ქმედებებისაგან. სახელმწიფო პასუხს აგებს ყველა ძალისმიერი ორგანოს ქმედებისათვის, იქნება ეს პოლიცია, უშიშროების ძალები თუ ამ ორგანოებში მომუშავე თანამდებობის პირები. ისინი პასუხს აგებენ მიუხედავად იმისა, მოქმედებდნენ ბრძანებით თუ საკუთარი ნების თანახმად. სახელმწიფოები ვერ აიცილებენ პასუხისმგებლობას მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებისათვის იმის მტკიცებით, რომ მათ არ იცოდნენ ამის შესახებ.

როგორც მე-3 თავში აღინიშნა, საქმეში *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა მსხვერპლთა დაკითხვისას ე.წ. „ხუთი ტექნიკის“ გამოყენების გამო და აღნიშნა:

„დაუჯერებელია, რომ სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეებს, სულ მცირე, არ სცოდნოდათ ამგვარი პრაქტიკის არსებობის შესახებ. უფრო მეტიც, კონვენციის თანახმად, ეს მოხელეები მკაცრად აგებენ პასუხს ქვეშევრდომების ქმედებაზე; მათ უნდა უზრუნველყონ მათი ნების აღსრულება ქვეშევრდომების მიერ და არ შეიძლება თავი დაიძვრინონ იმის მტკიცებით, რომ ვერ მოახერხეს ამის უზრუნველყოფა.“⁴⁴

მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების მიუხედავად, შესაძლოა არ დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც ადგილი აქვს ცალკეულ პირთა მხრიდან უდისციპლინობის ინდივიდუალურ აქტებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ამგვარი ქმედებების პრევენციისათვის. სახელმწიფომ უნდა გადადგას გადამჭრელი ნაბიჯები, რათა პასუხი აგებინოს დამნაშავე პირებს და განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომ მსგავსი ქმედებების გამეორება დაუშვებელი იყოს.⁴⁵

3.2. პოზიტიური ვალდებულებები

პოზიტიური ვალდებულება

კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებები შესაძლოა დაიყოს ორ კატეგორიად:

⁴⁴ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 18 იანვარი 1978, § 159, სერია ა №25.

⁴⁵ [ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“](#), თავი მე-3 - წამების აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი), 2005.

- სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს პირთა დაცვა არამხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა, არამედ კერძო პირთა მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისგან;
- და პროცედურული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებას.

3.2.1. პირთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან

კონვენციის 1-ლი მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანები დაიცვას მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობისგან, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მას კერძო პირები ახორციელებენ. ეს ვალდებულება უნდა მოიცავდეს ეფექტურ დაცვას, მათ შორის კონკრეტული პირის ან პირების დაცვას, მესამე პირთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებისგან, ასევე გონივრულ ზომებს რომ აღკვეთილ იქნას ფიზიკური ძალადობა, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო ან მათ ამის შესახებ უნდა სცოდნოდათ⁴⁶.

საქმეში „ა“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁴⁷ სტრასბურგის სასამართლომ განმარტა:

„მე-3 მუხლი კონვენციის პირველ მუხლთან ერთად, ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კერძო პირები მისი იურისდიქციის ფარგლებში არ გახდნენ წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი, მათ შორის კერძო პირების მიერ განხორციელებული ამგვარი ქმედებების გამო“.⁴⁸

წინამდებარე საქმეში ბავშვი სასტიკად სცემა მამინაცვალმა, რომელიც შემდგომში წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე თავდასხმისათვის; თუმცადა, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა მშობელს ქმედების გასამართლებლად ნებას რთავდა არგუმენტად მოეყვანა „მშობლის მიერ დისციპლინარული სასჯელის გამოყენება“. ბავშვმა და მისმა მამამ გაასაჩივრეს ხსენებული კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, აღნიშნეს რა, რომ რეალურად ადგილი ჰქონდა ხარვეზის არსებობას სამართლებრივ სისტემაში, რომელიც იცავდა ინდივიდუალურ პირებს აკრძალული ქმედებებისაგან. სასამართლომ გაიზიარა მსხვერპლის მოსაზრება და აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ცალკეულ ღონისძიებათა

⁴⁶ ტ.მ. და ს.მ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ (T.M. and C.M. v. the Republic of Moldova), №26608/11, § 38, 28 იანვარი 2014.

⁴⁷ „ა“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (A v. United Kingdom), 23 იანვარი 1998, § 22, ანგარიში 1998-VI.

⁴⁸ იქვე, § 2.

განხორციელება, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ინდივიდუალური პირები არ დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას ან სასჯელს. სასამართლომ აღნიშნა: „ბავშვები და სხვა მოწყვლადი პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან დაცვა ეფექტური, შემაკავებელი ფორმით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელშეუხებლობის სერიოზული გარანტიები“.⁴⁹ უფრო მეტიც, სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი, იმყოფება რა სახელმწიფო მოხელეთა ხელში, სუსტ პოზიციაშია და ხელისუფლების მოვალეობაა მისი დაცვა⁵⁰.

გარდა ამისა, სახელმწიფოს არ შეუძლია თავი აარიდოს პასუხისმგებლობას იმ ორგანოთა ქმედებაზე, რომელთაც გადასცა საკუთარი ვალდებულებები. თუ კერძო სკოლაში გამოიყენებენ სასჯელის ისეთ ფორმას, რომ ის მიაღწევს მესამე მუხლით განსაზღვრულ დონეს, ამგვარი ქმედებისათვის დადგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც სახელმწიფო ავტომატურად აგებს პასუხს განათლების უფლების უსაფრთხოებაზე.⁵¹ გადაწყვეტილებაში საქმეზე *კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁵² სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მე-3 მუხლი მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისათვის სათანადო დაცვას.

3.2.2. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიება

საქმეში *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*⁵³ სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

„როდესაც პირი წარმოადგენს საფუძვლიან საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მასზე უკანონოდ და მე-3 მუხლის დარღვევით სერიოზულად განხორციელდა არასათანადო მოპყრობა პოლიციის ან სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლების მიერ, ხსენებული დებულება, სახელმწიფოებზე კონვენციის 1-ლი მუხლით დაკისრებულ ზოგად ვალდებულებასთან ერთად, რომლის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასათვის

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ ბერკტაი თურქეთის წინააღმდეგ (*Berktaş v. Turkey*), №22493/93, § 167, 1 მარტი 2001.

⁵¹ კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. United Kingdom*), 25 მარტი 1993, § 27, სერია ა №247-C.

⁵² *Costello-Roberts v. United Kingdom*, 25 მარტი 1993, სერია ა №247-C.

⁵³ (*Assenov and Others v. Bulgaria*), 28 ოქტომბერი 1998, ანგარიში 1998-VIII.

უზრუნველყონ [კონვენციაში] განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები”, მოითხოვს, რომ წარმართოს ოფიციალური გამოძიება.”⁵⁴

კონვენციის მე-3 მუხლი ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს, სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტი ეფექტურად გამოიძიოს, მაშინაც, თუკი ფიზიკური ძალადობა კერძო პირების მიერ განხორციელდა.⁵⁵ იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტურად“ ჩატარებულად მივიჩნიოთ, მან უნდა შეძლოს საქმეზე ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა.⁵⁶ ეს წარმოადგენს არა თავად გამოძიებით შედეგის მიღების ვალდებულებას, არამედ გამოძიების წარმართვის ვალდებულებას. ამასთან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოს ხშირად შეუფასებია, მოახდინა თუ არა ხელისუფლებამ ინციდენტზე დროული რეაგირება.

3.2.2.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებას

კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის საკითხი აქტუალური იყო საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ არაერთ საჩივარში. მომჩივნები ძირითადად ასაჩივრებდნენ წინასწარი დაკავების იზოლატორში ან პატიმრობის დროს მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების ჩაუტარებლობას. საქართველოში პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების გაჭიანურებული და არაეფექტური გამოძიების საკითხი პირველად ასახულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში *ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*⁵⁷. ამ ტიპის დავებს *ღარიბაშვილის ჯგუფის* საქმეები დაერქვა. ამ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა, რომ ჩატარებული გამოძიებები არ იყო სათანადოდ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რაც ძირითადად განპირობებული იყო სავარაუდო დამნაშავეთა და გამოძიებლებს შორის ინსტიტუციური კავშირით და რიგ შემთხვევაში იერარქიული სუბორდინაციითაც კი. ქვემოთ რამდენიმე საქმე უფრო დეტალურად იქნება განხილული.

გადაწყვეტილებაში საქმეზე *დანელია საქართველოს წინააღმდეგ*⁵⁸ მომჩივანი დავობდა, რომ წინასწარი პატიმრობის დროს წამების მსხვერპლი გახდა, თუმცა, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებმა მას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ნება არ დართეს, რამაც საბოლოოდ აღნიშნული ფაქტის გამოძიებას ხელი შეუშალა.

⁵⁴ იქვე, § 102.

⁵⁵ მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v. Bulgaria), №39272/98, ECHR 2003-XII.

⁵⁶ სტოიკა რუმინეთის წინააღმდეგ (Stoica v. Romania), №42722/02, §67, 4 მარტი 2008.

⁵⁷ Gharibashvili v. Georgia, №11830/03, 2008 წლის 29 ივლისი.

⁵⁸ დანელია საქართველოს წინააღმდეგ (Danelia v. Georgia), №68622/01, 17 ოქტომბერი 2006.

სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ განაცხადა, როდესაც მომჩივანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან უკანონო და კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებს, ხსენებული დებულება ამავე კონვენციის 1-ელ მუხლთან მიმართებით, რომელიც წევრ სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა პირისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას აკისრებს, ასეთ შემთხვევაში ოფიციალური და ეფექტიანი გამოძიების წარმოებას მოითხოვს. სასამართლოს განმარტებით:

„გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა იქნება პრაქტიკულად უშედეგო და მიუხედავად მისი ფუნდამენტური ღირებულებისა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო მოხელეებს, სრულიად დაუსჯელად ფეხქვეშ გათელონ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარებიან.“⁵⁹

მოცემულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ, არასათანადო მოპყრობის შესახებ წარდგენილი საჩივრის პასუხად საგამოძიებო მოქმედებათა ჩაუტარებლობის საფუძველზე, კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა.

სტრასბურგის სასამართლომ მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დარღვევა დაადგინა საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ კიდევ ერთ საჩივარში. კერძოდ, გადაწყვეტილებაში საქმეზე *ალიევი საქართველოს წინააღმდეგ*⁶⁰ სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც სრულად იყვნენ ინფორმირებულნი №88 საკანში 2002 წლის 3-4 ოქტომბრის დამეს მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებული ძალის შესახებ, უნდა ჩაეტარებინათ გამოძიება მომჩივნის მიერ საჩივრის ოფიციალურად შეტანამდე. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ მომჩივანს უნდა შეეტანა საჩივარი და გამოძიების დაწყებისთვის ჩაეტარებინა შესაბამისი პროცედურები. სასამართლომ აღნიშნა, რომ

„მე-3 მუხლის მიხედვით, ხელისუფლება ვალდებულია, საჩივრის შეტანისთანავე დაიწყოს მოქმედება. მაშინაც კი, როცა საჩივარი, როგორც ასეთი, არ არის შეტანილი, აუცილებელია გამოძიების დაწყება, თუ არსებობს საკმარისად ზუსტი მონაცემები, რომლებიც იძლევა ფიქრის საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან არასათანადო მოპყრობას. ამ კონტექსტში, სისწრაფისა და გონივრული გულმოდგინების მოთხოვნა აშკარაა“⁶¹.

ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა და მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გამოიძია მომჩივნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების პროპორციულობის საკითხი.

⁵⁹ იქვე, §44.

⁶⁰ Aliev v. Georgia, №522/04, ECHR 2009.

⁶¹ გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia) №71156/01, § 97, 3 მაისი 2007.

გადაწყვეტილებაში საქმეზე *დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*⁶² სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევა და მიიჩნია, რომ პოლიციის მხრიდან მომჩივნის მიმართ, აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით, ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას. აღნიშნულ საქმეში აპლიკანტი ასევე ასაჩივრებდა მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გამოიძიეს მომჩივნის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და სწრაფად გაატარეს გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებები, როგორცაა სხვადასხვა მოწმეთა დაკითხვა, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ გამოიძიება საკმარისად სრულყოფილი და ეფექტიანი იყო. სტრასბურგის სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა შესაბამისი ორგანოების მხრიდან მტკიცებულებათა შეფასებისადმი არასწორ მიდგომაზე. სასამართლოსთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ დაეყრდნენ პასუხისმგებელი ორგანოები მომჩივნის აღიარებით ჩვენებას, რომელიც, მომჩივნის მტკიცებით, ფიზიკური ზეწოლის ქვეშ მისცა; აგრეთვე პოლიციელთა ჩვენებებს, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აღნიშნული ჩვენებები შესაძლოა სუბიექტური ყოფილიყო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არიდებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანოებმა არ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, რათა შეემოწმებინათ პოლიციელთა ჩვენებების უტყუარობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა.

დროული გამოძიების ჩატარების ვალდებულებას ეხებოდა გადაწყვეტილება საქმეზე *მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*⁶³. სასამართლომ განაცხადა, რომ მოცემულ საქმეში დაგვიანდა მთელი რიგი აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, რამაც გაართულა ან საერთოდ შეუძლებელი გახადა პროკურატურის მიერ მომჩივნის მიერ გასაჩივრებელი სავარაუდო ინციდენტის დეტალური გამოძიება. ამ კუთხით გამოძიების ყველაზე სერიოზული შეცდომა იყო მომჩივნისთვის სამედიცინო შემოწმების დაგვიანებით ჩატარება. უფრო მეტიც, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის დაკავებისას პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტებასთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოება ორი თვით დაგვიანებით დაიწყო. ეს შეუთავსებელია დროული გამოძიების ჩატარების ვალდებულებასთან, ვინაიდან არსებობს რისკი იმისა, რომ დროსთან ერთად, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სამხილები გაქრება და დაზიანებები მოშუშდება.⁶⁴

⁶² Dvalishvili v. Georgia, № 19634/07, 18 დეკემბერი 2012.

⁶³ Mikiashvili v. Georgia, №18996/06, 9 ოქტომბერი 2012.

⁶⁴ პადურეტი მოლდოვის წინააღმდეგ (Paduret v. Moldova), №33134/03, §64, 5 იანვარი 2010.

2019 წლის 21 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე *გაბლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*⁶⁵, რომელიც ეხებოდა პატიმართა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას და სახელმწიფოს მიერ ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2009 წლის 30 მარტს მომჩივნები სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობის დროს დააკავეს, რა დროსაც ციხის თანამშრომლებმა ხის ჯოხებითა და რკინის მილებით სასტიკად სცემეს. დაკავების შემდეგ მომჩივნები საკანში მოათავსეს, სადაც ციხის თანამშრომლებმა გააგრძელეს მათი ცემა. მომჩივნებმა დაკითხვის დროს გამოძიებელს უთხრეს, რომ მიღებული დაზიანებები ციხის მაღალი კედლიდან გადმოხტომას უკავშირდებოდა, თუმცა სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს მათ შეცვალეს თავდაპირველი ჩვენებები და განაცხადეს, რომ დაკავებისას და დაკავების შემდგომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.

მომჩივნებმა 2009 წლის 10 ნოემბერს მიმართეს მთავარ პროკურორს, რათა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით დაწყებულიყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. გამოძიების ფარგლებში დაიკითხა ციხის უფროსი და ციხის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც მომჩივანთა დაკავებაში მონაწილეობდნენ. დაკითხვისას ყველა მათგანმა უარყო მომჩივანთა ცემის ფაქტი. გამოძიებელი სრულად დაეთანხმა ციხის თანამშრომელთა ვერსიას და დაასკვნა, რომ დაზიანებები შესაძლოა კედლიდან გადმოხტომას გამოეწვია. პროკურორმა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე შეწყვიტა გამოძიება.

წინამდებარე საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევა დაადგინა. როგორც სტრასბურგის სასამართლომ მრავალ წინა შემთხვევაზე ხაზგასმით აღნიშნა, ხელისუფლების სწრაფი პასუხი, არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდებებთან დაკავშირებით, შესაძლოა მინეული იყოს არსებითად საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და იმის საჩვენებლად, რომ ისინი იცავენ კანონის უზენაესობას და თავიდან ირიდებენ უკანონო ქმედებების მიმართ შემწყნარებლობის ან შეთქმულების ნებისმიერ გამოვლინებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე ხელისუფლებამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი, საფუძვლიანი და ეფექტური გამოძიების ჩატარება 2009 წლის 30 მარტის შემთხვევასთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, ის ფაქტი, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედება განხორციელდა სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა ანუ იმავე უწყებამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ციხის

⁶⁵ Gablishvili v. Georgia, №7088/11, 2019 წლის 21 თებერვალი.

სისტემაზე, წარმოშობდა გონივრულ ეჭვებს გამოძიების დამოუკიდებლობასთან მიმართებით. ასევე, სასამართლო ექსპერტიზა მომჩივანთა დაზიანებების თაობაზე არ შეესაბამებოდა დამოუკიდებლობის სტანდარტების მოთხოვნებს, რადგან ის ჩატარდა იმ გამომძიებლის თანდასწრებით, რომელსაც მოგვიანებით მომჩივნები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, გამოძიების ეფექტიანობას ეჭვქვეშ აყენებდა ასევე ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილებაში მოცემული დასკვნები ეფუძნებოდა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში მონაწილე ციხის თანამშრომელთა ჩვენებას. პროკურორმა ციხის თანამშრომელთა განცხადებები სანდოდ მიიჩნია ისე, რომ არ წარმოუდგენია ამის გამამყარებელი მიზეზები. მან არ გაითვალისწინა, რომ ეს განცხადებები შეიძლებოდა სუბიექტური ყოფილიყო და მიზნად ისახავდა მომჩივანთა წინააღმდეგ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. ციხის თანამშრომელთა განცხადებების სანდოობა უნდა შემოწმებულიყო, რადგან გამოძიებას უნდა დაედგინა, იყვნენ თუ არა ისინი პასუხისმგებელი სისხლის სამართლის ბრალდებებზე. გარდა ამისა, დაკავებაში მონაწილე ძალოვნები ზედაპირულად დაიკითხნენ. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა მათგანის განცხადება იყო შაბლონური, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მონაწილეობა არ მიუღიათ არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში და ფიზიკური ძალა, რომელიც მომჩივანთა დაკავებისას მათ გამოიყენეს აუცილებელი იყო. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, გაურკვეველია ხელისუფლებამ გამოკითხა თუ არა პოტენციურად მნიშვნელოვანი მოწმეები. მაგალითად, ციხის დაცვა, რომელსაც, მომჩივანთა განცხადებით, ციხის უფროსისგან დავალებული ჰქონდა დაკავების შემდეგ ესროლა მომჩივნებისთვის, თუმცა მან ეს ბრძანება არ შეასრულა; გამომძიებელი, რომელმაც სავარაუდოდ მომჩივნებს თავდაპირველი განცხადებების გაკეთება აიძულა; ციხის უფროსი, რომელმაც სავარაუდოდ ინციდენტის შემდეგ მალევე მონახულა მომჩივნები და სიჩუმის სანაცვლოდ შემწყნარებლობას დაპირდა. სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნულ პოტენციურ მოწმეთა ჩვენებების რაიმე ასლი, როგორც გამოძიების შემადგენელი ნაწილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო სრულყოფილი, ადეკვატური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული სამართლის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, სრულყოფილად გამოიძიონ ის დაზიანებები, რომლებიც პირს დაკავების ან

პატიმრობის დროს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიაღება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შეადგინოს.⁶⁶

4. პატიმრობის პირობები

<p>კონვენციის მე-3 მუხლთან პატიმრობის პირობების თავსებადობის შეფასების დროს სტრასბურგის სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ კუმულატიურ გარემოებებს:</p>	<p>გამომდინარე იქედან, რომ დახურულ დაწესებულებებში ადევკატური სამედიცინო დახმარების მიწოდების ვალდებულება კვლევის ფარგლებში ცალკეა განხილული, აღნიშნულ თავში განხილული იქნება მხოლოდ პატიმრობის პირობები.</p>
<ul style="list-style-type: none"> • საკნის გადატვირთულობა; • არაადეკვატური სანიტარული პირობები; • გათბობის საშუალება; • დღის სინათლის ხელმისაწვდომობა; • საძილე პირობები; • პირადი სივრცისთვის განკუთვნილი სივრცე (საკნის კვადრატულობა); • თანამესაკნის თანდასწრების გარეშე ტუალეტით სარგებლობის შესაძლებლობა; • სათანადო საკვები; • ვენტილაცია; • გარე სამყაროსთან კონტაქტი; • დროის ხანგრძლივობა რა პერიოდშიც მოუწია აპლიკანტს გასაჩივრებულ პირობებში ყოფნა; • და ასევე მომხივნის მიერ გამოთქმული სპეფიციკური პრეტენზიები. 	<p>მე-3 მუხლის საფუძველზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა კიდევ ერთ ჯგუფს წარმოქმნის პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული საჩივრები. აღნიშნულ საქმეებში მიჩნეულია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის დაკავება ისეთ პირობებში, რომელიც ზიანს არ აყენებს მის ადამიანურ ღირსებას.⁶⁷ პატიმრობის პირობები მიუთითებს როგორც ზოგად გარემოზე, რომელშიც პატიმრები ცხოვრობენ, ასევე ციხის რეჟიმსა და კონკრეტულ პირობებზე, რომლებშიც იქ შესახლებული პირები იმყოფებიან. იმის შეფასებისას, შეესაბამება თუ არა კონვენციას გარემო ან პირობები, რომლებშიც პატიმარი იმყოფება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პატიმრის მდგომარეობა – მისი ასაკი და სქესი, პატიმრის საშიშროება – ისევე როგორც ის</p>

⁶⁶ მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), №18996/06, § 69, 9 ოქტომბერი 2012.

⁶⁷ კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia) № 47095/99, § 95, ECHR 2001-XI.

ფაქტორი, პატიმარი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში თუ არა.⁶⁸

საპატიმრო სასჯელის აღსრულების მეთოდი არ უნდა აყენებდეს დაპატიმრებულს ტკივილს ან ტანჯვას ისეთი ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს. კერძოდ, პატიმრობის პირობებმა არ უნდა გამოიწვიოს პატიმრის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. ყოველ კონკრეტულ საქმეზე, სტრასბურგის სასამართლო მხედველობაში იღებს იმ კუმულაციურ ეფექტს, რომელიც პატიმრობას აქვს ადამიანზე და ასევე იმ მატერიალურ პირობებს, რომლებშიც პატიმარი იმყოფება.⁶⁹ ლოჯისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწიოს თავისი პენიტენციური სისტემა, რომ უზრუნველყოს პატიმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა.⁷⁰

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს ამ თვალსაზრისით აკისრებს ორი სახის ვალდებულებას: პოზიტიურსა და ნეგატიურს.

- **პოზიტიური ვალდებულება** გამოიხატება პატიმრის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.
- **ნეგატიური ვალდებულებით** კი, პატიმარი არ უნდა დაექვემდებაროს მე-3 მუხლით აკრძალულ არასათანადო მოპყრობას დაპატიმრების პირობების გამო.

სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ*⁷¹ დაადგინა, რომ

„კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პიროვნებამ სასჯელი მოიხადოს ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ, პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.“⁷²

ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაპატიმრებული პირის ისეთ პირობებში მოთავსება, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ღირსების პატივისცემას. ამასთან, აღმკვეთი ზომის აღსრულების მეთოდი და საშუალება არ უნდა აყენებდეს დაპატიმრებულს ტკივილს ან ტანჯვას ისეთი ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს, და რომ თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით,

⁶⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება : გზამკვლევი / [ავტ.: აისლინგ რეიდი ; მთარგმნ.: ლაშა ჭელიძე და სხვ. ; რედ.: ლაშა ჭელიძე] - [თბ. : ევროპის საბჭო, 2005.] გვ. 117.

⁶⁹ დობრევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Dobrev v. Bulgaria), №55389/00, 10 აგვისტო 2006.

⁷⁰ ბენედიქტოვი რუსეთის წინააღმდეგ (Benediktov v. Russia) № 106/02, § 37, 10 მაისი 2007.

⁷¹ Kudla v. Poland [GC], №30210/96; 26 ოქტომბერი 2000, ECHR 2000-XI.

⁷² იქვე, § 94.

პატიმრის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი.⁷³

Greek-ის საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ პატიმრობის პირობები, როდესაც პატიმრები გადატვირთულ საკანში ცხოვრობდნენ და არ გააჩნდათ გათბობისათვის სათანადო საშუალებები, სანიტარია, საწოლები, საკვები, ჯანმრთელობის გაუმჯობესების საშუალებები და კავშირი გარე სამყაროსთან, წარმოადგენდა დამამცირებელს.

ერთ-ერთ საქმეში პატიმარს სულ მცირე 2 თვის განმავლობაში უხდებოდა 24 საათიანი პერიოდის უმეტესი ნაწილის გატარება პრაქტიკულად თავის საწოლზე მიჯაჭვულს ისეთ საკანში, რომელსაც არ გააჩნდა ვენტილაცია და ფანჯრები და ზოგჯერ აუტანლად ცხელოდა. მას ასევე უხდებოდა ტუალეტის გამოყენება თანამესაკნის თანდასწრებით და ისიც, თავის მხრივ, ესწრებოდა თანამესაკნის მიერ ტუალეტით სარგებლობის პროცესს. სასამართლომ ჩათვალა, რომ ციხის გასაჩივრებელი პირობები ამცირებდა პატიმრის პიროვნულ ღირსებას და წარმოშობდა მასში ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც შეეძლო მისი დამცირება და დაკნინება, ასევე მისი ფიზიკური თუ მორალური ხელშეუხებლობის დარღვევა.⁷⁴

განმარტოებითი პატიმრობა ან განცალკევება ხშირად გამხდარა არაადამიანურ თუ დამამცირებელ პირობებთან დაკავშირებული საჩივრების საფუძველი, მაგრამ არც სასამართლოს და არც ევროპის საბჭოს წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტს არ ჩაუთვლიათ განმარტოებითი პატიმრობა *per se* მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ღონისძიების სიმკაცრემ, განმარტოების ხანგრძლივობამ და მიზანმა, ისევე როგორც აპლიკანტზე მისმა გავლენამ, შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევა განაპირობოს. შესაბამისად, განმარტოებითი პატიმრობის კანონიერება უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. კანონიერება იზღუდება თუ განცალკევება დაპატიმრებულს აყენებს ფიზიკურ ტკივილს და ფსიქოლოგიურ ტანჯვას და ის გამოიყენება აღიარების მოპოვების მიზნით. სტრასბურგის სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ტელევიზორის და გაზეთის ხელმისაწვდომობა, ენის გაკვეთილები, ადვოკატთან კონტაქტის შესაძლებლობა, ისევე როგორც ოჯახის წევრების რეგულარული ვიზიტები.⁷⁵

⁷³ ვალაშინასი ლიეტუვას წინააღმდეგ (*Valasinas v. Lithuania*), №44558/98, § 102, ECHR 2001-VIII.

⁷⁴ *Peers v. Greece*, №28524/95, ECHR 2001-II.

⁷⁵ რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Ramirez Sanchez v. France*) N59450/00, & 134, 27 იანვარი 2005.

4.1. პატიმრობის პირობების თაობაზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრები

პატიმრობის პირობები გასაჩივრდა საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ არაერთ საჩივარში. გადაწყვეტილებაში საქმეზე *ალიევი საქართველოს წინააღმდეგ*⁷⁶ ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის პატიმრობის პირობების გამო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა და განაცხადა, რომ:

„მის ხელთ არსებული მტკიცებულებები მას საშუალებას აძლევს, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა“ მიიჩნიოს, რომ მომჩივანი ნამდვილად იმყოფებოდა მის მიერ საჩივარში გაპროტესტებულ პატიმრობის პირობებში. კერძოდ, მას აწუხებდა საკუთარი საწოლის უქონლობა, ჰაერის მუდმივი უკმარისობა და სიბინძურე 1 წლისა და 4 თვის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც მას აწუხებდა გულის პრობლემები და ასთმა. სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა მომჩივანს უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას.“⁷⁷

გადაწყვეტილებაში საქმეზე *გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ*⁷⁸ მომჩივანი, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ 19 თვის განმავლობაში, ის დაკავებული იყო თბილისის №5 საპყრობილეში, 24 პატიმარზე გათვლილ ბინძურ საკანში, 35 სხვა პატიმართან ერთად, რაც პატიმრებს აიძულებდა, მორიგეობით დაეძინათ. საკანი იმდენად ნესტიანი იყო, რომ მასში ჯანმრთელი პატიმრებიც კი ავად ხდებოდნენ. გარდა ამისა, მომჩივნის მტკიცებით, ციხის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული საკვები იყო უკიდურესად მწირი. ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ

„ ... პატიმრის ჯანმრთელობის გარდა, ასევე ადეკვატურად და პატიმრობის გონივრული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი მისი კეთილდღეობა... “⁷⁹

გაითვალისწინა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლომ წინამდებარე საქმეზე კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებები „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტის მიხედვით, იძლეოდა ვარაუდის საფუძველს, რომ მომჩივნის მიერ გასაჩივრებულმა პატიმრობის პირობებმა მას უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას.

პატიმრობის პირობების საფუძველზე კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთ საქმეზე - *რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ*.⁸⁰ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ

⁷⁶ Aliev v. Georgia, №522/04, ECHR 2009.

⁷⁷ იქვე, § 83.

⁷⁸ Gorgiladze v. Georgia, №4313/04, 20 ოქტომბერი 2009.

⁷⁹ იქვე, § 41.

⁸⁰ Ramishvili and Kokhreidze v. Georgia, №1704/06, 27 იანვარი 2009.

ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადი ფართის უზრუნველყოფა კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით ასევე გულისხმობს, რომ პატიმარს უნდა ჰქონდეს პირადი ცხოვრებით მინიმალურად სარგებლობის უფლება მის ყოველდღიურ საქმიანობაში. იმის გამო, რომ პირველი მომჩივანი იძულებული იყო 120 სანტიმეტრიანი საწოლი გაეზიარებინა უცხო ადამიანთან და ტუალეტშიც არ შეეძლო შესვლა ამ უცხო პირის დაკვირვების გარეშე, მოცემული პირობები არ იძლეოდა განცალკევების და პირადი ცხოვრების ელემენტარულ საშუალებას. საკნის ფართის სივიწროვის პრობლემას ასევე ამძიმებდა ის ფაქტორი, რომ პატიმრობის პერიოდში მომჩივანს არ ჰქონდა სუფთა ჰაერზე გასეირნების საშუალება. დამატებით, საკნის არაჰიგიენური მდგომარეობიდან გამომდინარე აპლიკანტმა უარიც კი თქვა საკვების მიღებაზე. მთავრობის არგუმენტზე პასუხად, რომ მომჩივანი დამოკიდებული იყო ოჯახის და ნათესავების მიერ შეგზავნილ საკვებზე, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საკუთარი საკვების მიღების ნებართვა ვერ შეცვლის სათანადოდ უზრუნველყოფილი კვების მომსახურებას, რადგან თავისუფლებაადკვეთილი პირების კეთილდღეობაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებაა“.⁸¹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე საყურადღებოა სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2017 წლის 21 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ გახმაურებულ საქმეზე *ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ*⁸², სადაც არასრულწლოვანი მომჩივანი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს. თუმცა, განსხვავებით წინა საქმეებისგან, აღნიშნულ საქმეში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს. ქნმა ყუფარაძემ სასამართლოს განუცხადა, რომ მას მთლიანად ჩამოერთვა ყოველდღიური გასეირნების უფლება. თუმცა, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აპლიკანტმა ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს საპირისპირო ჩვენება მისცა. ანალოგიურად, აპლიკანტის ერთ-ერთი საჩივარი, რომელიც ეხებოდა პირსაბანის გაფუჭების გამო საკანში ჰაერის ტენიანობის დარღვევას, დროებითი პრობლემა აღმოჩნდა. გარდა ამისა, მომჩივნის საჩივარი საკანში პირადი სივრცის ნაკლებობასთან დაკავშირებით, არ წარმოშობდა კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს, ვინაიდან დაახლოებით 12-15 კვ.მ. საკანს მაქსიმუმ 3 არასრულწლოვანი, მათ შორის, აპლიკანტი იყოფდა, შესაბამისად, მას რჩებოდა არანაკლებ 4 კვადრატული მეტრი პირადი სივრცისთვის. მომჩივნის პატიმრობის საერთო პირობების შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ არასრულწლოვან

⁸¹ Ramishvili and Kokhreidze v. Georgia, №1704/06, § 87, 27 იანვარი 2009.

⁸² Kuparadze v. Georgia, №30743/09, 21 სექტემბერი 2017.

პატიმრებს თავისუფლად შეეძლოთ დაწესებულების ფსიქოლოგებთან კონსულტაციის გაგლა და შხაპის მიღება, ასევე განათლების გაგრძელება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის საჩივარი ციხის გადატვირთულობისა და საკანში სრულწლოვნებთან ერთად ყოფნის თაობაზე არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით და შეუსაბამობაში მოდიოდა როგორც თვითონ მომჩივნის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან, იმის შესახებ, რომ იგი ხუთი თვის განმავლობაში საკანში მარტო იმყოფებოდა, ასევე სახალხო დამცველის მიერ პატიმრობის პირობების აღწერილობასთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კუთხით საჩივარი არ იყო დასაბუთებული და გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დაადგინა, რომ ციხეში არსებობდა აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული პირობები. და ბოლოს, ვენტილაციის გაუმართავი სისტემის გასაჩივრებისას, მომჩივანს არ წარმოუდგენია დეტალები პრობლემის სერიოზულობის ან ხანგრძლივობის შესახებ. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე სიტუაციის სიმძიმის განსაზღვრის მიზნით, ის მომჩივნისგან ელის კონკრეტული მაგალითების მიწოდებას, როგორც გასაჩივრებული დროის პერიოდის, ასევე მსგავსი პირობების ხანგრძლივობის თაობაზე. ამ ინფორმაციის არარსებობის პირობებში, რომც ჩაითვალოს, რომ ციხის ვენტილაციის სისტემა გაუმართავი იყო, მხოლოდ აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფუძველს.

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა მომჩივნის პატიმრობის რვა პირობა, კერძოდ,

- გასეირნების უფლება;
- ჰაერის ტენიანობის დონე;
- საკნის კვადრატულობა;
- მომჩივნის სრულწლოვნებთან ერთად ყოფნა საკანში;
- ვენტილაცია;
- განათების ხელმისაწვდომობა;
- ფსიქოლოგთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა

და მათი გათვალისწინებით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

4.2. პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესები და გაეროსა და ევროსაბჭოს ორგანოების დასკვნები საქართველოსთან მიმართებით

საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი სტანდარტებით, ანუ პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესების მიხედვით, პატიმრების ყოფნისათვის განკუთვნილი ადგილები, განსაკუთრებით საძინებელი უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის ყველა მოთხოვნას, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით ჰაერის კუბური მოცულობის, მინიმალური ფართის, ჯეროვანი განათების, გათბობისა და ვენტილაციის გათვალისწინებით.

ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის (შემდეგში: წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) (CPT)) მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, პატიმრის მინიმალური საცხოვრებელი ფართი უნდა შეადგენდეს ერთ პატიმარზე 4 კვადრატულ მეტრს. აღნიშნულმა კომიტეტმა საქართველოს მთავრობას რეკომენდაციის სახით ჯერ კიდევ 2001 წელს შესთავაზა თითოეულ პატიმარზე მინიმუმ 4 კვ. მეტრი ფართის გამოყოფა.⁸³ აღსანიშნავია, რომ პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი პირადი ფართის ნაკლებობა შეიძლება ისეთ მწვავე პრობლემად იქნას მიხნეული, რომ გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ასე მაგალითად, რიგ საქმეებში სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნული დებულების დარღვევა მხოლოდ იმ ფაქტიდან გამომდინარე დააფიქსირა, რომ მომჩივნებს ეკავათ 3 კვ. მეტრზე ნაკლები ფართი.⁸⁴ ყველა ადგილზე, რომელიც განკუთვნილია პატიმართა ცხოვრების ან მუშაობისათვის, ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად ფართო იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად კითხვა და მუშაობა. სანიტარია ადეკვატური უნდა იყოს, რათა თითოეულ პატიმარს შეეძლოს ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილება სუფთად და ღირსების შეუღალავად. პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური სააბაზანო და საშხაპე საშუალებებით. პატიმრის მიერ რეგულარულად გამოყენებადი დაწესებულების ყველა ადგილი ყოველთვის უნაკლოდ სუფთა და ჯეროვნად მოვლილი უნდა იყოს. თუკი პატიმრისათვის ნებადართულია საკუთარი ტანისამოსის ტარება, მაშინ პატიმრის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მიღებისას უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ ტანისამოსი იყოს სუფთა და გამოსაყენებლად ვარგისი. თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს ცალკე საწოლი. ციხის ადმინისტრაციამ

⁸³ იხ., წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2005 წლის 30 ივნისის ანგარიში, რომელიც საქართველოში 2003 წლის 18-28 ნოემბრისა და 2004 წლის 7-14 მაისის ვიზიტი შედეგად მომზადდა.

⁸⁴ ლინდი რუსეთის წინააღმდეგ (Lind v. Russia), №25664/05, § 59, 6 დეკემბერი 2007; ანდრეი ფროლოვი რუსეთის წინააღმდეგ (Andrey Frolov v. Russia), №205/02, §§ 47-49, 29 მარტი 2007; კანტირევი რუსეთის წინააღმდეგ (Kantyrev v. Russia), №37213/02, §§50-51, 21 ივნისი 2007.

უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ პატიმარს ჩვეულებრივ საათებში მიეცეს ისეთი შემცველობის საკვები, რომელიც საკმარისია მისი ჯანმრთელობისა და ფიზიკური ენერჯის შესანარჩუნებლად. პატიმარს უნდა მიეცეს სუფთა ჰაერზე, სულ ცოტა, ერთსაათიანი ვარჯიშის შესაძლებლობა. ამ მიზნით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ფართი, საშუალებები და შესაბამისი აღჭურვილობა.⁸⁵

აღნიშნულ პრობლემატიკასთან მიმართებით აღსანიშნავია ზემოხსენებული წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) როლი, რომელიც წევრი სახელმწიფოების მასშტაბით ახორციელებს პერიოდულ (ჩვეულებრივ, 4 წელიწადში ერთხელ, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება დამატებითი საგანგებო ვიზიტები) ვიზიტებს პენიტენციურ დაწესებულებებში. კომიტეტის დელეგაცია საქართველოს ბოლო ვიზიტით 2018 წლის 10-21 სექტემბერს ეწვია, ხოლო ანგარიში 2019 წლის 10 მაისს გამოაქვეყნა. ანგარიშში კომიტეტმა დადებითად აღნიშნა, რომ როგორც დროებითი დაკავების იზოლატორებში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში თანამშრომელთა მხრიდან პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია დელეგაციას პრაქტიკულად არ მიუღია. ანგარიშის თანახმად, ციხეებში პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის ჯანსაღი და დაძაბულობისაგან თავისუფალი ატმოსფერო იყო. ანგარიშში ასევე დადებითად არის განხილული ციხეებში სხვადასხვა სახის ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის აღმოფხვრის თვალსაზრისით გაწეული ძალისხმევა. კომიტეტის დასკვნაში პოზიტიურად არის შეფასებული ზოგადად პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მატერიალური პირობები. თუმცა, კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზეც, რაც მოიცავდა პატიმართა შორის ძალადობას, პატიმართა შორის იერარქიის არსებობას, პატიმართა ფსიქიატრიული მკურნალობის და ციხის რეჟიმისა და აქტივობების გაუმჯობესებას. ანგარიშში აგრეთვე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ძალაში დატოვა რეკომენდაცია, რომლის თანახმად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ როგორც დროებითი დაკავების იზოლატორები, ისე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები უზრუნველყოს:

- თითოეული პატიმრისთვის 4 მ² სივრცით საზიარო საკანში, ხოლო მინიმუმ 6მ² ინდივიდუალურ საკანში;
- აქტივობების პროგრამის შემუშავება, რათა პატიმრებმა დღის გონივრული ნაწილი (8 საათი ან უფრო მეტი) საკნებს გარეთ გაატარონ და ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა ხასიათის საქმიანობაში (განათლება, სპორტი და სხვ.).

⁸⁵ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი” - პატიმრობის პირობები, თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2008, გვ. 14.

კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას ასევე მოუწოდა სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების თანამშრომელს მისცეს ინსტრუქცია, რომ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა სათანადო ზომა, რათა აღმოფხვრან პატიმართა შორის ძალადობა. კომიტეტის რეკომენდაციით ასევე უნდა დასრულდეს არაფორმალურად ლიდერი პატიმრებისთვის ძალაუფლების დელეგირების პრაქტიკა და ამ პატიმრების გამოყენება ციხის მოსახლეობას შორის წესრიგის დასამყარებლად. ყველა არაფორმალურ ლიდერს უნდა ჩამოერთვას ის პრივილეგიები, რომლებითაც სხვა პატიმრები არ სარგებლობენ, რაც მოიცავს პატიმრობის მატერიალურ პირობებსაც.

გარდა ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) საქმიანობისა, აგრეთვე მნიშვნელოვანია გაეროს სპეციალური მომხსენებლის – ხუან ე. მენდესის საქართველოში ვიზიტიც, რომელიც გაეროს ვეგით იყო ორგანიზებული 2015 წლის 12-19 მარტს. ვიზიტის განმავლობაში გაეროს ადამიანის უფლებათა არგენტინელმა ექსპერტმა ჯამში 11 დაწესებულებას ესტუმრა, მათ შორის ფსიქიატრიული დაწესებულებებსა და დროებითი დაკავების იზოლატორებს. მისი დასასრულს, სპეციალურმა მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პატიმართა მოპყრობის კუთხით განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობასა და ამ რეფორმების თანმდევ პოზიტიურ მიღწევებზე. ბ-ნი მენდესის შეფასებით, „პატიმართა მიმართ ზოგადი პოლიტიკის მხრივ, საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებმა მოახერხეს არამარტო ძირეული ცვლილების განხორციელება, არამედ მთლიანად პერსონალის მენტალიტეტში რადიკალურ ცვლილებათა დანერგვაც შეძლეს“. თუმცა, ადამიანის უფლებათა ექსპერტმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ „გასაუმჯობესებელი ჯერ კიდევ ბევრია და აღნიშნულის განსახორციელებლად სათანადო მიმართულებით სისტემური სვლაა საჭირო“.

5. თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევა

კონვენციის მე-3 მუხლის ერთ-ერთ გავრცელებულ დარღვევას წარმოადგენს დაკავებული პირებისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაუწევლობა. ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეფექტური სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით ერთგვარ საერთაშორისო სტანდარტს განსაზღვრავს. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფოს ვალდებულება, სათანადოდ იზრუნოს დაავადებულ პატიმრებზე მოიცავს სამ სხვადასხვა მოვალეობას: სახელმწიფო ვალდებულია

- დარწმუნდეს, რომ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასაშვებს ხდის დაპატიმრებას;
- უზრუნველყოს ადეკვატური (და დროული) სამედიცინო მკურნალობა;⁸⁶
- დაკავების პირობები ინდივიდის ჯანმრთელობას შეუსაბამოს.⁸⁷

ამრიგად, არასაკმარისი მედიკამენტოზური მკურნალობა და ზოგადად, ავადმყოფის ყოფნა არაადაკვატურ საპატიმრო პირობებში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას⁸⁸.

სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დახმარება ციხის საავადმყოფოებში შესაძლოა ყოველთვის არ იყოს იმავე სტანდარტის, რაც საზოგადოებისთვის განკუთვნილ საუკეთესო სამედიცინო ინსტიტუტებში, შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მზრუნველობა იყოს დროული და ზუსტი⁸⁹ და სამედიცინო მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლობის დროს, მეთვალყურეობა იყოს რეგულარული და მოიცავდეს სათანადო თერაპიულ სტრატეგიას, რომლის მიზანიც იქნება დაკავებულის გამოჯანმრთელობა ან მისი მდგომარეობის გაუარესების პრევენცია მაინც.⁹⁰ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა თავისუფლებაადკვეთილ პირთა მკურნალობაზე ასევე იკვეთება იმ გარემოებიდან, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პიროვნების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება აუცილებლად წარმოშობს სერიოზულ ეჭვს დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობის შესახებ.⁹¹

გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე *მუიხელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ „სერიოზულად დაავადებული ან მოხუცებული პირის მოპყრობის კუთხით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი სპეციფიკური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა.“⁹² აღნიშნული საქმე ეხებოდა ლეიკემიით დაავადებული პირის მოპყრობას საავადმყოფოში სისტემატიური ტრანსპორტირებისას და უშუალოდ საავადმყოფოში, სადაც ქიმიოთერაპიის სესიების დროს ის ერთ მკლავზე

⁸⁶ ოშურკო უკრაინის წინააღმდეგ (*Oshurko v. Ukraine*), №33109/05, §82, 8 სექტემბერი 2011.

⁸⁷ უხანი უკრაინის წინააღმდეგ (*Ukhan v. Ukraine*), №30628/02, §74, 83; 18 დეკემბერი 2008; და პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (*Poghosyan v. Georgia*), №9870/07, §46, 24 თებერვალი 2009.

⁸⁸ ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] *Ilhan v. Turkey [GC]* № 22277/93, § 87, ECHR 2000-VII.

⁸⁹ ჰუმატოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Hummatov v. Azerbaijan*), №9852/03 და 13413/04, §115, 29 ნოემბერი 2007.

⁹⁰ პიტალევი რუსეთის წინააღმდეგ (*Pitalev v. Russia*), №34393/03, § 54; 30 ივლისი 2009; ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ (*Vasilyev v. Russia*), № 28370/05, § 58; 10 იანვარი 2012.

⁹¹ ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ (*Khudobin v. Russia*, №59696/00, § 84, ECHR 2006-XII).

⁹² *Mouisel v. France*, №67263/01, §45, 14 ნოემბერი 2002.

ბორკილით საწოლზე იყო მიმაგრებული, ხოლო ორივე ფეხი ჯაჭვით ჰქონდა გადაბმული. ევროპულმა სასამართლომ საქმის გარემოებების შეფასების შედეგად, მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა. მოცემულ გადაწყვეტილებაზე მითითებით კი, ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემამ – La Revue Trimestrielle des Droits de l'Homme (RTDH - ადამიანის უფლებათა ტრიმესტრული განხილვა), აღნიშნა, რომ სერიოზულად დაავადებულ პირთა საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნა არაადამიანურ მოპყრობად უნდა იქნას მიჩნეული.⁹³

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულის გათვალისწინებითაც კი დამამცირებელ მოპყრობად ავტომატურად ვერ შეფასდება სერიოზული დაავადების მატარებელი, სიცოცხლის შეზღუდული ხანგრძლივობის მქონე პირის პატიმრობაში ყოფნა (მაგალითად, შიდსის შემთხვევა – *გელფმანი საფრანგეთის წინააღმდეგ* ⁹⁴). რაც შეეხება ისეთ პირობებს, როგორცაა ფეხზე მარტო დგომის აუცილებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეტლზე, მოცემული გარემოებების არსებობა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.⁹⁵ თუ სახელმწიფო უარს ამბობს, უზრუნველყოს დაკავებული ისეთი სამედიცინო მომსახურებით, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და აღნიშნული საფრთხის ქვეშ აყენებს პატიმრის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, ასევე სახეზე გვაქვს მე-3 მუხლის დარღვევა (სტომატოლოგიურ მომსახურებაზე უარის თქმა, რამაც გამოიწვია პატიმრის ყველა კბილის დაკარგვა)⁹⁶. მთლიანობაში, ჯანმრთელობის დაცვის საჭირო სტანდარტი შესაბამისობაში უნდა იყოს დაკავებულის ადამიანურ ღირსებასთან, თუმცა, ამავდროულად, უნდა ითვალისწინებდეს პატიმრობის პრაქტიკულ მოთხოვნებს.⁹⁷

ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე *ტესტა ხორვატიის წინააღმდეგ*, ევროპული სასამართლოს მიერ მე-3 მუხლის დარღვევის დადგენა განაპირობა არა მხოლოდ C ჰეპატიტით დაავადებული პირისთვის არაჰიგიენურმა და გაუსაძლისი გარემოს არსებობამ ციხეში, არამედ იმ გარემოებამაც, რომ პატიმარი მისი დაავადების შესახებ არ იყო ადეკვატურად ინფორმირებული და მიუხედავად ექიმთან რეგულარული კონსულტაციისა, სათანადო სამედიცინო მკურნალობით არ იყო უზრუნველყოფილი.⁹⁸ თითქმის იდენტურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ქართულ

⁹³ Le maintien en detention des maladies graves constitue un traitement inhumain et degradant – 1007, RTDH 2003.

⁹⁴ Gelfmann v. France, №25875/03, §54; 14 დეკემბერი 2004.

⁹⁵ არუთინიანი რუსეთის წინააღმდეგ (Arutyunyan v. Russia), №48977/09, §77; 10 იანვარი 2012.

⁹⁶ ვ. დ. რუმინეთის წინააღმდეგ (V.D. v. Romania), №7078/02, § 92; 16 თებერვალი 2010.

⁹⁷ ალექსანიანი რუსეთის წინააღმდეგ (Aleksanyan v. Russia), №46468/06, § 140; 22 იანვარი 2008.

⁹⁸ ტესტა ხორვატიის წინააღმდეგ (Testa v. Croatia), №20877/04, §51; 12 ივლისი 2007.

საქმეში - *ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ*,⁹⁹ რომელშიც C ჰეპატიტით დაავადებულ დაკავებულს არ ჩაუტარეს HCV სკრინინგ ტესტი. შედეგად, მომჩივანი 15 თვეზე მეტი დროის განმავლობაში დარჩა დიაგნოსტიკური მკურნალობის გარეშე. ის აგრეთვე დატოვეს ამ დაავადების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გარეშე და, შესაბამისად, მომჩივანს წაერთვა დაავადების კონტროლის შესაძლებლობა. ამდენად, სასამართლომ მთავრობის რეაქცია მომჩივნის დიაგნოზის მიმართ დაგვიანებულად და არაადეკვატურად მიიჩნია და კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა. მოცემული პრობლემა ხსენებული საქმის გარდა ასევე ასახულია სხვა რამდენიმე ქართულ საქმეში, რომლებიც ქვემოთ არის განხილული.

5.1. საპატიმრო დაწესებულებებში ეფექტური სამედიცინო მომსახურების გაუწევლობა საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში

ის ფაქტი, რომ მე-3 მუხლის დარღვევასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს საქმეების უმეტესობა საპატიმრო დაწესებულებებში ეფექტური სამედიცინო მომსახურების გაუწევლობას უკავშირდება (20 დარღვევიდან 11), მოცემული საკითხის განსაკუთრებულ აქტუალობაზე მიუთითებს. 2009-2013 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიიღო 5 გადაწყვეტილება, რომლებიც ეხებოდა პენიტენციურ სისტემაში C ჰეპატიტის და ტუბერკულოზის არასათანადო მკურნალობის სტრუქტურულ პრობლემას. აღნიშნული საქმეებია:

- ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ (Ghvtadze v. Georgia), №23204/07, 3 მარტი 2009;
- პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia), №9870/07, 24 თებერვალი 2009;
- ირაკლი მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ (Irakli Mindadze v. Georgia), №17012/09, 11 მარტი 2003;
- ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ (Jeladze v. Georgia), №1871/08, ECHR 2012;
- ილდანი საქართველოს წინააღმდეგ (Ildani v. Georgia), №65391/09, 26 ივნისი 2007.

ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ ვერ შეასრულა კონვენციის მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, ციხეში ადეკვატური სამედიცინო დახმარება უზრუნველყო. კერძოდ, *პოღოსიანის* და *ღავთაძის* საქმეებზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ

⁹⁹ *ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ* (Jeladze v. Georgia), №1871/08, ECHR 2012.

„მკვარეშეა ეროვნულ დონეზე გადაუდებელი ზოგადი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა მოცემული გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებაში. ამგვარად, მოკლე ვადაში უნდა იქნას გატარებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებები საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში C ვირუსული ჰეპატიტის გადადების პრევენციის მიზნით, უნდა შეიქმნას დაავადების დიაგნოსტიკის, ასევე სახელმწიფოს მიერ მისი სწრაფი და ეფექტური მკურნალობის სისტემა.“¹⁰⁰

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი 5 საქმე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2014 წლის 12 ნოემბრის რეზოლუციით (CM/ResDH(2014)209) აღსრულებულად გამოაცხადა და, შედეგად, დაიხურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის მკურნალობის სტრუქტურულ პრობლემას ეხებოდა. აღნიშნულ რეზოლუციაში მინისტრთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა 2013-2014 წლებში სასჯელაღსრულების სისტემაში, კერძოდ, პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში, გატარებული რეფორმები.

თავისუფლებაადკვეთილი პირებისთვის სამედიცინო დახმარების კუთხით, სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ დადგენილი დარღვევები მოიცავდა შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ტუბერკულოზისა და/ან C ჰეპატიტის მკურნალობის არაადეკვატურობა;
- არაადეკვატური სამედიცინო დაწესებულებები და სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული საჩივრების პროცედურის არაეფექტურობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოხსენებულ *ჯელადის* საქმეზე, სადაც ჩამოთვლილია ზოგადი პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა იყოს მე-3 მუხლის მიხედვით. სასამართლო განმარტავს, რომ „მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თავისუფლებაადკვეთილ პირთა ფიზიკური კეთილდღეობა“¹⁰¹. ამავდროულად, აღნიშნული არ უნდა შეფასდეს, როგორც სახელმწიფოებისთვის ზოგადი ვალდებულების დაწესება, გაათავისუფლონ დაკავებულები ჯანმრთელობის საფუძველზე. უფრო სწორად, ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს საპრობილემო შემსაბამისი ხარისხის მკურნალობით უზრუნველყოს დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის

¹⁰⁰ პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia), №9870/07, §70, 24 თებერვალი 2009.

¹⁰¹ კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Kudla v. Poland [GC]), №30210/96; § 94, 26 ოქტომბერი 2000, ECHR 2000-XI.

შესაბამისობა მის განგრძობად პატიმრობასთან, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის მიიმედ ავადაა.”¹⁰²

საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთ საქმეზე - *ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ*¹⁰³, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ მომჩივნის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გართულების შემდეგ მოხდა და ის გამოჯანმრთელებამდე გადაიყვანეს ციხეში, სადაც სათანადო მკურნალობა არ ჩაუტარდა. სასამართლო ასევე აღნიშნავს, „მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაკავებული ინახულა ექიმმა და დაუნიშნა გარკვეული მკურნალობა, არ იძლევა ავტომატურად იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ გაწეული სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური”.¹⁰⁴

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ერთ-ერთ ცნობილ საქმეში - *ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ*: „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სრული დოკუმენტაციის წარმოება დაკავებულის სამედიცინო მდგომარეობისა და მისი მკურნალობის შესახებ პატიმრობის პერიოდში.”¹⁰⁵ აღსანიშნავია, რომ სწორედ მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობას ჰქონდა ადგილი საქმეში - *ილდანი საქართველოს წინააღმდეგ*, რომელშიც მთავრობამ ვერ შეძლო დაკავების საწყის პერიოდში მომჩივნის სამედიცინო მდგომარეობის შესახებ ანგარიშის ან იმ დროისთვის მისთვის დანიშნულ მკურნალობასთან დაკავშირებული რაიმე სამედიცინო დასკვნის წარმოდგენა. მათ მიერ წარმოდგენილი ციხის უფროსის წერილი და ერთგვერდიანი ამონაწერი სამედიცინო დოკუმენტაციიდან კი სტრასბურგის სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია და შედეგად, 2010 წლის თებერვლამდე მომჩივნისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების გაუწევლობის გამო, დროის შესაბამის მონაკვეთში მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.¹⁰⁶ თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ თებერვლის დასაწყისში მომჩივნისთვის ფოკალური ფილტვის ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის შემდგომ, ის მაშინვე ჩართეს ტუბერკულოზის კონტროლის ყველაზე ეფექტურ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ - DOTS-ის (უშუალო მეთვალყურეობის მოკლე კურსი) პროგრამაში. გ. ილდანის გადაყვანა რუსთავის №1 საპყრობილეში მხოლოდ მკურნალობის 8-თვიანი კურსის პირველი ეტაპის

¹⁰² გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Goginashvili v. Georgia*), №47729/08, §§69-70, 4 ოქტომბერი 2011; მახარაძე და სიხარულიძე (*Makharadze and Sikharulidze v. Georgia*), №35254/07, §§71-73, 22 ნოემბერი 2011.

¹⁰³ *Ghavidze v. Georgia*, №23204/07, 3 მარტი 2009.

¹⁰⁴ ჰუმატოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Hummatov v. Azerbaijan*), №9852/03 და 13413/04, § 116, 29 ნოემბერი 2007.

¹⁰⁵ *Khudobin v. Russia*, №59696/00, §83, ECHR 2006-XII.

¹⁰⁶ ილდანი საქართველოს წინააღმდეგ (*Ildani v. Georgia*), №65391/09, §§39-40, 23 აპრილი 2013.

დადებითი შედეგით დასრულების შემდეგ მოხდა. რაც შეეხება იმ საკითხს, სათანადოდ იყო თუ არა აღჭურვილი სასჯელადსრულების ხსენებული დაწესებულება მკურნალობის შემდეგი ეტაპის ჩატარების უზრუნველსაყოფად, სტრასბურგის სასამართლომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ მომჩივანმა DOTS-ის სტანდარტების შესაბამისად განაგრძო ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღება და იმყოფებოდა მუდმივი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ. აღნიშნულ ფაქტზე მთავრობის მიერ წარმოდგენილი სრულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ დიაგნოზის დასმის შემდგომი მკურნალობის ჩატარების კუთხით კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა¹⁰⁷.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, სამედიცინო მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლობის დროს, უზრუნველყოს პაციენტის რეგულარული მეთვალყურეობა, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს სათანადო თერაპიულ სტრატეგიასა და დიაგნოსტიკას. შესაბამისი ორგანოები ასევე უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ შექმნილია აუცილებელი პირობები, რათა დანიშნული მკურნალობა ჩატარდეს სრულად.¹⁰⁸ მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებისას, მათ უნდა იხელმძღვანელონ სათანადო გულისხმიერებით, ვინაიდან „სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს მძიმედ დაავადებულ პაციენტზე არის ერთ-ერთი საშუალება და არა შედეგი.“¹⁰⁹

სწორედ მოცემული ასპექტების შეფასებას ეხებოდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი საქმე – *მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*. საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ სასჯელადსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულების ქიმიოთერაპიის სპეციალისტის კონსულტაციის შესაბამისად, პაციენტს უნდა ჩატარებოდა ყოველკვარტალური სამედიცინო გამოკვლევა. ეს რეკომენდაცია კი არ შესრულებულა, რადგან მომჩივანი მოთავსებული იყო რუსთავის №2 სასჯელადსრულების დაწესებულებაში შემდეგი ოთხი თვის განმავლობაში. შედეგად, მიუხედავად მძიმედ ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ექიმის რეკომენდაციისა, რომლის თანახმად ქიმიოთერაპიის რეგულარულად ჩატარება აუცილებლობას წარმოადგენდა, აპლიკანტი დატოვეს გადაუდებლად საჭირო ქიმიოთერაპიის გარეშე. საბოლოოდ, მომჩივნის მდგომარეობის სიმძიმის, კერძოდ, დაპაციმრებიდან რვა თვის შემდეგ სიმსივნის რეციდივის დიაგნოზის დასმისა და მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია,

¹⁰⁷ იქვე, §§ 41-43, 45-46.

¹⁰⁸ ჰოლომიოვი მოლდოვეთის წინააღმდეგ (Holomiov v. Moldova), №30649/05, § 117, 7 ნოემბერი 2006.

¹⁰⁹ გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Goginashvili v. Georgia), №47729/08, § 71, 4 ოქტომბერი 2011.

რომ მთავრობამ სათანადოდ ვერ გაამართლა მძიმედ ავადმყოფი პატიმრის სამედიცინო მეთვალყურეობის ვალდებულება, რის შედეგადაც მომჩივანმა ვერ მიიღო ადეკვატური სამედიცინო დახმარება შესაბამის პერიოდში (28 მარტამდე).¹¹⁰

თუმცა აქვე, აღსანიშნავია, რომ *ილდანის* ზემოსსენებული საქმის მსგავსად, მოცემულ საქმეშიც, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის საფუძველზე, მთავრობამ დაუყოვნებლივ გადაიყვანა მომჩივანი სასჯელადსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებაში და უზრუნველყო ყველა საჭირო სამედიცინო გამოკვლევით. მირზაშვილს იქ ორჯერ შესთავაზეს ქიმიოთერაპიის ჩატარება, რაზეც მომჩივანმა ორივეჯერ უარი განაცხადა. საყურადღებოა, რომ მოცემული დაწესებულება 2008 წელს გაიხსნა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) აღწერით სათანადოდ იყო აღჭურვილი იმისთვის, რომ მძიმედ დაავადებული პატიმრებისთვის ჩატარებინა მკურნალობა და პაციენტები მუდმივად იმყოფებოდნენ ონკოლოგისა და ქიმიოთერაპევტის მეთვალყურეობის ქვეშ. შედეგად, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მთავრობა უყურადღებო იყო მძიმე ავადმყოფი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ მკურნალობის რომელიმე ეტაპზე და ამიტომ, 2008 წლის 28 მარტის შემდეგ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

6. ექსტრადიცია და გაბევა

*შამაევი და 12 სხვა პირი საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ*¹¹¹ არის საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ერთადერთი საქმე, სადაც სტრასბურგის სასამართლომ ექსტრადიციის კონტექსტში მე-3 მუხლის დარღვევა განიხილა.

ამასთან, აღნიშნული საქმე საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ სტრასბურგის სასამართლომ, მომჩივნების მოთხოვნის საფუძველზე, გამოიყენა რეგლამენტის 39-ე წესი (დროებითი ღონისძიება) და საქართველოს მთავრობას მიუთითა, არ მოეხდინა მომჩივნების ექსტრადიცია, სანამ საჩივარს არ შეისწავლიდა. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო დროებითი ღონისძიების შესახებ მოთხოვნას მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრულ პირობებში აკმაყოფილებს, კერძოდ, მაშინ, როდესაც მომჩივანი ნათელყოფს, რომ არსებობს კონვენციის სერიოზული დარღვევის რეალური საშიშროება. მიუხედავად სტრასბურგის სასამართლოს მიერ რეგლამენტის 39-ე წესის გამოყენებისა, საქართველოს ხელისუფლებამ 5 მომჩივნის ექსტრადიცია განახორციელა და განაცხადა, რომ

¹¹⁰ მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Mirzashvili v. Georgia*), №26657/07, §§ 68-70, 7 სექტემბერი 2017.

¹¹¹ *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, №36378/02, ECHR 2005-III.

კავშირის პრობლემის გამო დროულად ვერ შეიტყო დროებითი ღონისძიების შესახებ ევროპული სასამართლოს განჩინების თაობაზე. საქართველოში დაპატიმრებულ 8 მომჩივანთან დაკავშირებით, სასამართლომ გააგრძელა დროებითი ღონისძიება და დაიწყო საჩივრის განხილვა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2002 წლის 4 აგვისტოს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ მომჩივნები დააკავა გირევის საგუშაგოზე, საზღვრის გადმოკვეთისას. ზოგი მათგანი დაჭრილი იყო და ისინი სამედიცინო დახმარების გასაწევად საავადმყოფოში გადაიყვანეს. მომჩივნების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საზღვრის უკანონო გადმოკვეთის, იარაღის შემოტანის და იარაღის უკანონო ტარების, შენახვისა და გადატანის ბრალდებით. 2002 წლის 6 და 7 აგვისტოს ვაკე-საბურთალოს რაიონის 1-ლი ინსტანციის სასამართლომ მომჩივნებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. 2002 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ მათი ექსტრადიციის მოთხოვნით საქართველოს ხელისუფლებას მიმართა. ისინი აცხადებდნენ, რომ დაპატიმრებული პირები ჩეჩნეთში მებრძოლი ტერორისტები იყვნენ. გამომდინარე იქედან, რომ არ ემთხვეოდა მომჩივნებისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პირების გვარები, საქართველოს პროკურატურამ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტების და სხვა მტკიცებულებების შეფასების შედეგად, მოხდა 5 მომჩივნის იდენტიფიცირება. ამ პირების მიმართ რუსეთში წარდგენილი ბრალის სიმძიმიდან გამომდინარე, პროკურორის მოადგილემ 2002 წლის 2 ოქტომბერს მათი ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს განჩინებისა, 2002 წლის 4 ოქტომბერს განხორციელდა 5 ჩეჩენის რუსეთში ექსტრადიცია. მომჩივნები, რომელთა ექსტრადიცია არ მომხდარა, კვლავ საქართველოში იყვნენ დაპატიმრებულები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში ექსტრადიცია, სადაც არ იყო გაუქმებული სიკვდილით დასჯა, მათ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო მოპყრობის დაქვემდებარების რეალური რისკის წინაშე აყენებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მის ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე, ხუთ ექსტრადირებულ მომჩივანთან მიმართებით გამოიტანა დასკვნა, რომ საქმესთან დაკავშირებით ფაქტები არ იძლეოდნენ „გონივრულ ეჭვს მიღმა“ იმის მტკიცების საშუალებას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტში არსებობდა სერიოზული და დადასტურებული მოტივები იმაში დასარწმუნებლად, რომ ექსტრადიცია მომჩივნებს აყენებდა რეალური საშიშროების წინაშე, რომ მათ მიმართ გამოყენებული იქნებოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. ამრიგად, საქართველოს კონვენციის მე-3 მუხლი არ დაურღვევია.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ახალ, უკიდურესად საგანგაშო მოვლენაზე, რაც გამოიხატებოდა ჩენური წარმოშობის პირების დევნასა და მკვლევლობებში. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, 2003 და 2004 წლებში ფიქსირდებოდა დევნის შემთხვევების მკვეთრი მატება, რასაც ადასტურებდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრების მზარდი ოდენობაც. დევნა გამოიხატებოდა მუქარებში, წამებებში, დაპატიმრებაში, გატაცებებსა და მკვლევლობებში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოში მყოფი ერთ-ერთი მომჩივნის რუსეთში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი; სასამართლოს განცხადებით, ის შეფასებები, რომლებიც გააკეთდა 2 წლის წინ აღნიშნული მომჩივნის ექსტრადიციის გადაწყვეტილების სასარგებლოდ აღარ იყო საკმარისი იმისთვის, რომ გამორიცხულიყო მის მიმართ არასათანადო მოპყრობის საშიშროება. შესაბამისად, მისი რუსეთში ექსტრადიცია გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

გაძევებისა და ექსტრადიციის საქმეებში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ინდივიდები ადამიანის უფლებათა დარღვევისგან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პირის გაძევება ან ექსტრადიცია იმ ქვეყანაში, სადაც იგი შესაძლოა დაექვემდებაროს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას, პასუხისმგებლობას აკისრებს ექსტრადიციის განმახორციელებელ სახელმწიფოს.¹¹² აღნიშნული პრინციპი პირველად გაცხადდა საქმეში *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹¹³, რომელშიც შეერთებული შტატები გაერთიანებული სამეფოსაგან მოითხოვდა მიმალვაში მყოფი პირის ექსტრადიციას, რომელსაც ბრალად ედებოდა მკვლევლობის ჩადენა ვირჯინიის შტატში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მას მსჯავრს დასდებდნენ შეერთებულ შტატებში მკვლევლობის ჩადენაში, მას მოელოდა სასიკვდილო განაჩენი და ე.წ. „სიკვდილმისჯილთა საკნის ფენომენი“, რომელიც, მისი მტკიცებით წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას. სიკვდილმისჯილთა საკნის ფენომენი წარმოადგენს პატიმრობის პირობების ერთობლიობას (სახელდობრ, ძალიან მკაცრი და სასტიკი, მაღალი უსაფრთხოების ციხეს, რომელშიც პატიმარი შესაძლოა იმყოფებოდეს წლების განმავლობაში სააპელაციო პროცესის ხანგრძლივობის გათვალისწინებით) სიკვდილის ყველგან თანმდევ სულიერ ტკივილთან ერთად. სოერინგის საქმეში დანაშაულის ჩადენის დროს მომჩივნის

¹¹² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება : გზამკვლევი / [ავტ.: აისლინგ რეიდი ; მთარგმნ.: ლაშა ჭელიძე და სხვ. ; რედ.: ლაშა ჭელიძე] - [თბ. : ევროპის საბჭო, 2005.] გვ. 89.

¹¹³ სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Soering v. the United Kingdom*), 7 ივლისი 1989, სერია ა №161.

ასაკმა (იგი 18 წელს მიუღწეველი იყო) და შემდგომმა სულიერმა მდგომარეობამ ასევე შეუწყო ხელი სასამართლოს იმის დადგენაში, რომ სსენებელი პირობები წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. სასამართლომ შემდგომში დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში თუ გაერთიანებული სამეფო არსებულ პირობებში მოახდენდა ექსტრადირებას, ადგილი ექნებოდა მე-3 მუხლის დარღვევას. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა:

„რომ შევაჯამოთ, ხელშემკვრელი სახელმწიფოს გადაწყვეტილება შემოხიზნული პირის ექსტრადიციის თაობაზე შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მე-3 მუხლს და იწვევდეს ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის საფუძველზე, თუ წარმოდგენილია საკმარისი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ ექსტრადირების შემთხვევაში შესაბამის პირს დაემუქრება წამების ან არაპუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის რეალური საფრთხე ექსტრადიციის მომთხოვნ ქვეყანაში. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად, კონვენციის მე-3 მუხლის სტანდარტებით უნდა შეფასდეს არსებული მდგომარეობა იმ ქვეყანაში, რომელიც ითხოვს პირის ექსტრადიციას. მაგრამ არც ზოგადი საერთაშორისო სამართალი, არც ეს კონვენცია და არც რაიმე სხვა საფუძველი არ ითვალისწინებს ექსტრადიციის მომთხოვნი ქვეყნის პასუხისმგებლობაზე მსჯელობას ან დადგენას. თუკი ამ კონვენციის მიხედვით შეიძლება დადგეს რაიმე პასუხისმგებლობა, ეს არის ექსტრადიციის განმახორციელებელი ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მისი უშუალო ქმედების შედეგად პირი დგება აკრძალული არასათანადო მოპყრობის საფრთხის წინაშე.“¹¹⁴

საქმეთა მთელმა წყებამ, რომელიც მოჰყვა *სოერინგის* საქმეს, გაამყარა ის პრინციპი, რომლის თანახმადაც, როდესაც არსებობს იმის საფუძველი, რომ გაძევების შემთხვევაში პირი აღმოჩნდება წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის რისკის ქვეშ მიმდებ სახელმწიფოში, მაშინ დგება ზემოხსენებული ქმედებისგან განმახორციელებელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი. რაც შეეხება არასათანადო მოპყრობის საფრთხის განსაზღვრას, სტრასბურგის სასამართლომ განმარტა:

„იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადგილი არასათანადო მოპყრობის საფრთხეს, გამოკვლეული უნდა იქნას მიმდებ ქვეყანაში მომჩივნის გაგზავნის განჭვრეტადი შედეგები და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იქ არსებული ზოგადი მდგომარეობა და მომჩივნის პირადი გარემოებები.“¹¹⁵

რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, მომჩივანს უკან დაბრუნების შემთხვევაში უნდა ემუქროდეს არასათანადო მოპყრობის „რეალური საფრთხე“, რათა ეს უკან დაბრუნება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად ჩაითვალოს. ერთი მხრივ, საქმეში *ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹¹⁶ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არასათანადო მოპყრობის „უბრალო

¹¹⁴ იქვე, § 91.

¹¹⁵ საადი იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Saadi v. Italy [GC]), № 37201/06, § 130, ECHR 2008.

¹¹⁶ ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vilvarajah and Others v the United Kingdom), 30 ოქტომბერი, 1991, სერია ა №215.

აღბათობა“ საკმარისი არ არის „რეალური საფრთხის“ ზღვრის მისაღწევად.¹¹⁷ თუმცა, საქმეში *საადი იტალიის წინააღმდეგ* მან თქვა, რომ საჭირო ზღვარი არის უფრო დაბალი, ვიდრე სტანდარტი „უფრო მეტად სავარაუდოა“.¹¹⁸ სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, იგივე ზღვარი გამოიყენება ყველა მომჩივნის მიმართ, მიუხედავად მათი გარემოებებისა. უფრო კონკრეტულად კი საადის საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ იგივე ტესტი - „რეალური საფრთხე“ - გამოიყენება იმ მომჩივანთა მიმართაც, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ მომჩივნებს არ მოეთხოვებათ სხვა მომჩივნებზე მაღალი საფრთხის სტანდარტის დაკმაყოფილება.¹¹⁹

ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში დაწვრილებით იმსჯელა მომჩივნის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე წარსულში განცდილ სერიოზულ ზიანთან დაკავშირებით და ჩათვალა, რომ ამ გარემოებას, დადასტურების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი წონა უნდა მიენიჭოს.¹²⁰ თუმცა, საქმეზე *ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹²¹ სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა:

„ ... რადგან [მომჩივნის] დეპორტაცია ჯერ არ მომხდარა, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ დროს არსებულ მდგომარეობაზე. ამიტომ, მართალია, საინტერესოა ისტორიული მდგომარეობა, რადგან მან შეიძლება ნათელი მოჰფინოს არსებულ მდგომარეობას და მის შესაძლო განვითარების კურსს, თუმცა გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამჟამად არსებულ მდგომარეობას.¹²²”

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ მკაცრი მოძიება ჩატარდეს პირის საჩივართან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, მე-3 სახელმწიფოში ექსტრადიცია მას დააყენებდა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რისკის წინაშე. ისეთი ავტომატური ან მექანიკური დებულებების გამოყენება, როგორცაა მცირეხნიანი ვადა თავშესაფრის თხოვნასთან დაკავშირებული განაცხადის წარმოდგენისთვის, წინააღმდეგობაში მოდის იმ ღირებულებებთან, რომლებიც გაცხადებულია კონვენციის მე-3 მუხლში.¹²³

¹¹⁷ იქვე, § 111.

¹¹⁸ საადი იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Saadi v. Italy [GC]), № 37201/06, § 140, ECHR 2008.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ ისმაილოვი რუსეთის წინააღმდეგ (Ismailov v. Russia), №20110/13, § 77, §§86-89, 17 აპრილი 2014 ; მ.ე. საფრანგეთის წინააღმდეგ (M.E. v. France), №50094/10, §§ 51-52, 6 ივნისი 2013; ასევე იხილეთ ფ.ჯ. შვედეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (F.G. v. Sweden [GC]), №43611/11, § 131-143, ECHR 2016.

¹²¹ Chahal v. the United Kingdom, 15 ნოემბერი 1996, ანგარიში 1996-V.

¹²² იქვე, § 86.

¹²³ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება : გზამკვლევი / [ავტ.: აისლინგ რეიდი ; მთარგმნ.: ლაშა ჭელიძე და სხვ. ; რედ.: ლაშა ჭელიძე] - [თბ. : ევროპის საბჭო, 2005.] გვ. 90.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილების რამდენიმე საქმეზე საფრთხის წყაროდ აღიარა არასახელმწიფო აქტორებიც. სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *ჰ.ლ.რ. საფრანგეთის წინააღმდეგ*¹²⁴ განაცხადა შემდეგი:

„გარანტირებული უფლების აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო არ გამორიცხავს კონვენციის მე-3 მუხლის ამოქმედებას მაშინაც, როდესაც საფრთხე მომდინარეობს პირებიდან ან პირთა ჯგუფებიდან, რომლებიც არ არიან სახელმწიფოს მოხელეები. მაგრამ ამისათვის უნდა დამტკიცდეს, რომ საფრთხე არის რეალური და მიმდები სახელმწიფოს ორგანოებს არ შესწევთ ამ საფრთხის აღკვეთის უნარი შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფის გზით.“

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში საქმეზე *სალა შიიხი ნიდერლანდების წინააღმდეგ*¹²⁵, სადაც სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„ ... გადავება აკრძალულია მიუხედავად იმისა, მოპყრობის საფრთხე მომდინარეობს თუ არა მიმდები ქვეყნის ხელისუფლების პასუხისმგებლობასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული ფაქტორებისგან და ამიტომ მე-3 მუხლი მოქმედებს მაშინაც, როდესაც საფრთხე მომდინარეობს პირებისგან ან პირთა ჯგუფებისგან, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები [...]. აქ მნიშვნელოვანია, ჰქონდა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, მიეღო დაცვა მის მიმართ ჩადენილი ქმედებებისგან და გამოეყენებინა ზიანის გამოსწორების საშუალებები. სასამართლო ამასვე პასუხობს უარყოფითად.“¹²⁶

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფოს ტერიტორიიდან პირის გადაყვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მის აღსრულებამდე დაექვემდებაროს აპელაციის წესით გასაჩივრებას სხვა დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე.¹²⁷

6.1. მძიმე ავადმყოფობის მქონე უცხოელის გადაყვება, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ავადმყოფობის მქონე უცხოელი მოქალაქის გადაყვება ისეთ ქვეყანაში, სადაც მისი დაავადების მკურნალობის პირობები ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებულზე ნაკლებია, შეიძლება განხილულ იქნეს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, მხოლოდ უკიდურესად

¹²⁴ H.L.R. v. France, 29 აპრილი 1997, § 40, ანგარიში 1997-III.

¹²⁵ Salah Sheekh v. the Netherlands, №1948/04, 11 იანვარი 2007.

¹²⁶ იქვე, § 147.

¹²⁷ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მე-7 მოხსენების 34-ე პუნქტი.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ჰუმანიტარული მიზანი აღემატება გაძევების მიზანს.¹²⁸ უკიდურეს გამონაკლის შემთხვევებში ითვლება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირის დაბრუნებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანი.

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი არის - *დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹²⁹. აღნიშნულ საქმეში მომჩივანი იყო სენტ-კიტსის მოქალაქე, რომელიც სასჯელს იხდიდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ მოითხოვა მისი სენტ-კიტსში დეპორტაცია. მოცემული დროისათვის მომჩივანი შიდსით იყო დაავადებული. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პერიოდში მისი „ცდ4“ უჯრედების რაოდენობა 10-ზე ნაკლებს შეადგენდა და მის იმუნურ სისტემას სასტიკი და შეუქცევადი ზიანი ჰქონდა მიყენებული; პროგნოზი ძალიან არასაიმედო იყო - როგორც ჩანდა, იგი ახლოს იყო გარდაცვალებასთან. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებებით, სენტ-კიტსი არ იყო სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო საშუალებებით, რათა მომჩივანს გაწეოდა საჭირო მკურნალობა; მას იქ არც სახლი ჰქონდა და არც ახლო ნათესავები ყავდა, რომლებსაც შეეძლებოდათ მასზე ზრუნვა. სასამართლომ დაადგინა, რომ:

„აღნიშნული გამონაკლისი გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის სასიკვდილო დაავადებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, სენტ-კიტსში მისი გაძევების გადაწყვეტილების აღსრულება გაუტოლდება არაადამიანურ მოპყრობას მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან და წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევას.

... მოპასუხე სახელმწიფომ იკისრა მომჩივნის მკურნალობის ვალდებულება 1994 წლის აგვისტოს შემდეგ. იგი დამოკიდებული შეიქნა სამედიცინო და ვითარების შემამსუბუქებელ ზრუნვაზე, რომელსაც ახლა იღებს და აშკარაა, რომ მზად არის გარდაიცვალოს იმ გარემოებაში, რომელიც მისთვის ცნობილი და მისადმი თანაგრძობის გამოხატველია. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ მიმღებ სახელმწიფოში არსებული პირობები თავისთავად წარმოადგენენ მე-3 მუხლის სტანდარტების დარღვევას, მაგრამ მომჩივნის გაძევების შედეგად იგი აღმოჩნდება ყველაზე მძიმე პირობებში გარდაცვალების საფრთხის წინაშე, რაც შესაბამისად, არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია.

მოცემული ვითარების გათვალისწინებით სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხოელებს, რომლებმაც საპატიმრო სასჯელი მოიხადეს და ექვემდებარებიან გაძევებას, არ აქვთ ზოგადი უფლება მოითხოვონ ხელშემკერედი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენა, რათა განაგრძონ მისი სამედიცინო, სოციალური ან სხვა ფორმის დახმარებით სარგებლობა, რომელსაც გამაძევებელი სახელმწიფო მათ სთავაზობდა პატიმრობის დროს.

¹²⁸ ნ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა] (N. v. the United Kingdom [GC]), № 26565/05, § 42, ECHR 2008.

¹²⁹ D. v. the United Kingdom, 2 მაისი 1997, ანგარიში 1997-III.

თუმცა, მოცემული საქმის იშვიათი გამონაკლისი გარემოებებისა და დაუძლეველი ჰუმანიტარული ვითარების გათვალისწინებით, მივიჩნევთ, რომ მომჩინის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება განიხილება მე-3 მუხლის დარღვევად.”¹³⁰

შესაბამისად, აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა პრინციპები, რომლის მიხედვით უცხოელებს, რომლებიც ექვემდებარებიან გაძევებას, ზოგადად, არ აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენა, რათა განაგრძონ გამაძევებელ სახელმწიფოში არსებული სამედიცინო, სოციალური ან სხვა ფორმის დახმარებისა და მომსახურების მიღება. ის ფაქტი, რომ მომჩინის ვითარება, მათ შორის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მნიშვნელოვნად შემცირდება, თუკი მას გააძევებენ ხელშემკვრელი სახელმწიფოდან, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად. მძიმე გონებრივი ან ფიზიკური დაავადების მქონე უცხოელის გაძევება იმ ქვეყანაში, სადაც მოცემული დაავადების მკურნალობის პირობები ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებულზე ნაკლებია, შეიძლება განხილულ იქნეს მე-3 მუხლის ფარგლებში მხოლოდ უკიდურესად გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც გაძევების საწინააღმდეგო ჰუმანიტარული საფუძვლები დაუძლეველია. დ-ს საქმეში უკიდურესად გამონაკლის პირობებს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მომჩივანი კრიტიკულად იყო ავად და, სავარაუდოდ, მალე გარდაიცვლებოდა; მისი წარმოშობის ქვეყანაში არ იყო გარანტირებული მასზე ზრუნვა ან სამედიცინო მოვლა და ადგილზე არ ყავდა ოჯახი, რომელსაც სურდა ან შეეძლო მისი მოვლა ან რომელიც მომჩივანს უზრუნველყოფდა ელემენტარული საკვებით, თავშესაფრითა და სოციალური დახმარებით.

საქმეში - *ნ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა, მომჩივანი, კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, მშობლიურ ქვეყანაში სათანადო მკურნალობის არარსებობას ასაჩივრებდა და სერიოზული ავადმყოფობის საფუძველზე თავშესაფარს ითხოვდა. განსხვავებით წინა საქმისგან, აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩინის შემთხვევა არ იყო უკიდურესად გამონაკლისი და მისი უგანდაში გაძევების გადაწყვეტილების აღსრულება არ გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, ვინაიდან ის არ იყო კრიტიკულად ავად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მდგომარეობის სავარაუდო გაუარესება და ის გარემოებები თუ როგორ გაუჭირდებოდა მომჩივანს სამედიცინო მკურნალობის მოპოვება, მხარდაჭერისა და ზრუნვის, მათ შორის ნათესავების მხრიდან დახმარების გარეშე, მოიცავს სპეკულაციის გარკვეულ დონეს, განსაკუთრებით კი მსოფლიოში შიდსის მუდმივად განვითარებადი მკურნალობის გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნულ საქმეში დიდმა პალატამ

¹³⁰ D. v. the United Kingdom, 2 მაისი 1997, §§ 53-54, ანგარიში 1997-III.

არ გამორიცხა *სხვა უკიდურესად გამონაკლისი საქმეების* არსებობა, სადაც ჰუმანიტარული საფუძვლები ანალოგიურად დაუძლეველია. თუმცა, მიიჩნია, რომ ის მაღალი ზღვარი, რომელიც დადგენილია ნ-ს საქმეში უნდა შენარჩუნდეს და გამოყენებულ იქნას სასამართლოს მომდევნო პრაქტიკაში, რომელსაც იგი, ზოგადად, მართებულად მიიჩნევს იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს საქმეებში სავარაუდო მომავალი ზიანი გამომდინარეობს არა სახელმწიფო მოხელეთა ან არასახელმწიფო ერთეულების მიზანმიმართული ქმედებებისა თუ უმოქმედობებისაგან, არამედ ბუნებრივად დამდგარი დაავადებისა და მიმღებ სახელმწიფოში მასთან გამკლავების საკმარისი რესურსების ნაკლებობისგან.

2016 წლის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საქმეში, სადაც მომჩივანი ეროვნებით ქართველი იყო, სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად შეცვალა სერიოზულად ავადმყოფი მიგრანტების გაძევებასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი. გადაწყვეტილება საქმეზე *პაპოშვილი ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹³¹ ეხებოდა მძიმე ავადმყოფი უცხოელის დეპორტაციას. მომჩივანი, რომელიც იმყოფებოდა ბელგიის ტერიტორიაზე, დაავადებული იყო C ჰეპატიტით, ტუბერკულოზითა და ლეიკემიით. ბელგიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მომჩივნის საქართველოში დაბრუნების შესახებ. აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ საქართველოში გაძევება მას არაადამიანური მოპყრობისა და ნაადრევი სიკვდილის რისკის ქვეშ აყენებდა, ვინაიდან მას შეუწყდებდა ის მკურნალობა, რასაც ბელგიაში იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმის განხილვის პერიოდში გარდაიცვალა, სასამართლომ მისი საჩივარი არ ამორიცხა საქმეთა სიიდან და მიიჩნია, რომ „ადამიანის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებული განსაკუთრებული გარემოებები“ მოითხოვდა აღნიშნული საჩივრის განხილვის გაგრძელებას.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა შემდეგი: თუ ბელგიის სახელმწიფო მომჩივანს გააძევებდა ისე, რომ არ შეაფასებდა „იმ რისკებს, რომლის წინაშეც ის დადგებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საქართველოში სათანადო მკურნალობის არსებობის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით“, დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი. დიდმა პალატამ შეცვალა პალატის გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნებოდა ნ-ს საქმეზე დადგენილ სტანდარტს, რომლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი განუკურნებელი სენით იყო დაავადებული, მისი მდგომარეობა არ მიიჩნეოდა კრიტიკულად, ვინაიდან გაწეული მკურნალობის შედეგად ის სტაბილურად იყო და მას შეეძლო მგზავრობა. შესაბამისად, სახეზე არ იყო

¹³¹ Paposhvili v. Belgium [GC], № 41738/10, ECHR 2016.

უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევა, როგორც ეს იყო საქმეში დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

პაპოშვილის საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ადგენს სახელმძღვანელო მითითებებს იმის თაობაზე, თუ როდის გადაწონის ჰუმანიტარული მიზნები სხვა ინტერესებს, როდესაც განიხილება სერიოზულად ავადმყოფი პირების გაძევების საკითხი. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდა დ.-ს საქმეში არსებული გარდაუვალი სიკვდილის რისკისა, ნ-ს საქმეში მოხსენიებული იყო, რომ „სხვა უკიდურესად გამონაკლის შემთხვევას“ შეეძლო დაეყენებინა ამ კონტექსტში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი. აღნიშნულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, როგორ უნდა იქნეს გაგებული „სხვა უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევა“. სასამართლომ მსგავს გამონაკლისად მიიჩნია

„სერიოზულად ავადმყოფი პირის გაძევების შემთხვევები, როდესაც ნაჩვენებია რეალური საფუძვლები იმისა, რომ მართალია, მას გარდაუვალი სიკვდილის საფრთხე არ ემუქრება, თუმცა მიმღებ ქვეყანაში სათანადო მკურნალობის ან მსგავსი მკურნალობის ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო, ის დგება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების სერიოზული, სწრაფი და გარდაუვალი რისკის წინაშე, რაც გამოიწვევს ძლიერ ტანჯვას და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას“.¹³²

წინამდებარე საქმეზე სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა განიხილოს:

ა) მიმღებ სახელმწიფოში არსებული მკურნალობა არის თუ არა „საკმარისი და სათანადო, რათა განკურნოს მომჩივნის დაავადება და ის არ დადგეს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური რისკის წინაშე; და

ბ) მიმღებ სახელმწიფოში არსებული მკურნალობა რეალურად იქნება თუ არა პირისთვის ხელმისაწვდომი (ამასთან დაკავშირებით რელევანტურია შემდეგი ფაქტორები: ხარჯები, ოჯახის წევრებისა და ნათესავების ყოლა, აგრეთვე სოციალური კავშირების არსებობა და ის მანძილი, რომლის გავლაც იქნება საჭირო მკურნალობის მისაღებად).

თუ არსებობს „სერიოზული ეჭვები“, რომ გაძევებას მომჩივანზე უარყოფითი გავლენა ექნება, გაძევების განმასორციელებელმა სახელმწიფომ პირის გაძევებამდე მიმღები სახელმწიფოსგან უნდა მოიპოვოს „ინდივიდუალური და საკმარისი გარანტიები“, რომ მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მკურნალობა.

გამომდინარე იქედან, რომ პაპოშვილის საქმეზე ეროვნულ დონეზე არ მომხდარა ამ ყოველივეს შეფასება, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივნის გაძევების შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3

¹³² იქვე, § 181.

მუხლი. ასევე საყურადღებოა, რომ დ.-ს საქმის შემდეგ, ეს იყო პირველი საქმე, სადაც სერიოზულად ავადმყოფი მომჩივნის გაძევების შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.¹³³

6.2. უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვების პატიმრობა, როგორც წამება ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა

მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე, უკანონო იმიგრანტი ბავშვების პატიმრობა და მათი ოჯახისგან განცალკევება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც აქვს განხილული. კერძოდ, გადაწყვეტილებაში საქმეზე *მუბილანზილა მაიეკა და კანიკი მიტუნგა ბელგიის წინააღმდეგ*¹³⁴ მომჩივნები იყვნენ ქ-ნი მუბილანზილა მაიეკა და მისი ქალიშვილი ტაბითა, რომლებიც წარმოშობით კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან იყვნენ. აპლიკანტების საჩივარი ეხებოდა ტაბითას დაკავებას დაახლოებით ორი თვის განმავლობაში და მის გაძევებას წარმოშობის ქვეყანაში.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: ქ-ნი მუბილანზილა 2000 წლის სექტემბერში ჩავიდა კანადაში, სადაც 2001 წლის ივლისში ლტოლვილის სტატუსი მიიღო, 2003 წლის მარტში კი ბინადრობის ნებართვა მოიპოვა. თავშესაფრის მინიჭების შემდეგ ნიდერლანდებში მცხოვრებ თავის ძმას მან თხოვა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან წამოეყვანა მაშინ 5 წლის ასაკში მყოფი ტაბითა და სანამ ბავშვის კანადაში წაყვანას შეძლებდა, მისთვის მიეხედა. 2002 წლის აგვისტოში ბრიუსელის აეროპორტში ტაბითა დააკავეს, რადგან მას არ ჰქონდა ბელგიაში შესასვლელად საჭირო დოკუმენტები. ტაბითას თანმხლები ბიძა ნიდერლანდებში დაბრუნდა, ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი მას ადვოკატი აუყვანეს. 2002 წლის სექტემბერში ტაბითას თავშესაფრის მინიჭების თაობაზე განაცხადი მიგრაციის სამსახურმა არ დააკმაყოფილა. 2002 წლის ოქტომბერში ბრიუსელის სასამართლოს პირველმა ინსტანციამ დაადგინა, რომ ტაბითას პატიმრობა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციას არ შეესაბამებოდა და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების ბრძანება გასცა. იმავე დღეს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა მიგრაციის სამსახურს ტაბითასთვის ბელგიაში დარჩენის ნებართვა თხოვა მანამ, სანამ განიხილებოდა მისთვის კანადის ვიზის მინიჭების საკითხი; კომისარმა დამატებით განმარტა, რომ კანადაში დედამისს უკვე მოპოვებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი. მიუხედავად ამისა, მომდევნო დღეს, ტაბითა

¹³³ European Court of Human Rights- Annual Report 2016, France, 2017, pg. 53.

¹³⁴ Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium, № 13178/03, ECHR 2006-XI.

სოციალური მუშაკის თანხლებით კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გააძევეს. მან იმგზავრა კონგოს სამ მოქალაქესთან ერთად, რომლებიც ასევე დეპორტირებულნი იყვნენ. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მას ოჯახის არცერთი წევრი არ დახვდა. იმავე დღეს ქ-ნმა მუბილანზილამ დარეკა იმ ცენტრში, სადაც ტაბითა იყო დაპატიმრებული და ქალიშვილთან საუბარი ითხოვა, რა დროსაც მას აცნობეს, რომ ის დეპორტირებული იყო. 2002 წლის ოქტომბრის ბოლოს, ბელგიისა და კანადის პრემიერ-მინისტრების ჩარევის შედეგად, ტაბითა დედას შეუერთდა კანადაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ ტაბითას პატიმრობა და დეპორტაცია, სხვებს შორის, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ:

„55. მეორე მომჩივნის მდგომარეობის ამსახველი მახასიათებლები იყო [გოგონას] ძალიან მცირე ასაკი, რომ იყო უკანონო იმიგრანტი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე და იყო თავისი ოჯახის თანხლების გარეშე, რომლისაგან ის აღმოჩნდა განცალკევებული და უმეთვალყურეოდ დარჩენილი. ამიტომ მისი მდგომარეობა იყო ძალიან მოწყვლადი. კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული დაცვის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე, მხედველობაში უნდა მივიდოთ, რომ [ამ უფლების აბსოლუტური ხასიათი არის] გადამწყვეტი ფაქტორი და თავისი მნიშვნელობით აღემატება იმ გარემოებას, რომ მეორე მომჩივანი იყო უკანონო იმიგრანტი. ამიტომ უეჭველია, რომ იგი [მეორე მომჩივანი] ხვდება საზოგადოების უკიდურესად მოწყვლადი წევრების კატეგორიაში, რომელთა მიმართ ბელგიის სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, მიეღო ადეკვატური ღონისძიებები ზრუნვისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგან ეს გახლდათ მისი პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით. [...]

58. სასამართლოს მიაჩნია, რომ ბელგიის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები - პირველი მომჩივნის ინფორმირება მისი მდგომარეობის შესახებ, ტელეფონის ნომრის მიცემა, რომლითაც შეძლებდა თავის გოგონასთან დაკავშირებას, ადვოკატის დანიშვნა მეორე მომჩივნისთვის და კომუნიკაცია კანადის ხელისუფლებასთან და ბელგიის საელჩოსთან კინშასაში - სრულიად არასაკმარისი იყო იმისთვის, რომ ბელგიის სახელმწიფოს შეესრულებინა მისი მოვალეობა და უზრუნველყო მეორე მომჩივანი ზრუნვით. მითუმეტეს, რომ სახელმწიფოს თავის განკარგულებაში ჰქონდა მთელი რიგი საშუალებები საამისოდ. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მეორე მომჩივნის დაკავებამ ზემოაღნიშნულ პირობებში მნიშვნელოვანი ტანჯვა გამოიწვია მასში. ხელისუფლების ორგანოს, რომელმაც გასცა მისი დაკავების ბრძანება, არ შეიძლება არ სცოდნოდა, რა ფსიქოლოგიური შედეგები ექნებოდა ამას [მეორე მომჩივნისთვის]. სასამართლოს აზრით, მეორე მომჩივნის დაკავება ასეთ პირობებში იყო იმდენად არაჰუმანური, რომ ის გაუთანაბრდა არაჰუმანურ მოპყრობას.”¹³⁵

იგივე დასკვნა გააკეთა სასამართლომ მეორე მომჩივნის დეპორტაციასთან დაკავშირებით; ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტაბითას დეპორტაციით ბელგიის ხელისუფლებამ დაარღვია დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და პრევენციული

¹³⁵ იქვე, §§ 55; 58.

ქმედებები. მოპასუხე სახელმწიფომ არ უზრუნველყო ტაბითას სათანადო მზრუნველობა და არ გაითვალისწინა ის რეალური მდგომარეობა, რაშიც ის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შედეგად აღმოჩნდებოდა. ამდენად, წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.

7. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის სხვა საფუძვლები

კონვენციის მე-3 მუხლი, გარდა პატიმრობისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბევრ სხვა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მსხვერპლის მიმართ ადგილი აქვს განზრახ სასტიკ ქმედებებს, რაც მათში განსაკუთრებულ ტანჯვას იწვევს. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფუძველი ასევე შეიძლება იყოს წამების მუქარა, უვადო პატიმრობა და საკუთრების დაზიანება. ქვემოთ ცალკე ქვეთავებში დეტალურად იქნება განხილული თითოეული მათგანი.

7.1 წამების მუქარა

საერთაშორისო და ეროვნული სამართალი შეიცავს არაერთ ნორმას, რომლის მიხედვით, აკრძალულია დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა მიმართ ფსიქიკური ან ფიზიკური იძულების განხორციელება მათგან ჩვენების გამოძალვის ან მათი ნების საწინააღმდეგოდ ინფორმაციის ან აღიარების მიღების მიზნით. ასეთი ზემოქმედება ითვლება ადამიანის ღირსების შელახვად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიერ განხილული საქმე *კემპბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹³⁶ ეხებოდა სკოლის მოსწავლეების მიმართ ფიზიკური დასჯის განხორციელების მუქარას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მოსწავლეების მიმართ მსგავს მოპყრობას ადგილი არ ჰქონია, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„იმგვარი მოპყრობის მუქარა, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს, თავისთავად წარმოადგენს ამ დებულების დარღვევას იმ პირობით, რომ საფრთხე საკმარისად რეალური და მყისიერია. შესაბამისად, წამების მუქარა ზოგიერთ გარემოებაში შესაძლოა წარმოადგენდეს სულ მცირე „არაადამიანურ მოპყრობას“.“¹³⁷

¹³⁶ კემპბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell and Cosans v. UK), №7511/76, 25 თებერვალი 1982.

¹³⁷ იქვე, § 26.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა გადაწყვეტილებაში საქმეზე *გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹³⁸. წინამდებარე საქმის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენდა პოლიციის მუქარა წამების განხორციელების შესახებ იმ მომხივნის მიმართ, რომელიც დაპატიმრებული იყო 11 წლის ბიჭის მოტაცების გამო (მომხივანს უკვე დაეხრჩო ბავშვი და დამალული ჰქონდა მისი გვამი, მაგრამ ეს იმ დროს პოლიციისთვის უცნობი იყო). ბიჭის სიცოცხლის გადასარჩენად პოლიციის ოფიცრები დაემუქრნენ მას „გაუსაძლისი ტკივილით“, თუ არ გაამხელდა ბიჭის ადგილსამყოფელს. აღნიშნულის შედეგად, მომხივანმა უთხრა პოლიციას სად დამალა გვამი. დაკითხვა, სადაც ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობის მუქარას, გაგრძელდა დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში და სასამართლომ დაადგინა, რომ ეს გამოიწვევდა მისთვის შიშს, მწუხარებას და ფსიქოლოგიურ ტანჯვას, თუმცა რაიმე გრძელვადიანი ეფექტების მტკიცებულება არ არსებობდა. მუქარა წინასწარ მოფიქრებული და მიმართული იყო ინფორმაციის მისაღებად. შესაბამისად, დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ ის წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას მე-3 მუხლის დარღვევით, თუმცა არ უტოლდებოდა წამებას.¹³⁹

„სასამართლომ მხედველობაში მიიღო მომხივნის მიმართ განხორციელებული მოპყრობის მაკვალიფიცირებელი ფაქტორები და დარწმუნდა, რომ მომხივნის მისამართით რეალური და იმწუთიერი მუქარები მისგან ინფორმაციის მიღების მიზნით აღწევდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რომელიც აუცილებელია გასაჩივრებული ქმედების მოსახვედრად მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. ის იმეორებს, რომ მისი სასამართლო პრაქტიკის თანახმად [...], რომელიც ასევე უთითებს წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პირველ მუხლში მოცემულ წამების განსაზღვრებაზე [...] და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სხვა საერთაშორისო ორგანოების დასკვნებზე [...], წამების მუქარა შეიძლება გაუთანაბრდეს წამებას, რადგან წამება შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური ტკივილით, ისე ფსიქოლოგიური ტანჯვით. კერძოდ, ფიზიკურად წამების მუქარა თვითონ შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური წამება. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს საერთო თანხმობა და სასამართლოც ამ აზრზეა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ფიზიკურად წამების მუქარა წარმოადგენდა თუ არა ფსიქოლოგიურ წამებას ან არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობას - დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, მათ შორის, განსაკუთრებით, განხორციელებული ზეწოლის სისასტიკეზე და გამოწვეული ფსიქოლოგიური ტანჯვის ინტენსივობაზე. ადარებს რა მომხივნის საქმის გარემოებებს და იმ საქმეებს, რომლებშიც მას პრაქტიკით დადგენილი აქვს წამების ფაქტები, სასამართლო თვლის, რომ დაკითხვის მეთოდი, რომელიც გამოყენებული იყო მომხივნის მიმართ ამ შემთხვევაში იყო საკმარისად სერიოზული, რომ ჩაითვალოს მე-3 მუხლით აკრძალულ არაადამიანურ მოპყრობად, მაგრამ მას არ მიუღწევია სისასტიკის იმ დონისთვის, რომ გადაეღახა წამების ზღვარი.“¹⁴⁰

მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია მოტივირებული იყო ბიჭის სიცოცხლის გადარჩენის სურვილით, სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი:

¹³⁸ *Gäfgen v. Germany* [GC], №22978/05, ECHR 2010.

¹³⁹ ლინი ფ., როგორ მიემართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 259.

¹⁴⁰ *გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ (Gäfgen v. Germany* [GC]), №22978/05, § 108, ECHR 2010.

„პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა მოქმედებს მსხვერპლის ქცევის და ხელისუფლების ორგანოების მოტივების მიუხედავად. წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა არ შეიძლება ვინმეს მიმართ გამოიყენონ მაშინაც კი, როდესაც ინდივიდის სიცოცხლე საფრთხეში... მე-3 მუხლი, რომელიც ჩამოყალიბებულია სრულიად არაბუნდოვნად, აღიარებს, რომ ყველა ადამიანს აქვს აბსოლუტური, განუსხვისებელი უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას არანაირ, თუნდაც ყველაზე მძიმე გარემოებებში. ფილოსოფიური საფუძველი, რომელსაც ემყარება აბსოლუტური ბუნება მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებისა, არ უშვებს რაიმე გამონაკლისს ან გამამართლებელ ფაქტორებს ან ინტერესების დაბალანსებას, დაინტერესებული პირის ქცევის მიუხედავად და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიუხედავად.“¹⁴¹

ამრიგად, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, წამების ან არასათანადო მოპყრობის მუქარა, რომელიც საკმარისად რეალური და მყისიერია, რაოდენ კეთილშობილურ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს, წარმოადგენს ამ მუხლის დარღვევას.

7.2. უვადო პატიმრობა

ევროპის საბჭოს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა თავის ანგარიშებში არაერთხელ აღნიშნა, რომ „არაჰუმანურია პირს მიუსაჯო სამუდამო თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების რეალური იმედის გარეშე“.¹⁴²

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყველა პატიმარს, მათ შორის უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს, სახელმწიფომ უნდა მისცეს რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგის მიღწევის შემთხვევაში გათავისუფლების პერსპექტივა. აღნიშნული გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის სისტემიდან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია ადამიანის ღირსების პატივისცემა. პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებაში საქმეზე *ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁴³ სასამართლომ აღნიშნა, რომ უვადო პატიმრობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე შესაძლებლობას გარკვეული პერიოდულობით გადაიხედოს კონკრეტულ პატიმართან მიმართებაში უვადო პატიმრობის გამოყენების გაგრძელების აუცილებლობა.

¹⁴¹ გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ (*Gäfgen v. Germany* [GC]), №22978/05, § 107, ECHR 2010.

¹⁴² უნგრეთში (2007) და შვეიცარიაში (2011) ვიზიტთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშები.

¹⁴³ *Vinter and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 66069/09 და 2 others, ECHR 2013.

ზემოთ ხსენებულ ვინტერის საქმეში სასამართლომ დაადგინა, იმისათვის, რომ უვადო პატიმრობა კონვენციის მე-3 მუხლთან თავსებადი იყოს, უნდა არსებობდეს:

- გათავისუფლების პერსპექტივა
- სასჯელის გადახედვის შესაძლებლობა.

„უვადო თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, მე-3 მუხლის განმარტება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მოიცავდეს სასჯელის შემცირებას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ხელისუფლება განიხილავს თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში თუ რამდენად ჰქონდა პატიმრის ცხოვრებაში ადგილი მნიშვნელოვან ცვლილებებსა და აღინიშნებოდა თუ არა პროგრესი რეაბილიტაციისაკენ, რის შედეგადაც ადგილობრივი ორგანოები დაასკენიან, რომ მისი განგრძობადი პატიმრობა აღარ არის გამართლებული კანონიერი პენოლოგიური საფუძველით.“¹⁴⁴

მე-3 მუხლის საფუძველზე საკითხი არ წარმოიშვება, თუ უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი არის *de jure* ან *de facto* შემცირებადი. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არის მოცემულ საქმეში უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუმცირებელი, სასამართლომ უნდა გაარკვიოს აქვს თუ არა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირს გათავისუფლების რაიმე პერსპექტივა. მაგალითად, ხომ არ უშვებს ეროვნული კანონმდებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის გადახედვას შეწყალების, რემისიის, გათავისუფლებისა თუ პირობითად ვადამდე გათავისუფლებით, თუ პასუხი დადებითია, მაშინ მე-3 მუხლით დადგენილი ვალდებულებანი დაკმაყოფილებულად მიიჩნევა.¹⁴⁵ ამ მხრივ, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მე-3 მუხლით საკითხი არ წარმოიშვება თუკი, მაგალითად, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირს ეროვნული კანონმდებლობით ენიჭება უფლება განხილულ იქნას მისი ვადამდელი გათავისუფლების საქმე და განხილვისას მიიღო უარი იმის გამო, რომ იგი ჯერ კიდევ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის. ვინაიდან სახელმწიფოებს კონვენციის მიხედვით ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ ზომები ძალადობრივი დანაშაულისაგან საზოგადოების დასაცავად და კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს სერიოზული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს შეუფარდონ უვადო თავისუფლების აღკვეთა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება დამნაშავის განგრძობითი დაკავება, რადგან ეს უკანასკნელი საჭირო გახლავთ საზოგადოებისათვის.¹⁴⁶

¹⁴⁴ ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა] *Vinter and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 66069/09 და 2 others, &119, ECHR 2013.

¹⁴⁵ კაფკარის კვიპროსის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Kafkaris v. Cyprus* [GC]), №21906/04, & 98, ECHR 2008.

¹⁴⁶ ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*T. v. the United Kingdom* [GC]), №24724/94, § 97, 16 დეკემბერი 1999.

ნებისმიერი სახის სასჯელი, თუნდაც უვადო პატიმრობა, ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე და ადამიანის ღირსების დაცვის შესაბამისად (რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-3 მუხლიდან) უნდა ემსახურებოდეს პატიმრის რეაბილიტაციას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი არ არის ვალდებული მოიხადოს წლების განუსაზღვრელი რაოდენობა (რეზილიტაციის პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში) და ელოდოს მანამ, სანამ მას ექნება შესაძლებლობა წამოაყენოს საჩივარი, რომ მის სასჯელთან დაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობა არ შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმარს, სასჯელის დადგენის მომენტიდანვე აქვს უფლება იცოდეს, თუ რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ განხილულ იქნას მისი გათავისუფლების საკითხი და ასევე, კონკრეტულად როდის, რა პირობებში წარიმართება ან იგეგმება მისი სასჯელის გადახედვა.¹⁴⁷ ვინტერის საქმეში სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ

„მართალია, სასჯელი გახლავთ პატიმრობის ერთ-ერთი მიზანი, ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე. ევროპის საბჭოს იურიდიულ დოკუმენტებში იგი ყველაზე ნათლად არის ასახული ევროპულ ციხის წესების მე-6 წესში, რომელიც აღნიშნავს, რომ ყოველი პატიმრობა იმგვარად უნდა იყოს მართული, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლება აღკვეთილი პირების რეინტეგრირებას თავისუფალ საზოგადოებაში, ხოლო 102.1 წესის მიხედვით კი მსჯავრდებულ პატიმრებთან საპატიმრო რეჟიმი იმგვარად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ მისცეს მათ საშუალება ჰქონდეთ პასუხისმგებლობით აღსავსე და დანაშაულის გარეშე ცხოვრება.“¹⁴⁸

თუმცა, სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ზღვარს, რომელიც მათ გააჩნიათ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისა და სასჯელის შეფარდების საკითხებში და რომ მისი ვალდებულება არ გახლავთ გადახედვის ფორმის (აღმასრულებელი თუ მართლმსაჯულებითი) დადგენა. იგივე მიზეზით, სასამართლო არც გადახედვის დროს განსაზღვრავს. ამის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნა, რომ მის წინაშე წარმოდგენილი შედარებითი და საერთაშორისო სამართლის მასალების მიხედვით, იკვეთება გადახედვის შესაბამისი მექანიზმის მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებიდან არაუგვიანეს ოცდახუთი წლის შემდეგ გადახედვის დადგენა, შემდგომი პერიოდული გადახედვით.

¹⁴⁷ ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა] *Vinter and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 66069/09 და 2 others, &122, ECHR 2013.

¹⁴⁸ იქვე, § 115.

7.3. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა საკუთრების დაზიანების საფუძველზე

სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ¹⁴⁹ იყო ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც ეხებოდა მომჩივნების სახლის განადგურების საფუძველზე მე-3 მუხლის დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე აპლიკანტები ასაჩივრებდნენ უსაფრთხოების ძალების ჯარისკაცების ქმედებებს. მოცემულ საქმესთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ განვითარებული მოვლენების დროს მომჩივნები იყვნენ 54 და 60 წლის და სოფელ ისლამკოიში ცხოვრობდნენ. უსაფრთხოების ძალებმა გაანადგურეს მათი სახლი და ქონება, ჩამოართვეს საარსებო საშუალებები და აიძულეს დაეტოვებინათ სოფელი. როგორც ჩანს, მათი ქმედებები წინასწარგანზრახული იყო და შეურაცხყოფდა მომჩივნების განცდებს. აპლიკანტები მოუმზადებლები იყვნენ; ისინი იძულებულები გახდნენ გვერდზე გამდგარიყვნენ და ეყურებინათ, როგორ იწვოდა მათი სახლი; არაადეკვატური ზომები იქნა მიღებული ბ-ნი და ქ-ნი ასკერის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ქ-ნი სელჩუკის საჩივრები ყურადღების მიღმა დარჩა და მოვლენათა განვითარების შემდგომ მომჩივნებს დახმარება არ გაეწიოთ. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მომჩივანთა პირადი გარემოებები და ასევე ის ფორმა თუ როგორ გაანადგურეს მათი სახლები და მიიჩნია, რომ ისინი განიცდიდნენ ისეთ ტანჯვას, რაც საკმარისი იყო, რათა უსაფრთხოების ძალების ქმედებებს მიეღწია მე-3 მუხლის მიზნებისათვის დადგენილ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. შესაბამისად, მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას.

გადაწყვეტილებაში საქმეზე ბილგინი თურქეთის წინააღმდეგ¹⁵⁰ სასამართლომ ასევე იმსჯელა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხზე, თურქეთის უსაფრთხოების სამსახურის მიერ საკუთრების განზრახ დაზიანების საფუძველზე. სტრასბურგის სასამართლომ განსაზღვრა რა, რომ მომჩივნის ქონების დაზიანებაზე პასუხისმგებელი იყო უსაფრთხოების სამსახური, მას უნდა ემსჯელა აღნიშნული გარემოება განაპირობებდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახლის და ქონების განადგურება მომჩივანს საარსებო წყაროსა და საცხოვრებელს ართმევდა. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა:

¹⁴⁹ Selcuk and Asker v. Turkey, 24 აპრილი 1998, ანგარიში 1998-II.

¹⁵⁰ Bilgin v. Turkey, №23819/94, 16 ნოემბერი 2000.

„ სადავო ქმედებები მომჩივნის დასჯის განზრახვის გარეშე რომ განხორციელებულიყო, იმ მიზნით, რომ სხვები დაეშინებინათ... კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედება მაინც ვერ გამართლდებოდა”¹⁵¹.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მატერიალურ ზიანს დიდი გავლენა ჰქონდა მომჩივანზე და გამოიწვია საკმარისი ტანჯვა, რათა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც არასათანადო მოპყრობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება დადასტურდა ასევე საქმეზე *დულასი თურქეთის წინააღმდეგ*¹⁵², სადაც სასამართლომ საკუთრების დაზიანების საფუძველზე კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა. საქმის ფაქტობრივი გარემოებები *ბილგინის* გადაწყვეტილების მსგავსი იყო. სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნის პირადი გარემოებები. კერძოდ, მომჩივანი ინციდენტის დროს დაახლოებით 70 წლის იყო; მას ჩამოერთვა თავშესაფარი და იძულებული გახდა დაეტოვებინა სოფელი, სადაც მთელი სიცოცხლე გაატარა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.¹⁵³

ამრიგად, საკუთრების დაზიანების საფუძველზე კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხის შეფასების დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მომჩივანთა პირად გარემოებებსა და ასევე იმაზე, თუ რა გავლენა იქონია განხორციელებულმა ქმედებებმა მათ ცხოვრებაზე.

¹⁵¹ იქვე, § 102.

¹⁵² *დულასი თურქეთის წინააღმდეგ* (Dulas v. Turkey), №25801/94, 30 იანვარი 2001.

¹⁵³ Long D, *Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment*, Geneva, 2002, pg. 35.

ნაწილი II

8. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებზე

საყურადღებოა, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობის და, ზოგადად, მართლმსაჯულების ხარისხის ერთ-ერთ ყველაზე უტყუარ საზომად გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა მოიაზრება, ვინაიდან ნათელი დასაბუთება სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ წარდგენილი ძირითადი მოთხოვნაა და ამავდროულად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ადამიანის უფლებათა პირველადი დაცვა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ხდება. ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში უნდა ასახოს და გამოიყენონ ევროპული სტანდარტები.

სწორედ ამიტომ, გასული წლების განმავლობაში, საქართველოში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხარისხის ამაღლების კუთხით.¹⁵⁴ თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ამ საფუძვლით კომუნიცირებული საქმეების სიმრავლე¹⁵⁵ ადასტურებს, რომ საქართველოს წინაშე აღნიშნული პრობლემა დღესაც აქტიურად დგას. გადაწყვეტილებათა სათანადო დასაბუთება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე წამებასთან დაკავშირებულ საქმეებში, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ კანონმდებლობაში წამებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აკრძალულ სხვა არასათანადო მოპყრობის ამკრძალავ ნორმებსა და მათ ფორმულირებას. აღსანიშნავია, რომ მოცემული დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმე კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს გადაწყვეტილების ჯეროვან დასაბუთებას, ვინაიდან სათანადო მოტივაციას მოკლებული გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში სამართლიანობის განცდის დანერგვას და, ზოგადად, მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. წინამდებარე თავში შესწავლილი იქნება ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე, კერძოდ, რამდენად არის საქმეებში ასახული საერთაშორისო

¹⁵⁴ ევროპის საბჭოს პროექტის მხარდაჭერით ჩატარებული ტრენინგები თემაზე: “სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა”.

http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/2015-05-19-ganachenis-dasabuteba

http://www.hsoj.ge/geo/media_center/news/768-2016-12-02-sixxli-samartlis-saqmeze-ganachenis

¹⁵⁵ მაგალითისთვის, იხილეთ, ლობჯანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Lobzhanidze v. Georgia) N21447/11, ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Peradze and others v. Georgia), N5631/16, ჭოლაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tcholadze v. Georgia) N35852/11, etc.

სტანდარტები და ხდება თუ არა კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიების რეალიზება. თავის მხრივ, აღნიშნული ანალიზი ნათელყოფს აღნიშნული კატეგორიის საქმეების კვალიფიკაციისა და დასაბუთების კუთხით არსებულ ხარვეზებს, აგრეთვე გამოიკვეთება წამებასთან დაკავშირებული საქმეების გადასაწყვეტად არსებითად მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა ხარისხის გაუმჯობესებას.

8.1. გადაწყვეტილებათა დასაბუთება ევროპული კონვენციის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მართლმსაჯულების ეფექტიანი აღმინისტრირება გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადოდ უნდა ასახავდნენ იმ მიზეზებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება. კონვენციის მე-6 მუხლი მოიცავს პირის უფლებას, დასაბუთებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე. თუმცა, სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება არ გულისხმობს მხარის მიერ დავის საგნის დასაცავად მოყვანილი ყველა არგუმენტისათვის პასუხის გაცემას¹⁵⁶. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებაში ასახულ იქნას სასამართლოს მოსაზრებები საქმის გადამწყვეტ ასპექტებთან დაკავშირებით, რომელთაც გაავლენა აქვთ დავის გადაწყვეტაზე.¹⁵⁷ ამრიგად, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად ნათლად უნდა მიუთითონ ის საფუძველები, რომლებზე დაყრდნობითაც მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რათა დავის მხარეებს გასაჩივრების უფლების ეფექტურად სარგებლობის საშუალება ჰქონდეთ.

აღსანიშნავია, რომ დასაბუთების მოცულობა განსხვავდება გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე და ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე¹⁵⁸. დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათი მოსაზრებები მოსმენილი და გათვალისწინებულია, რაც მათ მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, მოცემული პრინციპი ავალდებულებს მოსამართლეებს გადაწყვეტილება მიიღონ ობიექტურ არგუმენტებზე დაყრდნობით და დაიცვან დაცვის მხარის

¹⁵⁶ ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van de Hurk v. the Netherlands), 1994 წლის 19 აპრილი, § 61, Series A no. 288.

¹⁵⁷ ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ (Boldea v. Romania), №71156/01, § 30, 2007 წლის 15 თებერვალი.


¹⁵⁸ რუის ტორია ესპანეთის წინააღმდეგ (Ruis Torija v. Spain), 1994 წლის 9 დეკემბერი, § 29, Series A no. 303-A.

უფლებები. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №11 დასკვნის თანახმად, რომელიც ეხება სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხს, არგუმენტები უნდა იყოს თანმიმდევრული, ნათელი, არაორაზროვანი და არაწინააღმდეგობრივი. მკითხველს უნდა შეეძლოს მიყვეს იმ დასაბუთების განვითარების ჯაჭვს, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.¹⁵⁹ ამასთანავე, ეს პრინციპი ხელს უწყობს საზოგადოების მიერ სასამართლო სისტემის ფუნქციონირების სწორად აღქმას.

8.2 ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

როგორც კვლევის შესავალში აღინიშნა, წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეთა განჩინების დასაბუთების ხარისხის შესაფასებლად რელევანტური ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა რეგიონის პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სასამართლოებს ეთხოვათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოეწოდებინათ სისხლის სამართლის ყველა ის საქმე, რომელიც 2017-2018 წლებში განხილულ იქნა სსკ-ს 144¹ (წამება); 144² (წამების მუქარა); 144³ (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა) მუხლების მიხედვით. საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში დამუშავდა 11 საქმე.


საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ შესწავლილ განჩინებათა უმრავლესობაში არასათანადო მოპყრობის განმახორციელებელი სუბიექტი იყო საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, საქმეთა დარჩენილი ნაწილი ძირითადად ეხებოდა ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლის და/ან სავარაუდო საყვარლის მიმართ განხორციელებულ სასტიკ ქმედებას.



¹⁵⁹ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა № 11(2008) სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ.

ზემოაღნიშნულ დიაგრამაზე ილუსტრირებულია საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის განმასორციელებელი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებლები. საყურადღებოა, რომ გაეროს კონვენციისა და პრინციპში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, წამების სპეციალური სუბიექტია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წამების განხორციელება კერძო პირსაც შეუძლია. ქვემოთ განხილული იქნება თუ რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ეროვნული კანონმდებლობის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც წამება შეიძლება კერძო პირის მიერაც იქნეს ჩადენილი.

ამასთანავე, საინტერესოა, არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი. დიაგრამაზე წარმოდგენილია არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი.



სტატისტიკური მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ შესწავლილ საქმეთა 91%-ში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რაც გულისხმობს, რომ 2017-2018 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული არასათანადო მოპყრობის 11 საქმიდან 10 საქმეზე გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

მოცემულ საქმეთა დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი განაჩენები, რომლებიც დასაბუთების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ, თუმცა, ამასთან, გამოიკვეთა რიგი ხარვეზები რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით. ქვემოთ, შესაბამის თემატიკასთან მიმართებით, დეტალურად იქნება განხილული თითოეული ხარვეზი.

8.2.1 ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზები

წამებასთან დაკავშირებულ საქმეთა განაჩენების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაანალიზებამდე, საჭიროა, ყურადღება გავამახვილოთ წამების ცნების განმარტებაზე ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იკრძალება:

„წამება, ე.ი. პირის, მისი ახლო ნათესავისა ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი, ქმედებისთვის.“

აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში წამების განმარტების ელემენტები კერძო პირია. საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის წამების ამკრძალავი ნორმის ფორმულირება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოცემული წამების დეფინიციისგან, რომლის თანახმადაც:

„ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი... ..როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით.“

ამრიგად, გაეროს კონვენციის თანახმად დანაშაულის სუბიექტი აუცილებლად სახელმწიფო თანამდებობის პირი უნდა იყოს, წამების განმარტების მოცემული ნაწილებიდან ნათლად იკვეთება მისთვის დამახასიათებელი, საკვანძო ელემენტი - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა. შესაბამისად, ამ კლასიკური განმარტების მიხედვით, წამება სპეციალური სუბიექტის მქონე დელიქტია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იმეორებს ტექსტუალურად ამ განმარტებას, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრასბურგის სასამართლო ფაქტობრივად ახდენს ამ განმარტების ინკორპორაციას.¹⁶⁰ ამის კარგი მაგალითია ზემოთ განხილული

¹⁶⁰ იხ. მოსამართლე ზუპანჩიჩის თანხმებული მოსაზრება საქმეზე „იალო გერმანიის წინააღმდეგ“ (Jalloh v. Germany), № 54810/00, 28 ივლისი, 1999.

საქმე *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ*, სადაც იმის დასადგენად ადგილი ქონდა „წამებას“ თუ „არაადამიანურ“ ან „ღირსების შემლახავ მოპყრობას“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მითითება გააკეთა გაეროს კონვენციაზე და სათითაოდ გამოიკვლია გაეროს კონვენციის პირველი მუხლის ელემენტების არსებობა საქმეში.¹⁶¹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დანაწესი წამების სუბიექტს ფართოდ განმარტავს და გაეროს კონვენციით განსაზღვრული წამების სპეციალური სუბიექტის - მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სსენებულ ქმედებას დამამძიმებელ გარემოებად აფასებს. ეროვნულ დონეზე წამების ამკრძალავი ნორმის ამ სახით ფორმულირება სერიოზულ დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა უდავოა, რომ დადებით ფაქტად ვერ შეფასდება მისი ამგვარი განსხვავება გაეროს იმ კონვენციით განსაზღვრული დეფინიციისგან, რომელიც საქართველოს მიერ ჯერ კიდევ 1994 წლის 22 სექტემბერს იქნა რატიფიცირებული.

ამდენად, სწორედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამუშავად არსებული მდგომარეობით აიხსნება ის ფაქტი, რომ გამოთხოვილი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება არასათანადო მოპყრობას არა სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირის, არამედ კერძო პირის მიერ, რომელიც ეჭვიანობის ან ღალატის ნიადაგზე, ძლიერ და ინტენსიურ ფიზიკურ ტკივილს/ფსიქიკურ ტანჯვას აყენებს მეუღლეს და/ან სავარაუდო საყვარელს. წამების ცნების კონვენციისეული გაგებით მსგავსი შემთხვევები ვერ იქნება წამებად მიჩნეული.

ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ჭრილში კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ამკრძალავი ნორმა – სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლი. გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დეფინიციას. პრობლემურ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მუხლის დასახელებაში მითითებულია “არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა”, ხოლო თავად დანაწესი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

„პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს“.

მოცემული ნორმა ერთმანეთისგან ცალსახად არ მიჯნავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ არასათანადო მოპყრობის ამ

¹⁶¹ სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], *Selmouni v. France* [GC], 28 ივლისი 1999, №25803/94, §§ 96-100, ECHR 1999-V.

ორ სახეს და მისი დასახელებაც ასევე, ალტერნატიული ხასიათისაა. შედეგად, მუხლის არსებული სახით ფორმულირება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ერთმანეთისგან განსხვავებისა და გამიჯვნის თვალსაზრისით დიდ სირთულეს ქმნის, რაც ნათლად იკვეთება ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებებიდანაც.

უდავოა, რომ ხსენებული გარემოება ვერ ჩაითვლება ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო მიღწევად, ვინაიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავებული ცნებებია. ამასთან, მათ შორის სხვაობა მხოლოდ მოპყრობის დროს გამოყენებული სისასტიკის დონეთა განსხვავებით არაა განპირობებული. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წამების პრევენციის ასოციაციის ეგიდით გამოცემული „წამებისა და არასათანადო მოპყრობის გზამკვლევი“ არსებული განმარტება, რომლის მიხედვითაც არაადამიანური მოპყრობა გარკვეულწილად წამებაზე უფრო შემსუბუქებული ფორმის მოპყრობად მიიჩნევა, ხოლო რაც შეეხება დამამცირებელ მოპყრობას, ის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გადაწყვეტილებებში ყოველთვის იყო და დღემდე მჭიდროდაა დაკავშირებული „სერიოზულ შეურაცხყოფასთან“¹⁶² და დანაშაულის ისეთ ობიექტებთან, როგორებიცაა, ადამიანის პატივი და ღირსება.¹⁶³ მოცემულ ცნებათა დეფინიციები ყველაზე მკაფიოდ ილუსტრირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე *ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*:

„მოპყრობა მიიჩნევა არაადამიანურად, როდესაც ის არის წინასწარი განზრახვით ჩადენილი, სისასტიკის მინიმალურ ზღვარს ცდება და იწვევს სხეულის რეალურ დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას, ხოლო როდესაც მოპყრობა შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, გამოხატავს რა პატივისცემის ნაკლებობას ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების ისეთი ხარისხის განცდას, რომელსაც შეუძლია მისი მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხვა, აღნიშნული უნდა შეფასდეს როგორც დამამცირებელი მოპყრობა.“¹⁶⁴

8.2.2. არასათანადო მოპყრობის სახეთა განსხვავება

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის ფორმულირებას შეუძლია მრავალი სირთულე წარმოშვას. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რელევანტურია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის

¹⁶² დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (The Greek Case), №3321/67, №3322/67, №3323/67, №3344/67, გვ. 186, 1969.

¹⁶³ D. Long, Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment, Geneva, 2002, p. 17-18.

¹⁶⁴ Pretty v. the United Kingdom, №2346/02, § 52, ECHR 2002-III.

საქმე¹⁶⁵, რომელიც ეხებოდა ერთ–ერთი რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის ინსპექტორების მიერ პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. საქმის მასალებზე დაყრდნობით, ზემოთხსენებული თანამდებობის პირები დაკავებულებს სისტემატურად, უმოწყალოდ სცემდნენ. მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა მოიცავდა ასევე ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა დაკავებულთა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მათი იძულება, საკუთარი ტანსაცმლით მოეწმინდათ საკნებისა და დერეფნების მტვრიანი იატაკები და შემდეგ, ჩაეცვათ აღნიშნული ტანსაცმელი. გარდა ამისა, თვეების მანძილზე, პატიმრებს გაუსაძლის ჰიგიენურ პირობებში უწევდათ ყოფნა - მათ არ ეძლეოდათ დაბანის უფლება, ასევე არ ჰქონდათ წვდომა მათთვის მიტანილ ნივთებზე, ძირითადად, საკვებზე.

მართალია, სასამართლო იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთ მნიშვნელოვან საქმეებს, როგორებიცაა *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ*¹⁶⁶ და *ნეკრასოვი რუსეთის წინააღმდეგ*¹⁶⁷, ასევე, ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის აბსოლუტურ ხასიათს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე, სამართლებრივი შეფასების კუთხით, მოკლებულია უშუალო ანალიზს იმასთან დაკავშირებით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმით აკრძალულ რომელ კონკრეტულ ქმედებებთან გვაქვს საქმე; გარდა ამისა, განაჩენში არ არის განვითარებული მსჯელობა იმის შესახებ, თუ რის საფუძველზეა სახეზე როგორც არაადამიანური, ისე დამამცირებელი მოპყრობა. სასამართლოს განმარტებით,

„მოცემულ შემთხვევაში საქმეზე არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს პირის დამცირება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება.“

საგულისხმოა, რომ მხოლოდ მითითება იმის თაობაზე, რომ პირებმა ჩაიდინეს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ვერ ჩაითვლება სამართლებრივი შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებად. ამისათვის საჭიროა, არასათანადო მოპყრობის მუხლით აკრძალულ სახეთა განცალკევება და დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებების შესაბამისად შეფასება, რაც მოცემულ განაჩენში სამწუხაროდ სახეზე არ გვაქვს.

ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების სათანადოდ გამოყენებისა და დასაბუთების სანიმუშო ილუსტრაციასთან შესაბამისად საქალაქო

¹⁶⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განაჩენი, საქმე №1/4939-1

¹⁶⁶ Kudla v. Poland [GC], №30210/96, 26 ოქტომბერი 2000, ECHR 2000-XI

¹⁶⁷ Nekrasov v. Russia, №8049/07, 2016 წლის 17 მაისი.

სასამართლოს განაჩენი¹⁶⁸, რომელიც ეხებოდა დაზარალებულის უმოწყალო ცემას მეუღლის დალატის გამო, აგრეთვე სადისტური მოპყრობის ისეთ ფორმას, როგორცაა პირისთვის სმენისორგანოს მოჭრა.

სასამართლომ, ევროპული სასამართლოს რეგევანტურ საქმეებზე მითითებით, დეტალურად განმარტა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული თითოეული ქმედება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოიჯნა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა:

კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

„მოპყრობა ევროპული სასამართლოს მიერ შეფასებული იქნა არაადამიანურად, როდესაც იგი გამოყენებული იყო რამდენიმე საათის განმავლობაში და გამოიწვია სხეულებრივი დაზიანება ან ძლიერი ფიზიკური სულიერი ტანჯვა (*ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy)*, განაცხადი №26772/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 120). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპყრობა ღირსების შემლახველია, როცა იგი იწვევს დაზარალებულში შიშს, ტკივილს და არასრულფასოვნების შეგრძნებას, რომელსაც შეუძლია მისი დამცირება, ღირსების შელახვა და მისი სულიერი მედეგობის გატეხვა (*ჯალო გერმანიის წინააღმდეგ (Jalloh v. Germany)*, განაცხადი №54810/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის გადაწყვეტილების პუნქტი 68).

არაადამიანურ მოპყრობას შეესაბამება მოპყრობა, რომელიც ფიზიკურზე მეტად უფრო სულიერ ტანჯვას იწვევს, ხოლო მოპყრობა მიჩნეულია დამამცირებლად თუ მსხვერპლში წარმოშობს შიშის, ტანჯვისა და დამცირების გრძობას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დამცირება და შეიძლება ხელყოფილ იქნეს პიროვნების ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის უნარი.”

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლომ მტკიცებულებათა სათანადოდ შეფასების საფუძველზე მიიჩნია, რომ სახეზე იყო ახლო ნათესავისათვის ისეთი პირობების შექმნა ან მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას, რომლის მიზანია პირის დასჯა მის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის და შედეგად, დაადგინა სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა.

8.2.3. მტკიცებულებათა შეფასება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით

როგორც ზემოთ აღინიშნა, განაჩენის გამოტანისას უმნიშვნელოვანესია, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასება აკმაყოფილებდეს გონივრულ

¹⁶⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 მარტის განაჩენი, საქმე №1-553-16

ექვეს მიღმა სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებს. წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებშიც, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ ცნობილ საქმეში – *ჯალო გერმანიის წინააღმდეგ* არის ხაზგასმული „იმ მტკიცებულებების შეფასებისას, რომელსაც ეფუძნება გადაწყვეტილება – დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი – ევროპული სასამართლო სარგებლობს “გონივრულ ექვეს მიღმა” სტანდარტით. ევროპული სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტი გულისხმობს „მტკიცებას, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს საკმაოდ მყარ, ზუსტ და თანმხვედრ ფაქტებზე დამყარებული ვარაუდიდან ან მსგავსი უტყუარი ფაქტების პრეზუმფციიდან¹⁶⁹”.

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გონივრულ ექვეს მიღმა სტანდარტს იყენებს მომჩივნების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად, რაც აღნიშნული სასამართლოსთვის დაკისრებული როლიდან გამომდინარეობს. კერძოდ, ის განსაზღვრავს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და მისი ფუნქცია არ არის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა. ამრიგად, ეროვნულმა სასამართლოებმა სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქმის შესწავლისას გამოყენებული გონივრულ ექვეს მიღმა სტანდარტი არ უნდა გააიგივონ პირის სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის დასადგენად აუცილებელ მტკიცების სტანდარტთან. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის - „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“, ფარგლებში მომზადებულ კვლევაში¹⁷⁰, სადაც ხაზგასმული იყო, რომ „პრინციპულად არასწორია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის იმ ფუნქციის მიწერა, რომ იგი განმარტავს ეროვნულ დონეზე პირის ბრალეულობის დასადგენად მტკიცების რა სტანდარტი გამოიყენებოდეს. ეს უნდა დაადგინოს შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ და განმარტონ ეროვნულმა სასამართლოებმა და არა საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც მთლიანობაში პროცესის სამართლიანობას აფასებს”. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლევის მიზნებისთვის შესწავლილ ერთ-ერთ საქმეზე ცალსახად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალურია. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ

¹⁶⁹ *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom)* განაცხადი №5310/71, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, პუნქტი 161.

¹⁷⁰ ნანა მჭედლიძე - „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები“, თბილისი, 2017, გვ. 108.

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს აზრით სახეზე არ არის.¹⁷¹“

რაც, როგორც უკვე აღინიშნა, არ გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან და ამ სასამართლოსთვის დაკისრებული ფუნქციებიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილში მოცემულია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. აღნიშნული სტანდარტი სიდრმისეულად არის განმარტებული კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ ერთ-ერთ საქმეში, რომლის მიხედვითაც,

„ „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მტკიცებულებითი სტანდარტის ყველაზე მნიშვნელოვანი და უმაღლესი საფეხურია, ეს არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. მოცემულ შემთხვევაში მთავარი აქცენტი ეჭვის ხარისხზეა გადატანილი და არა ვარაუდზე. ასევე ამ დროს ყურადღება გადატანილია არა მოსამართლეზე. არამედ ობიექტურ პირზე, რომელიც ობიექტური, მიუკერძოებელი, ნეიტრალური დამკვირვებელია. მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს (ამ შემთხვევაში მოსამართლეს) სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს.”

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის წინამდებარე საქმე¹⁷² ეხებოდა დაზარალებულს, რომელსაც მეუღლე ეჭვიანობის ნიადაგზე, სავარაუდოდ სხვასთან სქესობრივი კავშირის გამო და ამ აღიარების მიღების მიზნით, რეგულარულად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. გარდა ამისა, ბრალდებულმა დაზარალებულს ფეხის მიდამოში ორ ადგილას მოკიდებული სიგარეტის კანზე ჩაქრობით და სხეულის სხვადასხვა მიდამოში კბენით მიაყენა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა. მოძალადემ დაზარალებულს სახლში ჩაკეტვით 5 დღის განმავლობაში აღუკვეთა

¹⁷¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის განაჩენი, საქმე №1/2760-15.

¹⁷² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის განაჩენი, საქმე №1/4301-17.

თავისუფლება, სანამ ის მეზობლის აივანზე გადაძრომის შედეგად სახლიდან არ გაიქცა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა, მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მსგავსად, გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებებისგან რადიკალურად განსხვავებული ჩვენებები მისცა. მან მიყენებულ დაზიანებები და ტვინის შერყევა მეზობლის სახლში გადაძრომისას აივანზე წაქცევითა და რკინის გისოსის დაცემით ახსნა, გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების საფუძველად კი ქმარზე ეჭვიანობა და “ქალური პრინციპებით” შურისძიების მოტივი დაასახელა, რაც ასევე განპირობებული იყო მისი მძიმე დეპრესიული მდგომარეობით.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სასამართლომ მხედველობაში მიიღო და სისტემურად გაანალიზა დაზარალებულისა და მოწმეების მიერ გამოძიების ეტაპსა და სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებების არათანმიმდევრულობა. კერძოდ, სასამართლომ შენიშნა, რომ დაზარალებულისა და მოწმეების მიერ გამოძიების ეტაპზე კანონის სრული დაცვით მიცემული ჩვენებები თანმიმდევრული და ერთმანეთთან შესაბამისი იყო, ხოლო ის ჩვენებები, რომლებიც მათ სასამართლოს წინაშე წარადგინეს - ურთიერთსაწინააღმდეგო და არადამაჯერებელი. სასამართლომ პროცესზე წარმოდგენილი თითოეული მტკიცებულება ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან შეაფასა და ყველაზე სარწმუნოდ მიიჩნია დაზარალებულის ორი ახლო მეგობრის ჩვენება, რომლებსაც, მისგან და ოჯახის სხვა ნათესავებისგან განსხვავებით, არ ჰქონდათ ბრალდებულის შიშის ქვეშ ყოფნის საფუძველი ან მოცემული ოჯახის შენარჩუნების რაიმე პირადი ან საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებით განპირობებული ინტერესი. განაჩენის სამართლებრივ შეფასებაში მოცემული არგუმენტაციის თანახმად, სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

„სასამართლო დაზარალებულის ჩვენების იმ ნაწილს, რომ ნ. ც.-ს მასზე არასდროს უძალადია და არ აღუკვეთავს თავისუფლად გადაადგილება, ვერ გაიზიარებს, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგოსა და არადამაჯერებელს, ვინაიდან საქმეში არსებული მასალები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებენ თ. ც.-ს მიერ ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას. ასევე, დამაჯერებლობას მოკლებულია დაზარალებულის ჩვენება, რომ თითქოს მას საჭმლის კეთებისას დაეწვა ფეხები, ნაკბენი კი ბავშვებისგან ჰქონდა.

სასამართლო აგრეთვე, არადამაჯერებლად მიიჩნევს, რომ ლ. გ. კარის ჩაკეტვის გამო ძვრებოდა ნ. უ.-ის აივანზე, რადგან საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ნ. ც. იყო მატერიალურად შეძლებული პიროვნება, რომელსაც რამდენიმე კერძო ბიზნესი ჰქონდა, რის გამოც გაუფუჭებული კარის გაკეთება მისთვის არ წარმოადგენდა დიდ

სირთულეს, რომ მისი მეუღლე და შვილების დედა კარის გასაღებად მე-8 სართულის აივანზე გადამძვრალიყო მეზობლის სახლში და საკუთარი სიცოცხლე ჩაეგდო საფრთხეში, ასევე შესაძლებელი იქნებოდა დაერეკათ შესაბამის სამსახურებში კარის გაღების მიზნით.

საინტერესოა დაზარალებულის მამის ნ. გ.-ის ახსნაც, რომ თითქოს მან არ იცოდა რომელ ჩვენებას მოაწერა ხელი გამოძიების ეტაპზე, რადგან დაკითხვის ოქმის სისწორეს და თანხმობას იგი ადასტურებს ოქმზე ხელის მოწერით. მოწმე ნ. ფ.-მაც ასევე გამოძიების ჩვენებისგან განსხვავებით მიუთითა, რომ დაზარალებულს მასთან მისვლისას დაზიანებები არ ეტყობოდა და ლ. გ.-სა და ნ. ც.-ს აქვთ მისაბაძი ცოლქმრობა.

ლ. გ. და ხსენებული მოწმეები სასამართლოს აძლევენ არა მხოლოდ გამოძიების ჩვენებისაგან განსხვავებულ ჩვენებებს, არამედ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჩვენებებსაც. სასამართლოს შეფასებით, მოცემული ჩვენებები არიან ურთიერთსაწინააღმდეგო და არადამაჯერებელნი, რომლებიც ვერ ლახავენ მესამე, ე.წ. „უტყუარობის ბარიერს“.

სასამართლომ მსჯელობის დროს მკაფიოდ აღნიშნა, რომ

„მტკიცებულების (ინფორმაციის) მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენა, ამ მასალას (ინფორმაციას) ავტომატურად არ აქცევს გასაზიარებელ მტკიცებულებად, რადგან წარდგენის შემდეგ, მტკიცებულებამ უნდა გადალახოს რამდენიმე „ბარიერი“, ანუ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი)... ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ ამ „ბარიერს“ (რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა) თავისი მნიშვნელობა ენიჭება და შესაძლებელია კონკრეტული მტკიცებულება აკმაყოფილებდეს ორ „ბარიერს“, მაგრამ მესამედ (უტყუარობა) გადაულახაობის გამო, იგი არ იქნეს გაზიარებული.

საბოლოოდ, სასამართლომ მხედველობაში მიიღო დაზარალებულის მეგობრების - თ. ე.-სა და ე. უ.-ის ჩვენებები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მათ ლ. გ.-სგან იცოდნენ, რომ მასზე ნ. ც. ძალადობდა, თუმცა ამის შესახებ იგი პოლიციაში არ აცხადებდა, რადგან ეშინოდა, რომ ნ. ც. მას მოკლავდა.”

მოცემულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლომ გამოსატა საკუთარი პოზიცია და შემდეგი დასკვნა გააკეთა:

„ყველა ზემოთაღნიშნული გარემოება სასამართლოს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ლ. გ. ამჟამადაც შიშის ქვეშ იმყოფება და თავისი მეუღლის წინააღმდეგ არ აძლევს ჩვენებას, ხოლო ამ ფაქტთან კავშირშია დანარჩენი მოწმეების მიერ ჩვენებების შეცვლის ფაქტიც, რაც ემსახურება ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზანს...“

ამდენად, სასამართლომ თითოეული მტკიცებულება შეაფასა რა სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე

გამოკვლეული ყველა მტკიცებულება ერთობლივად – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით (ასევე არასადავო მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დასტურდება, რომ ნ. ც.-მ ჩაიდინა სსკ-ს 11¹ და 144¹ მუხლის პირველი ნაწილითა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის წამება, ესე იგი პირისათვის ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის და აღიარების მიღება, პირის დასჯა მიერ მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის) და 11¹ 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით) გათვალისწინებული ქმედებები.”

მოცემული გადაწყვეტილება სანიმუშოა საქმეზე არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების სათანადოდ შეფასების თვალსაზრისით. სასამართლომ ნათლად დაინახა რეალური სურათი და შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, ეფექტიანად განეხორციელებინა მართლმსაჯულება. აღნიშნული საქმე აგრეთვე ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილების ჯეროვანი დასაბუთებისათვის პანაცეა არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების პრაქტიკის მოხმობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას ყოველგვარი საჭიროების გარეშე უთითებენ და ამით ცდილობენ გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის ამაღლებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების არარეგულარულად გამოყენება არათუ არ ამაღლებს დასაბუთების ხარისხს, არამედ ზედმეტად ტვირთავს გადაწყვეტილების ტექსტს. ამრიგად, ეროვნულ სასამართლოებს რეკომენდაცია ეძლევათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოიყენონ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ის ეხმარებათ განსახილველი სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაში და ფაქტებისა თუ სამართლებრივი გარემოებების სწორად შეფასებაში.

8.2.4. სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება, კონვენციის მე-3 მუხლის აბსოლუტური ხასიათი

ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებათა გასამიჯნად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოპყრობის სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხსენებული ბარიერი განმსაზღვრელი ხასიათისაა იმის დასადგენად, ხვდება თუ არა ჩადენილი არასათანადო მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ სფეროში. მოცემულ საკითხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის

ასახული რუსთავის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში¹⁷³, რომელიც ეხებოდა ღალატის საფუძველზე, პირის ჯგუფურ წამებას მისი უმოწყალო ცემისა და გაუკუღმართებული გაუპატიურების გზით. საქმის სამართლებრივი შეფასების ნაწილში, სასამართლო განმარტავს:

„იმისთვის, რათა არასათანადო მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ სფეროში მოხდეს, მან უნდა მიადწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამ ზღვარის შეფასება ფარდობითია და საქმის ყველა გარემოებაზეა დამოკიდებული, როგორცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები და ზოგ შემთხვევებში დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (*ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom)* განაცხადი №5310/71, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, პუნქტი 162; ნეკრასოვი რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №8049/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 91).”

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასების კრიტერიუმები მართებულად აქვთ გამოყენებული კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ სხვა საქმეებშიც, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოების, ასევე რეგიონების რაიონულ/საქალაქო სასამართლოების დონეზე. აღნიშნული პრაქტიკა ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ხსენებული ფაქტორები ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

ზემოხსენებული საქმე გამორჩეულია იმითაც, რომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სათანადოდაა გაანალიზებული წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დეფინიციათა განსხვავება:

„იმისათვის, რომ განისაზღვროს, უნდა იქნეს თუ არა არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფორმა კვალიფიცირებული წამებად, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს განსხვავება, რასაც ითვალისწინებს მე-3 მუხლი, ამ ცნებასა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ცნებას შორის. როგორც ევროპულმა სასამართლომ ადრე დაადგინა, არსებობდა იმის მიზანი, რომ კონვენციას ამ განსხვავების მეშვეობით სპეციალური ნიშანი მიენიჭებინა განზრახ არაადამიანური მოპყრობისთვის, რამაც ძალიან მძიმე და სასტიკი ტანჯვა გამოიწვია (*ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom)* განაცხადი №5310/71, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, პუნქტი 167). წამებასა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს, ამგვარსავე განსხვავებას აკეთებს, რაც გამომდინარეობს I-ლი და მე-16 მუხლებიდან: მუხლი 1.1 ამ კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება “წამება” ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ფსიქოლოგიურს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია.”

¹⁷³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის განაჩენი, საქმე №1-645-17

ხსენებულ საქმეში მკაფიოდ გამოხატულია ასევე წამების აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი და აღნიშნული გამყარებულია შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების დანაწესებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი საქმის¹⁷⁴ განაჩენში ვკითხულობთ:

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლის შესაბამისად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. აღნიშნული აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა და იგი არ შეიძლება შეიზღუდოს რაიმე კონკრეტული გარემოებით.

„წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის შესაბამისად ნებისმიერი ადამიანი არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას, მათ შორის ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებშიც კი როგორცაა საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა.“

ზემოთ აღნიშნულ საქმეში რუსთავის საქალაქო სასამართლო¹⁷⁵ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, წამების აკრძალვის აბსოლუტური ხასიათის ჭრილში, იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ „*ისეთი მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლამაც, როგორცაა ტერორიზმი, არ შეიძლება გაამართლოს მე-3 მუხლის შეზღუდვა.*”

დასკვნის სახით, ეროვნული სასამართლოები წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს ხაზგასმით აღნიშნავენ წამების აბსოლუტურ ხასიათს და ამის გასამყარელად შესაბამის პრეცედენტულ სამართალს უთითებენ. ამასთანავე, საკვლევი მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ეროვნული სასამართლოები მართებულად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ პრინციპს, რომლის თანახმად იმისათვის, რომ მოპყრობა განხილულ იქნას კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, მან უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ეროვნული სასამართლოები აგრეთვე მართებულად უთითებენ სტრასბურგის სასამართლოს საქმეებს, სადაც განმარტებულია ის ფაქტორები, რომელთა მიხედვით უნდა შეფასდეს სისასტიკის მინიმალური ზღვარი. ეროვნულ სასამართლოებს რეკომენდაცია ეძლევათ თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სიღრმისეულად შეისწავლონ სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასებისთვის საჭირო თითოეული ფაქტორი, რათა დარწმუნდნენ, რომ მოპყრობა ექცევა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებათა რიცხვში.

¹⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის განაჩენი, საქმე №1/4301-17.

¹⁷⁵ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის განაჩენი, საქმე №1-645-17

8.2.5 კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებაზე მითითება

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი წვერ სახელმწიფოებს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებს. მოცემული დანაწესით აკრძალული ქმედებების პრევენციის მიზნით, სახელმწიფოთა მიერ ხსენებული მოვალეობის განხორციელებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოები მოწოდებულნი არიან საჭიროების შემთხვევაში განაჩენის სამართლებრივი შეფასების ნაწილში იმსჯელონ კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოთა პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებაზე.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში განხილულ რამდენიმე საქმეში ხაზგასმული იყო სახელმწიფოს ხსენებული ვალდებულებები. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლო ზემოთ მოცემული საქმის განაჩენში¹⁷⁶ სათანადო ყურადღებას ამახვილებს კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოსთვის შესასრულებლად სავალდებულო არამარტო ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებაზეც და აღნიშნავს:

„წამების აკრძალვის მნიშვნელობაზე მითითებს ისიც, რომ სახელმწიფოს, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას და დასჯად ქმედებად მიიჩნევს მას, ეკისრება პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს, რომ თავისი იურისდიქციის ფარგლებში არავინ დაექვემდებაროს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.“

თუმცა, საყურადღებოა, რომ აღნიშნული ვალდებულებების სათანადოდ განმარტების კუთხით, არცთუ ისე ზუსტი სახის დეფინიციასაა მოცემული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის ერთ-ერთ განაჩენში¹⁷⁷, რომელშიც საქმე ეხებოდა სასჯელსაღსრულის დაწესებულების განყოფილების თანამშრომლების მიერ პატიმართა მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორცაა დღეების განმავლობაში თავზე ჩაფხუტჩამოცმული გისოსებზე მიბმა, თავზე დანერწყვება, ხელზე სიგარეტის ნამწვავის ჩაწვა და სხვ. მოცემულ საქმეზე განაჩენის სამართლებრივი შეფასების ნაწილში სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

¹⁷⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის განაჩენი, საქმე №1-645-17

¹⁷⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 06 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/3385-17

„ის ფაქტი, რომ საქმეში არსებული ყველა დაზარალებული იყო თავისუფლებაშეზღუდული პირი და მოთავსებული იყვნენ სახელმწიფოს განმგებლობაში არსებულ, მის ერთ-ერთ საქვეუწყებო დაწესებულებაში - სასჯელაღსრულების დეპარტამენტში თავისთავად წარმოშობდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ დაეცვა აღნიშნული პირები წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისაგან, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო. შესაბამისად მას წარმოეშვა ნეგატიური ვალდებულება - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს ამ დანაშაულის ჩამდენ პირებს.“

საგულისხმოა, რომ როგორც ეს საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას, ზემოთ¹⁷⁸ ნათლად აღინიშნა, მე-3 მუხლიდან გამომდინარე ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებებისაგან. პოზიტიური ვალდებულებები კი, თავის მხრივ, იყოფა მატერიალურ-სამართლებრივ და პროცედურულ ვალდებულებად. მატერიალურ-სამართლებრივი პოზიტიური ვალდებულების თანახმად, სახელმწიფომ უნდა დაიცვას პირები წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისაგან, ხოლო პროცედურული პოზიტიური ვალდებულების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს ეფექტური გამოძიება დამნაშავე პირთა დასჯის მიზნით.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ მეორე წინადადებაში არასათანადოდ განმარტა ნეგატიური ვალდებულების არსი. სასამართლოს მიერ ნეგატიურ ვალდებულებად განმარტებული ვალდებულება, კერძოდ, დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დასჯის მიზნით სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების ჩატარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს სახელმწიფოს პროცედურული სახის პოზიტიურ ვალდებულებას. როდესაც ეროვნული სასამართლო საუბრობდა იმ ფაქტზე, რომ საქმეში არსებული დაზარალებულები იყვნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული თავისუფლებაშეზღუდული პირები, სასამართლოს ხაზი უნდა გაესვა სახელმწიფოს არა პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ ვალდებულებაზე, ვინაიდან ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ყველა ძალისმიერი ორგანოს ქმედებისათვის, იქნება ეს პოლიცია, უშიშროების ძალები თუ ამ ორგანოებში მომუშავე თანამდებობის პირები. მოცემულ საქმეში აღნიშნულ ორგანოს წარმოადგენდა სასჯელაღსრულების დაწესებულება. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოები პასუხს აგებენ მიუხედავად იმისა, მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირები მოქმედებდნენ ბრძანებით, თუ საკუთარი ნების თანახმად. სახელმწიფოები ვერ აიცილებენ პასუხისმგებლობას მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებისათვის იმის მტკიცებით, რომ მათ არ იცოდნენ აღნიშნულის შესახებ.

¹⁷⁸ იხ. მე-3 თავი. გვ. 22.

ამრიგად, ეროვნულმა სასამართლომ, მართალია, სწორად მიუთითა თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - დაიცვას პირები წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისაგან, თუმცა განაჩენში სათანადოდ არ არის განმარტებული, რომ აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს პირთა დაცვას მესამე პირებისგან განხორციელებული ძალადობისგან, უფრო კონკრეტულად კი, ციხის კონტექსტში, სხვა პატიმართაგან მომდინარე რისკებისგან, და არა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებისგან.

წინამდებარე საქმეზე სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების განხორციელების კუთხით პენიტენციური სისტემის თანამშრომლის როლს და მათთვის დაკისრებულ მომეტებულ პასუხისმგებლობას. განაჩენში ვკითხულობთ:

„სახელმწიფოს წარმომადგენელს, განსაკუთრებით პენიტენციური სისტემის თანამშრომელს, რომელიც ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ფუნდამენტური უფლება, უფრო მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეს, რადგან ამ შემთხვევაში სამსჯავროზე არა მხოლოდ თითოეული დამნაშავეს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, აღმოფხვრას დაუსჯელობის გრძნობა, რომელიც დამნაშავეებს შეიძლება გააჩნდეთ მარტო იმ ფაქტის გამო, რომ მათ გარკვეული თანამდებობა უკავიათ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის მიმართ სათანადო რწმენისა და პატივისცემის შენარჩუნებას.“ ამდენად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე წვერი სახელმწიფოებისთვის დაკისრებული ვალდებულებები მრავალ ასპექტში საგრძნობლად განსხვავდებიან, წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე განაჩენის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბების კუთხით, მათი სათანადოდ განმარტება მნიშვნელოვანია.

8.2.6. დანაშაულის სპეციფიკისა და მისი ელემენტების გათვალისწინება

წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებთან მიმართებით, განაჩენის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფორმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დანაშაულის

სპეციფიკის სათანადოდ გათვალისწინება. ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებების შეფასების პროცესში სამართლებრივთან ერთად, დიდ როლს თამაშობს ზნეობრივი და სოციუმში გამყარებული შეხედულებები, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მსგავს საქმეებში გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ისეთ სპეციფიკურ გარემოებებს, როგორებიცაა დაზარალებულის სუბიექტური აღქმა, მასსა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთმიმართება, მათი პიროვნული თავისებურებები და სხვ.

დანაშაულის სპეციფიკის ერთ-ერთ ხსენებულ ასპექტზე სათანადო ყურადღებაა შეჩერებული განაჩენის სამოტივაციო ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე,¹⁷⁹ რომელიც ეხებოდა სამხედრო თანამდებობის პირთა მიერ მათ დაქვემდებარებაში მყოფი რიგითების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებას იმ საფუძველით, რომ მათ თვითნებურად დატოვეს სამხედრო ნაწილი. აღნიშნულ საქმეში წვევამდებლები, საგუშაგოს უნებართოდ დატოვებისთვის, მათი დაშინებისა და დასჯის მიზნით, ბრალდებულებმა ჩაიყვანეს ყაზარმის სარდაფში, სადაც ჯგუფურად მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა- სცემეს ხელებით და ფეხებით, დააყენეს მუხლებზე, რა დროსაც ერთ-ერთმა ბრალდებულმა საქამრიდან ამოიღო მასზე განპიროვნებული სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი და დაემუქრა მათ სიცოცხლის მოსპობით. წვევამდებლების ცემა, ფსიქიკური და მორალური ტანჯვა გრძელდებოდა დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში. აღნიშნულის შემდგომ, დადგენილი წესის უგულვებელყოფით, მათ აიძულეს ჯარისკაცებს სრული აღჭურვილობით, რომელიც დაახლოებით 25 კილოგრამს იწონიდა, 24 საათის განმავლობაში შეუცვლელად მდგარიყვნენ საგუშაგოზე.

“სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე დაზარალებულთა სუბიექტურ აღქმას, თითოეული მათგანი სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში არ ადასტურებს ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან მორალური ტანჯვის განცდას ხელმძღვანელი პირების მხრიდან მათთან კომუნიკაციის შედეგად.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა ა. თ.-მ სასამართლოს მოახსენა, რომ მას ცემის შედეგად დაზიანებები არ მიუღია და არ უგრძენია ძლიერი ტკივილი. შესაბამისად, წამლის მიღება, ან ექიმის კონსულტაცია არც მას და არც დანარჩენ ბრალდებულებს არ დასჭირვებიათ.

საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა ზ. ნ.-მ სასამართლოს წინაშე მოწმედ დაკითხვისას არ დაადასტურა დაზიანებების მიღებისა და ექიმის ან ფსიქიატრის დახმარების საჭიროების ფაქტი. მან აღნიშნა, რომ საფეთქელთან ჩაარტყეს, ხოლო დასიება არ ეტყობოდა, რადგან თმა უფარავდა საფეთქელს. მანვე დაადასტურა, რომ არ დასჭირვებია ექიმის, ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის დახმარება. ამასთან, აღნიშნა, რომ დაზარალებულებს ჰქონდათ საპირფარეოში გასვლის უფლება.

¹⁷⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის განაჩენი, საქმე №1/2760-15.

საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა გ. გ.-მ სასამართლოს წინაშე მოწმედ დაკითხვისას აღნიშნა, რომ ცემის შედეგად ძლიერი ტკივილი არ განუცდია, არ დასჭირვებია ექიმის, ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის დახმარება. აღნიშნა, რომ დაზარალებულებს ცემის კვალი არ ეტყობოდათ.”

მართალია, მოცემულ საქმეში სასამართლომ მტკიცებულებები „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის” სრული დაცვით შეაფასა და შედეგად, „მიიჩნია, რომ სახეზე არ არის არცერთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი – მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა.” თუმცა, საგულისხმოა, რომ განაჩენის დასაბუთებიდან ნაკლებად იკვეთება, თუ რამდენად გაითვალისწინა სამართლებრივი შეფასების კუთხით დანაშაულის სპეციფიკის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მისი კონტექსტი, ისევე როგორც ბრალდებულისა და დაზარალებულის თანამდებობრივი ურთიერთმიმართება, რასაც მოპყრობის შესაფასებლად შესაძლოა განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონოდა. აგრეთვე საყურადღებოა, რომ დაზარალებულთა ჩვენებით, რომელსაც სხვა მოწმეებიც ადასტურებენ, კაპიტანმა იმ დღეს მათ 10 კოლოფი სიგარეტის მოგროვება დაავალა. დაზარალებულებმა მხოლოდ 8 კოლოფის შეგროვება შეძლეს, რაზეც კაპიტანმა მათ დარჩენილი 2 კოლოფის მოპოვებაც მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დასჯით დაემუქრა. დაზარალებულების განცხადებით საგუშაგო სწორედ სიგარეტის მოპოვების მიზნით დატოვეს.

როგორც კვლევაში ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა განხილულ იქნას კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში. სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება ფარდობითია და ის დამოკიდებულია მოპყრობის ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და სულიერ შედეგებზე, ზოგ შემთხვევაში დაზარალებულის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დამატებითი ფაქტორები შეიძლება ასევე მოიცავდეს მოპყრობის მიზანს, ისევე როგორც აღნიშნული მოპყრობის მოტივსა და განზრახვას, აგრეთვე კონტექსტს, მაგალითად, როგორიცაა გადამეტებული დაძაბულობისა და ემოციების ატმოსფერო (იხ. *სელმუნის* საქმე, § 104).

იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, წამების შემადგენლობის კომპონენტთა კუმულატიურად არსებობა არ გამოიკვეთა, საქმის უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, შესაძლებელი იყო, გააკეთებულყო უფრო დეტალური ანალიზი, იყო თუ არა სახეზე სამხედრო თანამდებობის პირთა მხრიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობით აკრძალული სხვა ქმედება, მაგალითად, დამამცირებელი მოპყრობა, თანამდებობრივი ურთიერთმიმართებისა და სარდაფში დაზარალებულების გაკიცხვის ფორმების (სახეში სილის გაწვნა, ცეცხლსასროლი იარაღის შუბლზე

მიშვერა) გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია, მოცემული საკითხის სათანადო შეფასების მიმართ არსებობდეს ლეგიტიმური ინტერესი.

საქმის განხილველმა სასამართლომ საკმარისი მტკიცებულებებით დადასტურებულად არ მიიჩნია დაზარალებულების ცემის ფაქტი. სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ დაზარალებულების ხუთცვლიანიდან სამცვლიანი მორიგეობაზე გადაყვანა და მათი აღჭურვილობით გამწვსება არ წარმოადგენდა წამებას, ვინაიდან სამცვლიანი მორიგეობა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გათვალისწინებული იყო ნორმატიული აქტით¹⁸⁰, ხოლო რაც შეეხება მათ გამწვსებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულები სარგებლობდნენ საპირფარეშოთი და იკვებებოდნენ სასადილოში, ე.ი. მორიგეობა არ იყო უწყვეტ რეჟიმში და შესაბამისად მოპყრობა ვერ დაკვალიფიცირდებოდა წამებად. სასამართლოს, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, შეეძლო ემსჯელა იმ გარემოებაზე დაზარალებულთა მიმართ განხორციელებული მოპყრობა ხომ არ გაუსვამდა ხაზს წვევამდელთა უფრო დაბალ მდგომარეობას ბრალდებულებთან მიმართებით, რასაც მათში შესაძლოა არასრულფასოვნების განცდა გამოეწვია; გარდა ამისა, ზემოთ აღწერილი ქმედებების შედეგად დაზარალებულებს შესაძლოა განეცადათ შიში და დამცირება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულებმა სამხედრო ნაწილი იმ მიზნით დატოვეს, რომ შეეგროვებინათ კაპიტნის მიერ მოთხოვნილი სიგარეტების საკმარისი რაოდენობა. სასამართლოს აგრეთვე ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ სირთულეებზე, რაც დაკავშირებული იქნებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში 25 კილოგრამიანი აღჭურვილობის ტარებასთან. ეროვნულმა სასამართლომ შესაბამის ნორმატიულ დანაწესებზე მითითებით აღნიშნა, რომ ქვეყნის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულებისას, სამხედრო დისციპლინის მკაცრად დადგენილი წესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით მიღებული, კანონით გათვალისწინებული ზომები ვერ იქნებოდა მიზნული ჯარისკაცების მიმართ წამების განხორციელებად.

მიუხედავად ამისა, მსგავს საკითხზე მსჯელობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვით ის მეთოდი, რომლის მეშვეობით მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა შესაბამისი ღონისძიება, არ უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. აქედან გამომდინარე, კარგი იქნებოდა სასამართლოს ემსჯელა გამოყენებული მეთოდის აუცილებლობაზე, კერძოდ, რამდენად გონივრული იყო ჯარისკაცების სარდაფში ჩაყვანა, სადაც ისინი დაახლოქეს და ამ მდგომარეობაში მყოფებს დაუმიზნეს იარაღი; ამასთანავე,

¹⁸⁰ „საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ივნისის ბრძანებულების 36-ე მუხლი.

ყურადღება გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ განსხვავებით მორიგეობისგან, მსგავსი მოპყრობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ამდენად, მიზანშეწონილი იქნებოდა სასამართლოს ემსჯელა, ხომ არ იყო სახეზე დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა და თუ მივიდოდა დასკვნამდე, რომ მსგავს მოპყრობას ადგილი არ ჰქონია, განემარტა, რატომ არ მიაღწია სადავო ქმედებებმა მე-3 მუხლით მოთხოვნილ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

მართალია, პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდება არ მოიცავდა 144³-ე მუხლით აკრძალულ ქმედებას, თუმცა თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მოცემული გარემოებები საქმის განხილვისას ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, სასამართლოს მხრიდან აღნიშნულზე უფრო სიღრმისეული მსჯელობა მოსამართლის როლის უფრო ნათელი გამოვლინება იქნებოდა. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ პირს იმაზე მეტ დანაშაულში არ დაედოს მსჯავრი, რაც არ ჩაუდენია და, მეორე მხრივ, საერთოდ არ გამოირიცხოს პირის ბრალეულობა დანაშაულში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის საქმეებზე, ვინაიდან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის უგულებელყოფა და ბრალდებულის გამართლება წამებასთან დაკავშირებულ ბრალდებაში კონვენციის მე-3 მუხლთან შეუთავსებელი მიდგომაა; ამასთანავე მსგავსი მიდგომა უკუაგდება იმ ქმედებების სპეციფიკური ხასიათს, რომლებიც განსაკუთრებით არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

8.2.7. საპროცესო შეთანხმების გამოყენება წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე

სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის განსაკუთრებით შემცირებული როლის ყველაზე ნათელ გამოხატულებას ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი წარმოადგენს. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ კვლევაში, სახელწოდებით „საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში“, მოცემულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრის შეფასება საპროცესო შეთანხმების დადებისას მოსამართლის როლთან დაკავშირებით. ის აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს

მოსამართლე ფაქტობრივად ნოტარიუსის როლში იმყოფება.¹⁸¹ მოცემული გარემოება კი განსაკუთრებით საყურადღებოა წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებში. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 2010 წლის რედაქციით საპროცესო შეთანხმების დადება 144¹-144³ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების არსებობისას დაუშვებელი იყო, თუმცა შემდგომი ცვლილებების შესაბამისად, დღესდღეობით სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, აკრძალულია მხოლოდ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი სასჯელისგან ბრალდებულის სრულად გათავისუფლება:

“დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელისგან სრულად განთავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ - 144³ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.”

შეიძლება ითქვას, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება, თავისი შინაარსით საპროცესო შეთანხმებას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ მის გასაფორმებლად აუცილებელია გარკვეული (საპროცესო შეთანხმებისგან განსხვავებული) წინაპირობების დაკმაყოფილება და მისი გაფორმება მხოლოდ მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაა. თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობაა ბრალის აღიარება, ამ შემთხვევაში ბრალის აღიარება აუცილებელი არ არის, არამედ ბრალდებულის/მსჯავრდებულის უნდა თანამშრომლობდეს გამოძიებასთან; თანამშრომლობის შედეგად ირკვეოდეს დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა წინაპირობები.¹⁸²

მოცემული დანაწესის მიზანს მეტწილად, გამოძიებასთან მჭიდრო თანამშრომლობაში მყოფ იმ პირთა წახალისება წარმოადგენს, რომლებიც მნიშვნელოვნად დაეხმარნენ გამოძიებას ისეთ სერიოზულ და საზოგადოებისთვის მგრძნობიარე საკითხთან დაკავშირებული საქმის გახსნაში, როგორც წამება ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობაა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ეროვნული კანონმდებლობის, კერძოდ სსსკ-ის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩანაწერს, რომლის თანახმადაც

„სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში”,

უდავოა, რომ აღნიშნული დანაწესი საკმაოდ ფართო დისკრეციას ანიჭებს საპროცესო შეთანხმების ავტორს – პროკურატურას, რომელიც პოტენციურად უფლებამოსილია, მნიშვნელოვნად შეუმციროს წამებაში ბრალდებულ პირს

¹⁸¹ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის- საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში, გვ.13.

¹⁸² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 650.

სასჯელი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის თავის არიდების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პრობლემური საკითხი გვხვდება პრაქტიკაშიც. მის საილუსტრაციოდ განსაკუთრებით საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ერთ-ერთ საქმეზე,¹⁸³ რომელიც ეხებოდა სასჯელადსრულების დეპარტამენტის საპრობილის კონტროლიორთა მიერ პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორცაა რამდენიმე დღის მანძილზე, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, იძულებით, პირთა შიშველ მდგომარეობაში მოთავსება სამარტოო საკანში, სადაც იყო მხოლოდ ერთი ხის ფიცრებდაკრული საწოლი, ლეიბის, საბნისა და გადასაფარებლის გარეშე; მსჯავრდებულებს ასევე არ ჰქონდათ ჰიფიენური საშუალებები – ტუალეტის ქაღალდი, პირსახოცი და ა.შ.; ფანჯარაში შუშის არარსებობის გამო კი საკანში თავისუფლად აღწევდა წვიმა. სადამოებით სიცივის გამო კარცერში ყოფნა შიშველ მდგომარეობაში გაუსაძლისი იყო და თითქმის შეუძლებელი ხდებოდა ღამე ძილი. საქმის მასალებზე დაყრდნობით, მოცემულ საქმეში ბრალდებულებთან დაიღო საპროცესო შეთანხმებები. ამის შესახებ ბრალდების მხარის შუამდგომლობები კი დაკმაყოფილებულ იქნა სასამართლოს მიერ სსსკ-ის XXI თავის მოთხოვნათა დაცვით. შედეგად, ქმედებისთვის, რომლისთვისაც განსაზღვრული იყო 5-10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, საბოლოოდ პროკურორის მიერ დადებული საპროცესო შეთანხმებით ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის და რვა თვის ვადით; 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელი შემცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელის ზომად განისაზღვრა სამი წლის და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა; საიდანაც სსკ-ს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელიც დარჩენილი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, სსკ-ს 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 წელი., რაც დაზარალებულში და, ზოგადად, საზოგადოებაში სამართლიანობის განცდას ნაკლებად ქმნის.

ეს ყოველივე მიუთითებს სასამართლოს შეზღუდულ შესაძლებლობაზე, ბრალდებულს განუსაზღვროს სათანადო სასჯელი ჩადენილი ქმედების სიმძიმის პროპორციულად. ზემოთ მითითებულ კვლევაში, რომელიც ეხება საპროცესო შეთანხმების გამოყენებას საქართველოში, მოცემულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენლის პოზიცია, რომელიც მიესალმება

¹⁸³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 მაისის განაჩენი, საქმე №1/836-18

სამოსამართლო დისკრეციის გაზრდას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მოსამართლის როლის გაფართოება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასჯელის დანიშვნის ნაწილში მნიშვნელოვანია”.¹⁸⁴ აღნიშნული საკითხი ბევრად უფრო საყურადღებოა, როდესაც საქმე ეხება სწორედ ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორცაა საჯარო მოხელის მიერ პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა, განსაკუთრებით კი სამარტოო საკნის გამოყენების კონტექსტში სამარტოო საკანში მოთავსება უნდა იყოს კანონიერი, აუცილებელი და პროპორციული. განცალკევება განუსაზღვრელი დროით და არასათანადო პირობებით ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იწვევს სამარტოო საკანში მოთავსება აგრეთვე მაშინ, როცა პატიმრის მხრიდან არსებული რისკი არასაკმარისია დაკისრებული ზომის გასამართლებლად ან ამ შეზღუდვების კავშირი სამარტოო საკანში მოთავსების მიზნებთან მყარად არ არის დასაბუთებული¹⁸⁵

8.2.8. სასჯელის დასაბუთება

აღსანიშნავია, რომ განაჩენის დასაბუთების ხარისხის სათანადოდ შესაფასებლად, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სასამართლოს მხრიდან მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში შეფარდებული სასჯელის დასაბუთება, ვინაიდან სასამართლოს მიერ სწორედ მოცემული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს ძირითადი შეფასების საგანს საზოგადოების ცნობიერებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ხაზს უსვამს თავის გადაწყვეტილებებში განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობასა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. საქმეზე *აუდარიხი ხორვატიის წინააღმდეგ*¹⁸⁶ ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა განაჩენის არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო, რამდენადაც სასჯელის შეფარდებისას დარღვეული იყო ინდივიდუალიზაციის პრინციპი და მსჯავრდებულს შეეფარდა ორმოცწლიანი თავისუფლების აღკვეთა.¹⁸⁷

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეების უმრავლესობა არ გამოირჩევა სასჯელის დასაბუთების ეტაპზე სიღმისეული ანალიზით და უმეტესწილად,

¹⁸⁴ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის-საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში, გვ.13.

¹⁸⁵ იქსი თურქეთის წინააღმდეგ (X v. Turkey), 2012 წლის 9 ოქტომბერი, § 31-35.

¹⁸⁶ *Ajdarić v. Croatia*, №20883/09, 13 დეკემბერი 2011.

¹⁸⁷ ი. კელენჯერიძე - სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდების პროცესში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, გვ. 24.

განაჩენებში ერთგვაროვნად მიეთითება, რომ შერჩეული სასჯელი სამართლებრივი შეფასების ნაწილში ჩამოყალიბებული მსჯელობის პროპორციულ შედეგს წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასჯელის სათანადო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დასაბუთების მაგალითები იკვეთება კვლევის ფარგლებში განხილულ რამდენიმე განაჩენში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი საქმე¹⁸⁸, რომელიც ეხება ეჭვიანობის ნიადაგზე ბრალდებულის მიერ მეუღლის სავარაუდო საყვარლის მიმართ მოპყრობის ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორცაა თოკით ხელ-ფეხის შეკვრა, შემდეგ რკინის ჯოხით, თოხის ტარით, ხელებითა და ფეხებით უმოწყალოდ ცემა და ქვედა კიდურში ღურსმნის ჩაჭედება. ბრალდებულის მიზანს წარმოადგენდა დაზარალებულისგან მოეპოვებინა აღიარება, რომ მის მეუღლესთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა. სასამართლომ სასჯელთან დაკავშირებით განაცხადა შემდეგი:

„სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით ღმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. ასეთ დროს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებაში იმ განწყობის დანერგვას, რომ უპირატესი ღირებულება არის ადამიანი და მისი ფიზიკური ხელშეუვალობა, რომ ყოველ მათგანს აქვს ფიზიკური ხელშეუხებლობისა და თავისუფალი გადაადგილების უფლება. ღმობიერი სასჯელის გამოყენება სრულიად გაუმართლებელია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიერ მსხვერპლისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ხარისხი აკმაყოფილებს წამებისათვის განკუთვნილ სტანდარტს, რაც წარმოადგენს მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამ შემთხვევაში მკაცრმა სასჯელმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალური სამართლიანობის აღდგენას, როგორც მსხვერპლის, ასევე ზოგადად საზოგადოების ცნობიერებაში.

სასჯელი, რომელიც სრულად ასახავს ქმედების სერიოზულობას ...იძლევა სამართლებრივ პასუხს და პირადი ან საზოგადოებრივი შურისძიების სურვილს - მიღწეული სამართლიანობის აღდგენით ანაცვლებს.“

სასჯელის სათანადო დასაბუთების კუთხით, ასევე სასარგებლო განმარტებას იძლევა თბილისის საქალაქო სასამართლო ოჯახის წევრის, კერძოდ მეუღლის წამებასთან დაკავშირებულ, ზემოთხსენებულ ერთ-ერთ საქმეზე,¹⁸⁹ რომლის თანახმად,

„სასჯელის დანიშნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით, მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.“

¹⁸⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის განაჩენი, საქმე №1/3853-16


¹⁸⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის განაჩენი, საქმე №1/4301-17.

ამრიგად, სასჯელის შეფარდების პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ყველა ის გარემოება, რაზეც სისხლის სამართლის კოდექსი მიუთითებს სასჯელის შეფარდების კუთხით – დამნაშავის პიროვნების, მისი წარსული ცხოვრების, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი და სხვა გარემოებების სახით, გონიერი დამკვირვებლის თვალში მკაცრად ინდივიდუალიზებული და დასაბუთებული იყოს. აუცილებელია საზოგადოება დარწმუნდეს, რომ სახელმწიფო იძულების უკიდურესი ზომა – სასჯელი, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით, სრულად შეესაბამება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, არის მკაცრად პერსონიფიცირებული და უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების შესრულებას, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის პრევენციასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

8.2.9. საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მზარდმა მნიშვნელობამ გავლენა იქონია ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციისა და სასამართლო პრაქტიკის ხშირ გამოყენებაზე. კვლევამ ცხადყო, რომ მოსამართლეები გამოთქვამენ მზადყოფნას, გადაწყვეტილებათა მიღებისას გამოიყენონ ევროპული სასამართლოს სტანდარტები. სამართლებრივი არგუმენტაციის დასაბუთებას ისინი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე მითითებით ცდილობენ. მაგალითად, შესწავლილ საქმეთა უმრავლესობაში წამების შეფასებასთან დაკავშირებით, სასამართლოები უთითებენ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის თანახმად მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. როგორც წესი, განაჩენებში ასახულია შიდასამართლებრივი სისტემისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კონსტრუქციული ურთიერთქმედება. სასამართლოები ციტირებას ახდენენ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკიდან და/ან საერთაშორისო აქტებიდან, რითიც ამყარებენ გაკეთებულ დასკვნებს და აცხადებენ, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება როგორც ეროვნულ, აგრეთვე საერთაშორისო აქტებს.

ეროვნული სასამართლოების მიერ 2017-2018 წლებში
არასათანადო მოპყრობის საქმეებზე საერთაშორისო სტანდარტების ასახვის
პრაქტიკა



წარმოდგენილი დიაგრამა ცხადყოფს, რომ წამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სასამართლოები ყველაზე ხშირად მოიხმობენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას, შემდგომ გაეროს კონვენციას და სულ ბოლოს ევროპის საბჭოს კონვენციას წამების შესახებ.

შესწავლილ საქმეებში ყველაზე ნაკლებად – მხოლოდ ერთხელ, იქნა გამოყენებული ევროპის საბჭოს კონვენცია „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ“, რაც შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ აღნიშნული კონვენცია ადგენს არასასამართლო მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვას წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯისგან. კერძოდ, კონვენციის თანახმად, დაარსდა წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი, რომელიც ვიზიტების საშუალებით ამოწმებს თუ როგორ ეპყრობიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს. შესაბამისად, აღნიშნულ კონვენციაში გაწერილია ზემოხსენებული მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები: ვიზიტების სისტემა, პროცედურები და სხვ. აქედან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოები არასათანადო მოპყრობის საქმეთა განხილვისას უფრო ხშირად ეყრდნობიან გაეროსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციებს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შესწავლილ განაჩენებში უმეტესწილად მეორდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საქმეებზე: *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ*¹⁹⁰, *ნეკრასოვი რუსეთის წინააღმდეგ*¹⁹¹; *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ*¹⁹², *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹⁹³.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სასამართლოს განაჩენებში გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საერთაშორისო აქტების იდენტური მიმოხილვა. მაგალითისთვის,

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფასეულობას იცავს. აღნიშნული მუხლი აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ დასჯას არსებული გარემოებებისა და დაზარალებულის ქცევის მიუხედავად (*კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland)*, განაცხადი no. 30210/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 90; *ნეკრასოვი რუსეთის წინააღმდეგ (Nekrasov v. Russia)*, განაცხადი no. 8049/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 90).

აღნიშნულ მიმოხილვას ვხვდებით როგორც თბილისის, აგრეთვე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში. ამასთანავე, დაფიქსირდა შედარებით მოძველებული მასალის გამოყენება. როგორც წესი, სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მოხმობისას უთითებენ საქმის სახელწოდებას ორიგინალ ენაზე, მაგრამ არ უთითებენ საქმის ნომერს, მისი მიღების თარიღსა და შესაბამის პარაგრაფს, რაც ართულებს საქმის მოძიებასა და წყაროს გადამოწმებას. ამასთანავე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მოყვანილი ციტირება არ იყო მოცემული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებულ საქმეში. მაგალითად, ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ

„წამების აკრძალვა აბსოლუტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია მსგავსი ქმედებების გამართლება რაიმე მიზეზით, რაც არ უნდა დიდი და მნიშვნელოვანი მიზანი ამოძრავებდეს ქმედების ჩამდენს (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Tomasi v. France*)”.

¹⁹⁰ *Kudla v. Poland* [GC], №30210/96, 26 ოქტომბერი 2000, ECHR 2000-XI

¹⁹¹ *Nekrasov v. Russia*, №8049/07, 17 მაისი 2016.

¹⁹² *Selmouni v. France* [GC], 28 ივლისი 1999, №25803/94, ECHR 1999-V.

¹⁹³ *Ireland v. the United Kingdom*, 18 იანვარი 1978, სერია ა №25.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ ციტირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე ეხება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხს, გადაწყვეტილების ტექსტში არ არის მოცემული მსგავსი ფორმულირება. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წამებასთან დაკავშირებულ საქმეზე მითითებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არამხოლოდ მე-3 მუხლთან დაკავშირებით, არამედ აგრეთვე ევროპული სასამართლოს ციტირებები იმ საქმეებიდან, რომლებიც ეხებოდა მტკიცებულებებსა და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. ასევე საყურადღებოა, რომ ძირითად შემთხვევაში, სასამართლოები რელევანტურად უთითებენ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა მითითებულ სტანდარტებს არ უსადაგებენ განსახილველ საქმეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მსგავსი ფორმალური ციტირება ფორმალურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, არ შეესაბამება დასაბუთებული გადაწყვეტილების მაღალ სტანდარტს.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ეროვნულმა სასამართლოებმა ევროპული სასამართლოს განმარტებები მოარგონ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სისტემური ანალიზის შედეგად მივიღწიონ სათანადო გადაწყვეტილებამდე. არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის რელევანტურად და მართებულად ციტირება; უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი და ანალიტიკური რგოლები მზად არიან ნებისმიერი წყაროს გადასამოწმებლად, მართებული თარგმანის უზრუნველსაყოფად და რელევანტური პრეცედენტული სამართლის მოსაძიებლად. აგრეთვე მომზადებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ციტირების წესი, რომელთა საერთო სასამართლოების პრაქტიკაში დანერგვა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. გარდა ამისა, ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ახალი პრაქტიკა, რომელთა საერთო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ასახვა გაზრდის სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხს და აგრეთვე, ხელს შეუწყობს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის გამყარებას.

9. მოსამართლის როლი წამების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სასამართლო სისტემები განსხვავებულია, წამების აკრძალვა უნივერსალურია. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო გადამწყვეტ როლს თამაშობს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თუ

დასჯის აბსოლუტური აკრძალვის ეფექტიან აღსრულებაში. მოსამართლეთა ძირითადი ვალდებულებაა, უზრუნველყონ მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება, რაც ასევე გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტებით ხელმძღვანელობას. მოსამართლეები მუდმივად ყურადღებით უნდა იყვნენ, რათა არ გამოეპაროთ ბრალდებულებისა და მოწმეების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა. ქვემოთ თავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული ის საერთაშორისო სტანდარტები, რომლითაც მოსამართლეებმა წამებასთან ბრძოლის კუთხით უნდა იხელმძღვანელონ, ამასთანავე მიმოხილულია ეროვნულ კანონმდებლობაში მოსამართლის როლი

9.1. მოსამართლის უფლებამოსილების ეფექტური განხორციელების საერთაშორისო სტანდარტები

წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მოსამართლეს ერთმნიშვნელოვნად, ფუნდამენტური როლი აკისრია, ვინაიდან გონივრული ეჭვის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტური განხორციელებისა და ქმედითი ნაბიჯის გადადგმით, მას შეუძლია განახორციელოს რიგი პრევენციული ღონისძიებები და აამოქმედოს პირის დაცვის მექანიზმები.

როგორც წამების წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კუთხით, მოსამართლეთა როლის გაძლიერებას მიზნად ისახავს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, თუმცა მათგან გამოსარჩევია „იურისტთა საერთაშორისო კომისია (ICJ)”¹⁹⁴, რომელიც ამ მიმართულებით კონკრეტულად განსაზღვრავს საერთაშორისო სტანდარტებს.

2017 წლის ოქტომბერში იურისტთა საერთაშორისო კომისიის ეგიდით უენევაში გაიმართა სემინარი დაპატიმრებისას ან წინასასამართლო პატიმრობაში ყოფნის დროს, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით ეფექტური დაცვითი მექანიზმების იმპლემენტაციაზე”, სადაც გამოიკვეთა მოსამართლეთა როლის ფუნდამენტური ასპექტები.

კომისიამ განმარტა, რომ მოსამართლეები ვალდებული არიან:

¹⁹⁴ კომისია 1952 წელს უენევაში შეიქმნა და შედგება მსოფლიოს მასშტაბით 60 მაღალი რეპუტაციის მქონე იურისტისგან, მათ შორის მოქმედი მაღალი რანგის მოსამართლეების, ადვოკატებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისგან, რომლებიც ადეკვატურად ასახავენ სხვადასხვა იურისდიქციათა და სამართლებრივ ტრადიციათა ფართო სპექტრს. ამჟამად, მოცემულ ორგანიზაციას უშუალო შემხებლობა აქვს ევროპის მრავალ განვითარებულ ქვეყანასთან და მთლიანად, მსოფლიოს მასშტაბით 70-ზე მეტ სახელმწიფოსთან.

- სიღრმისეულად გამოიკვლიონ თითოეული ბრალდება;
- დასვან სათანადო კითხვები, როდესაც სახეზეა არასათანადო მოპყრობის ნიშნები, მაშინაც კი თუ დაპატიმრებული აღნიშნულში კონკრეტულად, არავის ღებს ბრალს;
- მოითხოვონ პატიმრობაში მყოფ პირთა ფიზიკურად მათ წინაშე წარდგენა. გამოხატონ მზაობა, პასუხისმგებლად ცნონ სახელისუფლებო ორგანოები სასამართლოს დაუმორჩილებლობისთვის, როდესაც ეს უკანასკნელნი არ მოქმედებენ სასამართლოს მოთხოვნათა შესაბამისად.

მსგავს მითითებას შეიცავს, აგრეთვე წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) სტანდარტები. აღნიშნული კომიტეტის ერთ-ერთ დასკვნაში ვკითხულობთ:

„თუ პატიმარი აცხადებს, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებაში მას არასათანადოდ მოეპყრნენ, მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, დაუყოვნებლივ გასცეს ექსპერტიზის ჩატარების ბრძანება და მიიღოს ყველა ზომა, რათა აღნიშნული ბრალდება სრულყოფილად იქნეს გამოძიებული. იგივე ღონისძიება უნდა გატარდეს მაშინაც, როდესაც ბრალდებული არ გამოთქვამს აღნიშნულ საჩივარს, თუმცა მას ცალსახად ეტყობა ძალადობის კვალი.“¹⁹⁵

მოსამართლეები ასევე უნდა:

- დარწმუნდნენ, რომ სახელმწიფო ორგანოები პატივს სცემენ პატიმრების უფლებას, ჰქონდეთ გარე სამყაროსთან წვდომა (ადვოკატის, ოჯახის, მეგობრების, ექიმების და სხვების ჩათვლით) ორივე მხრივ – როგორც დაცვით მექანიზმს, ისე იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრობაში მყოფები არ დაექვემდებარებიან იზოლაციას, რაც თავისი კუმულაციური ზეგავლენის გათვალისწინებით, შესაძლოა არასათანადო მოპყრობას ან წამებასაც კი წარმოადგენდეს;
- უზრუნველყონ არასათანადო მოპყრობაში დამნაშავე პირთა ადეკვატური პასუხისმგებლობის საკითხი;
- დარწმუნდნენ, რომ მათ წინაშე წარდგენილი ჩვენებები იძულების გამოყენების გარეშე, ნებაყოფლობით იქნა მოპოვებული;
- სიღრმისეულად გააკეთონ შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და პრაქტიკის კონსტიტუციური მიმართება და პრაქტიკაში გამოიყენონ წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის დანაწესები.

მოსამართლეების მხრიდან ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან სახელმძღვანელო წყაროდ უნდა შეფასდეს სამართლებრივად მბოჭავი ძალის არმქონე საერთაშორისო სტანდარტებიც კი –

¹⁹⁵ გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-12 ზოგადი დასკვნა, § 45, 2002 წელი.

ისეთები, როგორცაა პატიმართა მოპყრობის გაეროს მინიმუმის სტანდარტის წესები – ე.წ. „მანდელას წესები“¹⁹⁶ და გაეროს პრინციპების სია ნებისმიერი სახის პატიმრობაში მყოფი, ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის დაცვის მიზნით¹⁹⁷. აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ასევე, 2006 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული – ციხის ევროპული წესები¹⁹⁸, რომელიც მართალია, სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა წვერი სახელმწიფოებისთვის სახელმძღვანელო მითითებებს შეიცავს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჰიგიენის, საკვების, ტანსაცმლის, საარსებო პირობებისა და ზოგადად, თავისუფლებააღკვეთილ პირთა მოპყრობის თვალსაზრისით.

9.2. მოსამართლის როლი ეროვნული კანონმდებლობაში

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოქმედი მოდელი, რომელიც სასამართლოს ინკვიზიციურობის განსაკუთრებით დაბალი ხარისხით გამოირჩევა, შესაბამისად, ხასიათდება მოსამართლის გარკვეულწილად შემცირებული როლით. ბოლო წლებში, საკანონმდებლო დონეზე წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. აღნიშვნის ღირსია საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმად გაიზარდა მოსამართლის პასუხისმგებლობა, რომლის თანახმადაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მას დაეკისრა ვალდებულება დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება „დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ... გარეშე“¹⁹⁹.

წლების განმავლობაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც მოსამართლეს არ აძლევდა უფლებას კონკრეტული შუამდგომლობის გარეშე მის წინაშე ბრალდებულის პირველად

¹⁹⁶ UN Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners or “Mandela Rules”, 2015.

<https://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/NelsonMandelaRules.pdf> (ბოლოს ნანახია: 14.12.2018).

¹⁹⁷ UN Body of Principles for the protection of all persons under any form of detention or imprisonment, 1988. <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/DetentionOrImprisonment.aspx> (ბოლოს ნანახია: 14.12.2018).

¹⁹⁸ European Prison Rules, Council of Europe, 2006. <https://www.apt.ch/content/files/region/visits/EuropeanPrisonRules.pdf> (ბოლოს ნანახია: 14.12.2018).

¹⁹⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212 მუხლი (24/07/2014 შესული ცვლილებები).

წარდგენისას ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე ქმედითი ღონისძიებები განეხორციელებინა, თუკი მას გაუჩნდებოდა გონივრული ეჭვი, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას.

საგულისხმოა, რომ როგორც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით დადგენილი პრეცედენტული სამართალი, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მე-14 მუხლი²⁰⁰ და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები ნათლად აკისრებს ეროვნულ მოსამართლეებს *ipso facto* ვალდებულებას ჯეროვანი რეაგირება მოახდინონ, ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე, თუკი შესაბამის პირს ეტყობა არასათანადო მოპყრობის კვალი და მოსამართლეს, როგორც ობიექტურ დამკვირვებელს წარმოეშვა ან უნდა წარმოეშობოდა ეჭვი, რომ პირი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.²⁰¹ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ცალსახად დადებით ფაქტად უნდა შეფასდეს 2018 წელს საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება²⁰², რომლის თანახმადაც, მოსამართლეს შესაძლებლობა მიეცა პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის თაობაზე გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. მოცემული დანაწესი სისხლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ფორმით აისახა:

„თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს.“²⁰³

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმით, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, მკაფიოდ განისაზღვრა მოსამართლის უფლებამოსილება, თავისუფლებაადკვეთილი კონკრეტული პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ზომების მიღება დაავალოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე საჯარო მოხელეს. კერძოდ, მოცემული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,

“თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ან/და თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ

²⁰⁰ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებების შესახებ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi2.pdf>

²⁰¹ წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არსებული სიტუაციის მოკლე ანალიზი, ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”, გვ. 9; 2017.

²⁰² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661?publication=0#DOCUMENT:1>.

²⁰³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191¹-ე მუხლი.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია განჩინებით დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება.”

პრაქტიკაში ზემოხსენებული ნორმის ეფექტურობის ამაღლების მიზნით უპრიანი იქნება მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების კონტროლის მექანიზმის დადგენა. ამგვარი მოვალეობის შესრულების კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული პროცედურების გაწერა სავარაუდოდ, უფრო მკაფიოდ გამოხატავდა მოსამართლის უშუალო უფლებამოსილებებს ისეთი მგრძობიარე დანაშაულების პრევენციის მიმართულებით, როგორც წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობაა.

საბოლოო ჯამში, მოცემული დანაწესი ცალსახად დადებით ნოვაციად უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის როლის გაძლიერების კუთხით, რაც წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის თვალსაზრისით, ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

დასკვნა

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო გადაწყვეტ როლს თამაშობს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის აბსოლუტური აკრძალვის ეფექტიან აღსრულებაში. ამრიგად, ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში საერთაშორისო სტანდარტების ჯეროვნად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ის ამაღლებს, ერთი მხრივ, გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხს, და, მეორე მხრივ, სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობას.

სასამართლო საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ წამებასთან დაკავშირებული საქმეები ძირითადად ეხებოდა არასათანადო მოპყრობის განხორციელებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. ამასთანავე, წამების სხვა შემთხვევები დაკავშირებული იყო ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლის ან სავარაუდო საყვარლის მიმართ განხორციელებულ სასტიკ ძალადობასთან. განაჩენთა უმრავლეს

შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისეთ მოპყრობას, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, შედარებით ნაკლები იყო საქმეები, რომლებიც ეხებოდა ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.

სასამართლო საქმეთა შესწავლის შედეგად აგრეთვე გამოიკვეთა, რომ წამების მსხვერპლის როლში უმეტესად თავისუფლებაადკვეთილი პირები გვევლინებიან, რომელთა განსაკუთრებით მოწვევადი მდგომარეობა აადვილებს მათზე არასათანადო მოპყრობის განხორციელებას.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში მოსამართლეები იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ცალსახაა, რომ მოსამართლეები გამოთქვამენ მზადყოფნას, გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას გამოიყენონ ევროპული სასამართლოს სტანდარტები. შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში, განაჩენებში ასახულია შიდასამართლებრივი სისტემისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კონსტრუქციული ურთიერთქმედება. სასამართლოები ციტირებას ახდენენ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკიდან და/ან საერთაშორისო აქტებიდან, რითიც ამყარებენ გაკეთებულ დასკვნებს. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ძირითად შემთხვევაში, სასამართლოები რელევანტურად უთითებენ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა მითითებულ სტანდარტებს არ უსადაგებენ განსახილველ საქმეს. მნიშვნელოვანია, ეროვნულმა სასამართლოებმა ევროპული სასამართლოს განმარტებები მოარგონ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სისტემური ანალიზის შედეგად მივიდნენ სათანადო გადაწყვეტილებამდე.

წამებასთან დაკავშირებული ეროვნული საქმეების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი განაჩენები, რომლებიც დასაბუთების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ, თუმცა გამოვლენილი პოზიტიური განვითარებების ფონზე ყველაზე დიდ გამოწვევად შეიძლება დასახელდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში გამოყენებული მუხლის შემადგენლობის იმ ალტერნატიული ელემენტის სათანადოდ გამოკვეთა, რომელთა უშუალო შემხებლობაშიცაა ჩადენილი ქმედება (მაგ.: ქმედება წარმოადგენს დამამცირებელ თუ არაადამიანურ მოპყრობას).

წამების საქმეებზე მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების ხელშესაწყობად წარმოგიდგინო შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

რეკომენდაციები

კვლევის ბოლოს შესაძლებელია რამდენიმე ისეთი ზოგადი სახელმძღვანელო წინადადების ჩამოყალიბება, რომელიც მოსამართლეებს ხელს შეუწყობს ყველა სახის განაჩენის დასაბუთებაში, განსაკუთრებით კი წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობის საქმეებთან მიმართებით:

- განაჩენში მიზანშეწონილია, კონკრეტულად მიეთითოს დანაშაულის იურიდიული შემადგენლობის უშუალოდ რომელ ალტერნატიულ ელემენტთან გვაქვს საქმე (მაგალითად, არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, საჭიროა, ცალსახად აღინიშნოს, სახეზე გვაქვს არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა).
- განაჩენის დასაბუთებაში უნდა გამოიკვეთოს არამხოლოდ შემადგენლობის თითოეული ელემენტი, არამედ, ამასთან ერთად უნდა მიეთითოს კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომელიც ამ ელემენტის არსებობას ადასტურებს.
- განაჩენმა უნდა აჩვენოს, რომ მოსამართლემ უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა, მტკიცების სტანდარტის დაცვა და მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება.
- განაჩენი არ უნდა დაემსგავსოს სხდომის ოქმს ან რაიმე შაბლონურ დოკუმენტს. სასამართლოს წინაშე მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი ფაქტების მხოლოდ ბლანკეტური ჩამოთვლა და შემდგომ, დასკვნის გაკეთება, არ არის საკმარისი, საჭიროა მათი სისტემური ანალიზი.
- განაჩენის დასაბუთებაში უნდა იკვეთებოდეს სასამართლოს მიერ როგორც ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სათანადო შედარება და კონტრასტი, მათი სარწმუნოებისა და უტყუარობის თანაბარი შეფასება. სასურველია, კონკრეტულად იყოს დასაბუთებული, რატომ გაიზიარა სასამართლომ ერთი მხარის მტკიცებულება და რატომ არ გაიზიარა მისი მოწინააღმდეგის; ამასთან, ეს უნდა მოხდეს თითოეულ მტკიცებულებასთან მიმართებით.
- მტკიცებულებების გამოკვლევის, შეფასებისა და სამართლებრივი დასკვნების გამოტანისას, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ განაჩენში მოცემული მსჯელობა იყოს ყოველმხრივი, სრული, ამომწურავი და დამაჯერებელი გარეშე ობიექტური დამკვირვებლისთვის. შედეგად, გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოება, თუ რამდენად აკმაყოფილებს გაკეთებული დასკვნები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებს.

- სასურველია, განაჩენში გათვალისწინებული იყოს მოცემული დანაშაულის სპეციფიკა (განსაკუთრებით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე), რადგან შესაძლებელია ხშირად ასეთი საქმე უკავშირდებოდეს დაზარალებულისა და ბრალდებულის პიროვნულ თავისებურებებს, ქმედების ჩადენის სპეციფიკას, რომლებიც გავლენას ახდენენ არამხოლოდ კვალიფიკაციაზე, არამედ შემდგომში ბრალის ხარისხის განსაზღვრასა და სასჯელის ზომაზე.
- წამების შესახებ საქმეების განხილვისას მიზანშეწონილია სასამართლოებმა იხელმძღვანელონ რელევანტური საერთაშორისო აქტებით და ფაქტობრივ გარემოებებს ჯეროვნად მიუსადაგონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სისტემის უახლესი პრაქტიკა.